

დისტანსური საქართველო



საქართველოს მხარეთმცოდნეო ინსტიტუტი * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРЫЛИ САКАРТВЕЛО

24 იანვარი, 2014 წ.

№3 (3689)

ბამონდის 78-მ წელი

ფასი 1 ლარი

თაბაზ ნივნივაძე

როც ვერ ვაიგეთ, მეოცნებებო?! „პატივს ვცემ ყველას, ვინც სამართლიან შენიშვნას მომცემს და გამაკრიტიკებს“.

„პატივს ვცემ ყველას, ვინც სამართლიან შენიშვნას მომცემს და გამაკრიტიკებს“.

ბიძინა ივანიშვილი

ცუდი ამბავი უნდა გითხრათ, ძვირფასო თანამემამულენო – ახალი ხელისუფლების ხელში ახალადგენილმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ არათუ წელიწადი, რამდენიმე თვეც ვერ გაძლო!

მეოცნებების აზრით, გაზეთში რაღაც მიუტყვებელი შეცდომა გაგვეპარა და, ეს როგორ გვაკადრეთო, „ლიტერატურული საქართველო“ გამოცემა შეგვინყვიტეს! უფრო სწორად, კი არ შეგვინყვიტეს, ირიბად გაგვაუქმეს – იმ ორიოდვე გროშითაც აღარ გვეხმარებიან, რითიც გაზეთის გამოცემას შევძლებდით!

ამ წერილს ახლა ადრინდელ „ცხენების თავლაში“ განთავსებული ერთ-ერთი რედაქციიდან გწერთ!

სწორედ ამ „ერთ-ერთი რედაქციის“ კეთილმა ხალხმა ჩაიჩოჩა ცემენტის ბაგაზე და იმ მცირე გამოთავისუფლებულ ადგილზე „ლიტერატურული საქართველოს“ თანამშრომლებს დაგვითმო „ფეხზე სადგომი“!..

არადა, ადრე, კომუნისტების დროს, ამ ელიტარულ ლიტერატურულ გაზეთს სამსართულიანი ოფისი ჰქონდა გამოყოფილი ქალაქის ცენტრში – ლადო გუდიაშვილის მოედანზე!

ალბათ, მეტყვიან, საბაზრო ეკონომიკის პირობებში რად გინდათ ისეთი გაზეთი, თავის შენახვას თუ ვერ ახერხებო!..

არა, ბატონებო! ჩვენ რომ იმისთვის გვეცადა, როდის შეინახავდა საკუთარ თავს „ლიტერატურული საქართველო“ (და არამარტო „ლიტერატურული საქართველო“), აგერ, ბოლო ოცი წელიწადია, ეს გაზეთი საერთოდ აღარ უნდა გამოსულიყო!..

ძვირფასო მკითხველო!

ვატყობ, ერთი სული გაქვთ, ის წერილი, რის გამოც გაზეთის გამოცემა შეგვინყვიტეს, თავიდან ბოლომდე წაიკითხოთ!

ვასრულებთ თქვენს თხოვნას წინასწარ დათქმული ერთი პირობით – იმ ათი ათასი მკითხველიდან, ვინც ყოველ პარასკევს „ლიტერატურულ საქართველოს“ ეცნობა, თუ ათი კაცი მაინც იტყვის, რომ ეს წერილი არ უნდა

დაგვებეჭდა – ამ ხელისუფლებას ღმერთმა შეარგოს ამ გაზეთის დახურვა!

თუ არადა, მეტი მე არაფერი შემიძლია, გარდა იმისა, რომ სიმართლე კვლავაც პირში ვუთხრა ჩვენი ქვეყნის მესვეურებს!..

თაბაზ ნივნივაძე

როცა კომენტარი ზედმეტი არაა!

მერამდენედ მიწევს იმის თქმა, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ გამოჩენილმა რუსმა მწერალმა კონსტანტინ სიმონოვმა გამოსცა მოგონებათა წიგნი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა მწერლის პირად ურთიერთობას ი. სტალინთან!

საინტერესოა ამ მოგონების ერთი პასაჟი! როცა კონსტანტინ სიმონოვი „ლიტერატურაზე გაზეთს“ რედაქტორად დაუნიშნავთ, მასთან ხანგრძლივი საუბარი ჰქონია იოსებ სტალინს!

მწერალი პირდაპირ გაუოგნებია ბელადის სიტყვებს:

ჩვენს პარტიას, ქვეყნის ხელისუფლებას ოპოზიცია არა ჰყავს; „პრავდა“ და „იზვესტია“ – ორივე ოფიციალურია, ეს ყველაფერი კი უარყოფით გაველენას ახდენს საქმეზე და, იქნებ, თქვენმა გაზეთმა შეასრულოს ოპოზიციური როლი. ნუ გეშინიათ, გაგვაკრიტიკეთ, თამამად მიგვითითეთ ნაკლები, ნუ დაინდობთ ჩინოსნებს, ცხადია, ჩემი ჩათვლით!

ეს დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს ქვეყანას!..

ბატონებო! როგორც ხედავთ, დიდ ბელადს „ლიტერატურაზე გაზეთს“ რედაქტორისთვის პირდაპირ დაუვალებია – თქვენმა გაზეთმა უნდა შეასრულოს ოპოზიციის როლი!..

და დღეს, როცა „ლიტერატურული საქართველოს“ ხელმძღვანელი მე ვარ და თანაც კრიტიკა ჩემთვის არც ისე უცხო ხილია, რატომ

მაინცადა მაინც ხელისუფლების თხოვნას დაველოდო?!
მე ამ მოვალეობას ყოველგვარი დავალების გარეშე ჩემს თავზე ვიღებ!

ხოლო, როცა ოპოზიციაში ვიქნები, არც ჩემს თავსა და არც სხვას ვაკადრებ იმას, რომ მხოლოდ უმნიშვნელო და მეორეხარისხოვანი პიროვნებები გაგვაკრიტიკო!

აი, ზემოთ, თვით სადავო წერილში ხომ ნახეთ თუ რა სიმალლიდან და რა მაღალი ეშელონებიდან დავინყე მთავრობის კრიტიკა:

„აგერ, უკვე წელიწადი და რამდენიმე თვე გადის ახალი ხელისუფლების სათავეში მოსვლიდან და, როგორც სათაურშივე აღვნიშნე, ამ დედამოკლულებს სამართლიანობის აღდგენისკენ ჯერაც არ გაუხედავთ!

მხოლოდ ერთხელ დააფერთხეს მერაბიშვილს ტომარა თავზე და სადღაც ციხის მიდამოებში გაასეირნ-გამოასეირნეს!..

არა, ძვირფასო მეოცნებებო, ასე სამართალი არ აღსდგება!

სამართალს სახრე უყვარს – იგი თავიდან ბოლომდე უნდა გადაუტყვალაშუნო დამნაშავეს ტანის მთელ სიგრძეზე!..“

ხელისუფალნი, ალბათ, დროში ვერ შემედავებიან – ოქტომბრის არჩევნებიდან, სადაც დიასხაც ტრიუმფალურად გაიმარჯვეს მეოცნებეებმა, მართლაც ერთი წელიწადი და რამდენიმე თვეა გასული!

ასევე, იცის საქართველოს მოსახლეობამ, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ახალ ხელისუფლებას სამართლიანობის აღდგენისკენ ერთხელაც არ გაუხედავს!

ძვირფასო მკითხველო! გასაბათილებელი დამრჩა მხოლოდ ერთადერთი სიტყვა, რომელიც, როგორც გაირკვა, მეოცნებეებს ძალიან არ მოსწონებიათ!

მაგრამ, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ეს სიტყვა არც ჩემი გამოგონილია და ვერც ვერანაირ ზიანს ვერ მომაცენებს!

პირველი გვერდიდან

ქართულ ენაში უხსოვარი დროიდან გვხვდება სიტყვათშეთანხმება – როგორც „შვილმკვდარი დედა“, ასევე „დედამოკლული შვილი“; ორივე ამ სიტყვას არსებობის უფლება აქვს და ზოგჯერ მეც ვიყენებ ხოლმე კერძო საუბრებში თუ საჯარო გამოსვლებში!

აქედან გამომდინარე, არც არავის ნაურთმევია ჩემთვის ამ სიტყვების გამოყენების უფლება – მე მხოლოდ იმაზე მწყდება გული, რომ „ენის არასრულყოფილი ცოდნის“ გამო ათასში ერთხელ არაზუსტ კონტექსტში მიწევს ამ სიტყვების მოხმობა!

ძვირფასო ხელისუფალნო! ახლა თქვენ მითხარით, რა იყო ის, რაც ჩემი წერილის შესავალ ნაწილში არ მოგეწონათ და „ლიტერატურული საქართველოს“ დახურვა გადაგანცეცინათ?!

არ თქვით ახლა ახალი გაუგებრობა! – ჩვენ გაზეთს კი არ გიხურავთ, იმ ორიოდე გროშით აღარ დაგეხმარებით, ამ გაზეთის გამოშვებას რომ სჭირდებაო!

რათა, თქვე მართლა კაი დედის შვილებო?! იმ კაცს, სააკაშვილს, პირდაპირ დედას რომ ვაგინებდი, ის ხომ ძალიან მოგწონდათ?!

ამიტომ გაქეზებდით – თუ ბიჭები ხართ, სააკაშვილი დაიჭირეთ-მეთქი!

თუ ბიჭები ხართ, უგულავა დაიჭირეთ-მეთქი!

„და კიდევ, თქვე კარგო მეოცნებეებო! თქვენი რიგებიდან ათამდე აგენტი ნაციონალებს რომ ჰყავდათ გადაბირებული და ხელფასს უხდიდნენ, იმ ხალხს რას უშვრებით?!

ცოტა ფულს დაუმატებთ და ისევ თქვენკენ გადმოიბირებთ?!“

არა, ბატონებო! ეს ამბავი ძირისძირობამდე უნდა გამოიძიოთ და სამართალმა პური უნდა ჭამოს!

სამართალს არ უნდა მოაკლდეს პური, თორემ მილიარდერი მეპატრონის ხელში თქვენ პური არასდროს გაგიხდებათ სანატრელი!

მით უმეტეს, თუ ზოგიერთებს აგენტობაში აღებული ფულიც დაგემატებთ!

მე გულწრფელად გაგაფრთხილეთ! – ამ წერილ-წერილ ნაცებს რომ თავი დავანებოთ, ამასობაში სააკაშვილიც აპირებს ხელისუფლებაში დაბრუნებას-მეთქი!

და იქვე მოსალოდნელი შედეგიც მოვაყოლე:

„არ ვაჭარბებ! ზვიად გამსახურდიას გროზიდან დაბრუნება თამაშად და ცელქობად მოგეჩვენებათ ამ დიდი გარეწრის დაბრუნებასთან შედარებით – ეს ბოროტი კაცი ქვას ქვაზე არ დატოვებს თავის სამშობლოში!

მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მაგარი ვაჟკაცია, უბრალოდ, მფრთხალი კაცია და საკუთარი ლანდისაც ეშინია!..

მშიშარა ადამიანი კი, რა დროს რას ჩაიდენს, მხოლოდ ეშმაკმა უნყის!“

აქედან დასკვნაც გავაკეთე და ეს წერილი-გაფრთხილებაც ჩვეული მორიდებით შემოგთავაზეთ:

„ასე რომ, არც ისე კარგად არის საქმე, ძვირფასო ქართველო მეოცნებეებო – თქვენ გგონიათ, რომ უკვე ფონს ხართ გასული, მაგრამ, თუ ახლოდან განვჩხრეკთ, იქამდე კიდევ დიდი გზა გასავლელი!..“

აი, რისთვის და რატომ დაინერა, ძვირფასო მკითხველო, ეს წერილი!

მინდოდა, მეოცნებეები გონზე მომეყვანა და ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენისთვის შემეწყობო ხელი!

ამათ კიდევ გაზეთი გამიუქმეს და ქუჩისკენ მიმითითეს!

ეტყობა, ამ ბატონებმა არ იციან, რომ მე, გარდა იმისა, ცოდვილი კრიტიკოსი რომ ვარ, გარკვეულ მომენტში, წინასწარმეტყველის ნიჭითაც დამაჯილდოვა განგებამ და უტყუარად ვხვდები, რა ელის მომავალში კაცს თუ ქვეყანას!

გახსოვთ, ალბათ, ბატონ შევარდნაძეს მგელი ტოტიას ბედი რომ ვუწინასწარმეტყველე, რომელსაც მისივე გამოზრდილი ლეკვები შეჭამდნენ!..

ჰოდა, არ ახდა მერე, ბატონებო?!

ამიტომ გთხოვთ, სიტყვას ბანზე ნუ ამიგდებთ და შეეცადეთ, მეტი პატივით მომეპყროთ მეც და ჩემს გაზეთსაც – თორემ არც მე

ვარ ადვილად დასაჩაგრე კაცი და არც ჩემი „ლიტერატურული საქართველო“!..

და, საერთოდაც, ძვირფასო მეოცნებეებო, მწერლის უპირველესი მოვალეობა სიმართლის მსახურებაა!

ასე იყო მარადის – დიდი შოთა რუსთაველიდან პატარა ლექსო დორეულამდე!

არავითარი მორიდება, მხოლოდ სიმართლე!

თანაც, მაშინაც კი, როცა ვისიმე გაფრთხილება არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს!

„თქვენ, ვაჭარნი, ჯაბანნი ხართ, ომისაცა უმეცარნი, შორს ისრითა არ დაგხოცნენ, ჩაიხშენით თანა კარნი...“

P. S. ძვირფასო მკითხველო!

რაკი ხმები მომდიოდა, ზოგი პარტიის წარმომადგენლებმა კითხვა არ იცინაო, ჩემს წერილში ესეც კი გავითვალისწინე და ტექსტთან ერთად ციხის „კლექტებში“ გამოკეტილი სააკაშვილიც დავხატე – ვიფიქრე, ვინც ნაწერს ვერ წაიკითხავს, ნახატიდან მაინც ამოიცნობს ჩემი წერილის დედო-აზრს, კერძოდ კი იმას, რომ მე ნაციონალების მოწინააღმდეგე ვარ და არა ივანიშვილის ხელისუფლების!

მაგრამ მე რა ვქნა, მეოცნებეებო, თქვენ ესეც ვერ გაგიგიათ და ჩემზე ამტვრევთ ჯოხს – თამაზ ნივნივაძე თავის წერილში დედას გვაგინებდესო!

კი, ბატონო, რაკი ვერაფრით შეგასმინეთ და ვერც ვერაფრით დაგარწმუნეთ, რომ მე თქვენი მოყვარე ვარ და არა მტერი, რაც გინდათ ის ქენით – გნებავთ, „ლიტერატურული საქართველო“ გააუქმეთ და, გნებავთ, მე ჩამსვით ციხეში!

ოლონდ, როცა ნაცები დააპირებენ ხელისუფლების დაბრუნებისთვის ბრძოლას, მაშინ მაინც გამომიშვით გარეთ, ჩემს ისტორიულ მტრებს რომ ვაჩვენო – ვის უფრო გვიყვარს, ძმანო, მამული!..

თ.ბ.

თავისუფლება თავნებობა როდია

„ყოველივე მიეტეოს ძეთა კაცთა ცოდვანი და გმობანი, რაოდენსაცა ჰგმობდნენ; ხოლო რომელმან თქუას გმობაი სულისა წმიდისათვის, არა აქუს მიტეება უკუნისამდე, არამედ თანამდებ არს საუკუნისა სასჯელისა“ მკ. 3 (28, 29).

მაცხოვარი კაცობრიობას მოეკვლინა ჩვენი ცოდვების გამოსყიდვისთვის, ჩვენი დახმარებისთვის, ნუგეშის მონიჭებისთვის და გვამშვიდებს, რომ ამ ბოლოქარ ცხოვრებაში ჩადენილ შეცდომებს გვაპატიებს, თუ სინანულით მივეახლებით. მაგრამ, ამავე დროს, გვასწავლის სულგრძელობას, პასუხისმგებლობას, ობიექტურ აზროვნებას, წესრიგს; იმათ, ვინც სულიერ სინამდვილეს შეეხება, განსაკუთრებული სიფრთხილისკენ მოგვიწოდებს – უდიერებისთვის სასჯელია მოსალოდნელი (შეიძლება ეს სიტყვები მკაცრად მოგვეჩვენოს).

დიახ, უფალი ჩვენი იესო ქრისტე – განკაცებული ღმერთი,

მზრუნველი, სულგრძელი, მოწყალე, მხოლოდშობილი – ზრუნავს ჩვენი სრულყოფილებისთვის. ეს არის მართლმადიდებელი ეკლესიის მარადიული სწავლება, რომელიც ერთგულებს ზოგადსაკაცობრიო მსოფლიო ზნეობრივ ღირებულებებს.

მე არ შევეცდები თქვენს დარიგებას, ახსნა-განმარტებების არგუმენტირებას, საეკლესიო დოგმატიკის ქადაგებას – ამ საკითხებზე ეკლესიაში ვისაუბროთ, მოზრდნადით ჩვენთან თქვენი კითხვებით, თუნდაც გამკითხვებით; ვილოცოთ, ვისაუბროთ, ვიკამათოთ, მეგობრობაც შეგვიძლია სიყვარულით. სულიერ სამყაროში ვეძიოთ სინამდვილეს, ნათელი; დავენაფოთ ქრისტეს მეცნიერებას, ვითხოვოთ მადლი, ვეზიაროთ ზეციურ შთაგონებას. განათლებისკენ მიმავალი გზა ეკლესიის საკურთხეველს გაივლის.

კვანტური მექანიკის საფუძვლებში რომ გავერკვიოთ, ცხადია, ფიზიკა უნდა შევისწავლოთ, ბუნებისმეტყველების საიდუმ-

ლოებებს უნდა ჩავუღრმავდეთ. ღვთისმეტყველება, „წმინდა წერილი“, „წმინდა გადმოცემა“, ეკლესიის ისტორია, წმ. მამათა თხზულებები ფუნდამენტურ შესწავლას მოითხოვს – მხოლოდ ზედაპირული ცოდნა, მიმოხილვითი ინფორმაცია არ არის საკმარისი ზნეობრივი პლასტების შეფასებისთვის.

მის უწმინდესობას და უნეტარესობას ჩვენი გამოქომაგება არ ესაჭიროება – „წმინდა საყდარს“ მფარველობს თვით შემოქმედი „ცისა და ქვეყნისა“, პატრიარქის სრულყოფილებაზე ზრუნავს თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტე და დედოფალი ჩვენი, უფროსად კურთხეული ყოვლადწმინდა სამება, დედა მისი წილხვედრი ქვეყნისა. ყველას გირჩევთ, გაეცნოთ და დაეუფლოთ პატრიარქის ეპისტოლარულ მემკვიდრეობას, ღრმა რელიგიურ, ფილოსოფიურ, მეცნიერულ სენტენციებს. სიფრთხილით და გულისხმიერებით შევიმეცნოთ მისი ყოველი სიტყვა და ამრიგად შევაფასოთ ის პრობ-

ლემები, რომლებსაც ხაზი გაუსვა პატრიარქმა საშობაო ეპისტოლეს ტექსტში. ვუსმინოთ მას, გავუფრთხილდეთ.

განკითხვები არას გვარგებს. ადამიანი, უფლის მიერ „ღვთის ხატად და მსგავსად“ შექმნილი არსება, ეკლესიის უმთავრესი საზრუნავია ადამიანი სიყვარულით მოველინება სამყაროს და ღმერთი სიყვარულით განაგებს მის ყოფიერებას. უფალი ანიჭებს თითოეულ ჩვენგანს უკვდავ მარადიულ სულს, ანიჭებს გონიერებას, აზროვნების უნარს, თავისუფალ ნებას, თავისუფლებას. ადამიანი თვითონ ირჩევს ცხოვრების გზას, მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს – თავისუფლება თვითნებობა როდია!

„კურთხევა უფლისა თქვენ ზედა. მისითა მადლითა და კაცთმოყვარებითა, ყოვლადვე ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“.

თბილისის წმ. სამების ლავრის არქიმანდრიტი ელისა (წერეთელი)

25 იანვარი ედუარდ შევარდნაძის დაბადების დღეა – ვულოცავთ!



ცნობები დასავლეთ საქართველოს რეგიონებში

რამდენიმე წელიწადია, უარყოფითი ენერჯითი დამუხტული ფრაზა: „რა გააკეთა შევარდნაძის ხელისუფლებამ საქართველოსთვის?“ – მეც არაერთხელ მომისმენია იმ ადამიანებისგანაც კი, რომელთაც, წესით, ამ საკითხზე ჩემი განმარტება არ უნდა სჭირდებოდეთ!

აბაშა

როგორც დამოუკიდებელი სააგენტოს „იფრინდას“ კორესპონდენტი საიმედო ადგილიდან და საიმედო წყაროზე დაყრდნობით იტყობინება, აბაშაში სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება!

სამტრედი

ჩვენი სამტრედიელი კორესპონდენტი გვატყობინებს, რომ ქალაქში არსებული რევოლუციური ალტკინება თანდათან კალაპოტში დგება!

სონი

დამოუკიდებელი სააგენტო „გაა“-დან კორესპონდენტი გია გვატყობინებს, რომ უკანასკნელ ხანს ქალაქი ხონი ისე გადადიოდა ხელიდან ხელში, როგორც ნაძარცვი ქონება ერთი ფორმირებიდან მეორეში!

დღი რაოდენობის ყაჩაღი – ისიც ტყეში!
ცოტაოდენი ხილი – თანაც ხეზე!..
სამთავრობო ჯარების აქ შემოსვლის შემდეგ, არაკანონიერმა ფორმირებებმა უკმაყოფილოდ დატოვეს ქალაქი!

სანაპი

საქართველოს რადიოს კორესპონდენტის მიერ მოწოდებული ცნობით, ეს ქალაქიც, ხონის მსგავსად, „გადადიოდა ხელიდან ხელში!“

სოზი

ჩვენი კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა ხობს, საიდანაც გვაცნობებს:

არ ცხვება პური, არ ჩანს სინათლე, არ არის საკმარისი ფქვილი!
როგორც გადმოგვცემენ, ხობში საკმარისი ჯერჯერობით მხოლოდ ჰაერია, რომელიც აქაური მაღალმთიანი სოფლებიდან შეუფერხებლად მიენოდება ქალაქს!

ზუგდიდი

თბილისიდან წარგზავნილი კორესპონდენტები სატელეფონო ხაზებით იტყობინებიან, რომ სამთავრობო ჯარების შესვლისას ზუგდიდში არ აღმოჩნდა არც ის თვრამეტი ჩეჩენი (როგორც ადრე აცხადებდნენ) და არც ეს ჩეჩენის თვრამეტიანები!

ნალენჯისა

რასაც კორესპონდენტები ნალენჯიხიდან გვატყობინებენ, თუ ეს ყველაფერი მართალია, მაშინ სამთავრობო ჯარების იქ შესვლა მართლაც უცნაურ ვითარებაში მომხდარა!

„ლიტერატურული საქართველო“ რედაქციის ეინაწერი:

ძვირფასო თანამემამულენო!
აი, როგორ საქართველოში ვცხოვრობდით ამ ოციოდე წლის წინათ!
ახლა „გამოვტყდეთ“, ჩვენი თვალთ რომ არ გვქონდეს ეს ყველაფერი ნანახი, ხომ წარმოუდგენლად ძნელი დასაჯერებელი იქნებოდა?!

ჩხორი

ადგილობრივი გაზეთები გულისტკივლით ადასტურებენ „ლიტერატურულ საქართველოში“ დასტამბულ ცნობას შესახებ იმისა, რომ დილის 6 საათზე დაეცა სოფ. ლესიჭინე!

ფოთი

ჩვენი რესპუბლიკის საზღვაო ჭიშკრიდან გულისტკივლით იტყობინებიან, რომ ფოთში ქართველი სამხედროები და რუსი მეზღვაურები თითქმის ერთდროულად შემოსულან და ჩვენი არაფორმალური შენაერთების შორეული ცურვის კრეისერები – დაახლოებით თითო „ლახანკა ტამის“ წყალწყისანი – იქვე ჩაუძირავთ!

ბურია

და ბოლოს, „იფრინდას“ კორესპონდენტი იმ ფრთიდან იტყობინება, სადაც ახლა, ექსპრეზიდენტის მომხრე უკანონო სამხედრო ფორმირებებთან ხანგრძლივი და შეუპოვარი წინააღმდეგობის განცეის შემდეგ, გურიის რეგიონის მშრომელები დამსახურებულად ისვენებენ!

ლაზა ნადარეიშვილი

სიგლერა ერთიან საქართველოზე

ამ წყვილიდან გარეთ გამიშვი!

ქარს გაცრეცილი
 მიაქვს კლავიში,
 ფოთლებიც
 ნაცნობ მხარეს მიდიან...
 ამ წყვილიდან
 გარეთ გამიშვი,
 მიმალწვივინე
 სხვა მერიდიანს!

მზე რახანია
 ცაზე არ აღის,
 მშიერ ხანაში
 ბოლმის ბურთია,
 სიკვდილი ელის
 თავად ალაღინს,
 თუკი ლამპარში
 ცეცხლი უნთია...

ჩინით მსუყე
 და ჭკუით ხალვათი
 ყოველ ნაბიჯზე
 მხედება გორილა,

ხელში უპყრია
 ქრისტეს ხალათი,
 საბედნიეროდ,
 მხეცი ვგონივარ...
 ვუმწერ ცხოვრებას
 ფერად შუშაში,
 თავისუფლებას
 ვკოცნი სისხლიანს,
 დამილოცნია
 თქვენი დეშაში,
 ფრთები — რომლებიც
 ვედარ გისწიან...

ქარს გაცრეცილი
 მიაქვს კლავიში,
 ფოთლებიც ნაცნობ
 მხარეს მიდიან...
 ამ წყვილიდან
 გარეთ გამიშვი,
 მიმალწვივინე
 სხვა მერიდიანს!

**სულ სხვანაირი მოვა ებოქა,
 სულ სხვანაირი მზით და დროშებით...
 ქრისტე კი მაინც იქნება კაცი
 და ეღირება ისევ გროშებით!**

ხვალ საქართველო ამათ გარეკავს!!!

გაგუყურებ ჭალებს
 არაგვიანებს,
 გაეძახი მე ზაფრებს
 დანაგვიანებს:
 გახსოვდეთ —
 მტერი არ აგვიანებს!
 არც მოლაღატე
 არ აგვიანებს!

რადგან მსოფლიო
 ასე გარგდა,
 ჩემი სამშობლოც
 უმალ დარედა...
 შთამომავლო
 უდრეკ ხალიბთა,
 ვაითუ,
 სულიც გაგიღარიბდა!

მე საქართველო
 ვედარ ვიცანი,
 ვედარ ვიპყურე
 ნამნი ცისანი,
 აბჯარი მცმოლა,
 თუნდაც ხისანი,
 არ გაეხდებოდი
 ჯაყოს ხიზანი!

სვეტიცხოველში
 ზარმა დარეკა,
 დარეკა,
 უფლის ხელით
 დარეკა...
 დღეს საქართველო
 ითმენს ნარ-ეკასს,
 ხვალ საქართველო
 ამათ გარეკავს!!!

**ძვირფასო, ჩემი სათხოვარია,
 როცა ქუჩაში მათხოვარია,
 ნუ განიკითხავ, რა ცხოვარია,
 იქნება სულაც მაცხოვარია!**

ძველი გვეულიდან — 2011 წ.

ვიდრე მამულს ამჩნევია
 ბულა-თურქის ალიყური,
 ვიდრე გულში ჩამრჩენია
 ოსმალეთში გარიყული
 ჩემი დიდი ივერია,
 იმერი და ამიერი,
 აფხაზეთში მიმდერია
 ვიდრე მრავალჟამიერი;
 ვიდრე ქართლის სანახებში
 ყაყაჩონი მიკრეფია,
 საინგილოს არტახებში
 ვიდრე ჩემი ფიქრებია;
 სვანეთიდან მომწყდარ „ლილეს“
 ვიდრე რწმენით ვეგებები,
 ვიდრე ახსოვთ
 ნისლის ფთილებს
 ფშავ-ხევსურთა ლეგენდები;
 ვიდრე ჩემი მაჭახელა
 ჭოროხსა და პონტოს ერთვის,
 ლეჩხუმის და რაჭასხელა
 გულით გვლოცავს
 ვიდრე ღმერთი;

ვიდრე მოჩანს მყინვარწვერი
 იმერეთის ზეგნებიდან,
 უძველესი მინაწერი
 გვიხმობს ტაოს ძეგლებითა;
 ვიდრე ისმის კვლავაც ჩქამი
 დიდებული სამცხისაო,
 არ დამდგარა ვიდრე ჟამი
 ჯავახეთის მარცხისაო,
 თუშეთი და მთიულეთი
 ვიდრე აკვნის დამრწვევია,
 სამაჩაბლოს, მიუვლეთის
 ვიდრე ქარი დასწევია;
 გურიაში ვიდრე გული
 ისევ წინ-წინ იპარება,
 ვიდრე კახეთს გადარგული
 მზე მტევნებით იფარება;
 ვიდრე ვხედავ სამეგრელოს
 თვალბატულა ცირებითა,
 ვიდრე მცხეთა გამგებელობს
 სვეტიცხოვლის წირვებითა;

ვიდრე უფლის ტაძრის
 წინა
 დიდი მეფის ხმალი
 გვიძევს...
 „არ მომკვდარა,
 მხოლოდ სძინავს
 და ისევ გაიღვიძებს!!!“



ქართლად ფრიალი ქვეყანაი აღირახსებოს!

ქართლად
 ფრიალი ქვეყანაი
 აღირაცხების...
 სულით ზვიადი —
 მაინც იბრძვი,
 მაინც არ ცხრები!

ღრუბელი რისხვის
 თავზე გადგას
 იმპერიული...
 ქვეყანას იხსნის
 მხოლოდ მოდგმა
 იბერიული!

მოწყალე მეფეს,
 ერო ჩემო,
 ნუ ელოდები!

მთები იწვოდა
 ამ გლახაკთა
 გამოისობით...
 მტერმაც იცოდა,
 მახვილს გულში
 გამოისობდი!

ყველამ რაღაცა
 იწილადა
 უფლის ნაკვეთის...
 ვინც ჯვარს გადაგცა,
 იხილავდე —
 შენგან განკვეთილს!

სად ქართულითა
 შეიწირვის
 ჟამი ყოველი,

კვლავ ქართულითა
 აღსრულებულ
 ლოცვას მოველი!

მარად ზვიადი
 შენი სული
 ვიდრე არ ცხრების,
 ქართლად
 ფრიალი ქვეყანაი
 აღირაცხების!

არად გიგდია:
 არც — ტირანი,
 არცა — ჯალათი...
 ვაჟას მიწია
 არ გახდება
 მონა ამათი!

იმდენი ყეფეს,
 დაგყრუეს
 ციხის ლოდები...

ისა მტკივნა წინაგური...

ედებოდა მტერი მთა-ველს,
 გვედებოდა უიზილბაშთა მზერა...
 ვერვინ ასწვდა მყინვარწვერის თაველს,
 თვალი დასწვა საქართველოს მზემა.

მამულს ყიდდა შინაური,
 თუმცა, ხმლების გაღავანი რტყმია...
 ისე მტკივა წიწამური,
 როგორც გულში მოხვედრილი ტყვია!

როს შეაშრება სისხლი ქვაფენილს...

რა მანძილია ახლა შენამდე
 ან იმ დამიდან
 რა დრო გავიდა?
 სძინავთ ნაცნობი
 ქუჩის ვერანდებს,
 შეყვარებულებს დასაბამიდან...

ამოდიოდა აქ უწინ მთვარი,
 შენს ფანჯარასთან
 ხეზე წვებოდა...
 და არ გვეგონა
 ვნებით დამთვრალებს,
 თუ ეს ქალაქიც დაიწვებოდა!



როს შეაშრება
 სისხლი ქვაფენილს —
 უკიდევანო სევდიო
 გლოვიანს,
 გახედე დღეებს,
 ქარში გაფრენილს,
 მზე რომ გაჩუქე,
 ვით მაგნოლია!

განთიადამდე პატრას გაგყიდის!

ბრბომ
 სიყვარული
 არ გაბატია...
 ბრბომ ავაზაკსაც
 არ გამჭობინა...
 ვერ გამინელა
 დრომ აპათია,
 ვინ თქვა,
 ქვეყანა
 გამომჭობინდა?!

აქ ისევ უყვართ
 ბზების დაფენა...
 აქ ისევ უყვართ
 გათხრა
 სამარის...
 შენ კი შესძელი
 ცაში
 აფრენა,
 შეგუებულმა
 ღალატს ამნაირს!

ვიდრე მიწაზე
 მეფობს ჰეროდეს,
 არ დაილევა
 ვერცხლი
 ასპიდის...
 არ დაიჭერო,
 მაგრამ
 გჯეროდეს —
 განთიადამდე
 პეტრეც გაგყიდის!

**ამბავს გეტყვით მოკლედ:
 აქ ილია მოკლეს!**

ვინ და როგორ ებრძვის კულტურისა და ქვეყნის დასვის მინისტრს მწერალ გურამ ოდიშარიას?

ამ ბოლო დროს პრესითა და ტელევიზი-ით ბევრ ისეთ რამეს გაიგებ ადამიანი, გაცემისგან შეიძლება ჭკუაზეც შეიშალოს.

ხანდახან ისიც მგონია, ჩამეძინა და რომ გავიღვიძე... ისევ სააკაშვილის დროება დამხვდა-მეთქი.

არსად წასულან, აქვე არიან, ჩვენს გვერდით - გაბლენძილები და ამპარტავანი, მდიდარნი და გამაძლარნი და ისე ებრძვიან ახალმოსულ ხელისუფლებას, გეგონებათ, ჩალითაა ქვეყანა დახურულიო.

ყოველად ნამუსგარეცხილი - სინდისზე გვესაუბრებიან!

მკვლელი და ჯალათნი - სათნოებას გვიქადაგებენ!

ფურთხის ღირსნი - აქეთკენ გვასხამენ ლაფსა და ათასგვარ საზიზღრობას! აი, ამ მარაქაში მშვენივრად ჩაკვებულა ე.წ. პოეტი ვაჟა ოთარაშვილი, რომელსაც სამიზნედ უპატიოსნესი და ნაღდი ქართველი მწერალი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი, გურამ ოდიშარია აუარჩევია.

კაცი, რომელმაც ბედ-იღბლისაგან მრავალი ტკივილი იწვნია! კაცი, რომელიც ისე ალაღმართლად ცხოვრობს, როგორც წერს!

და, რაც მთავარია, ჭეშმარიტი ქართული გენის, ჯიშისა და სულის მატარებელია! ალბათ ამიტომაც არ მოსწონთ!

და იქნებ, იმიტომაც, რომ საქართველოს კულტურა მისთვის სიცოცხლის ტოლფასია!

რადგანაც, კარგად იცის: თუ გინდა მოსპო და გააქრო ერი, უზირველესად მისი ძირძველი ფესვები უნდა ამოძირკვო! ეს მშვენივრად უწყაიან მავანთ და მავანთ!

ეს ხომ საქართველოს გარეთ დანერგილი დიდი და უსაშინლესი გეგმის ნაწილია. გურამ ოდიშარია კი ამ ბილნი გეგმის ერთ-ერთი ხელისშემშლელია!

იმისთვის, ვინც ასე გამიზნულად, შხამიანად ასარსალებს ენას, მალე მოვიცვლით, ხოლო იქამდე ამ გველგესლათაგან ერთ-ერთის, კერძოდ, ვაჟა ოთარაშვილის მრავალსახოვნებას შემოგთავაზებთ, რამეთუ იგი ამ ღრინაკალთა შორის ფრიად გამოჩნეულია.

მრავალსახოვანი იანუსის პოლიტიკური პეიზაჟი

ვაჟა ჩორდელს და ცხოვრებულ ამირან კალაძეს მიეცა ჩვენი ცოდვა ამ მრავალსახოვანი იანუსის ასპარეზზე გამოყვანისთვის!

ვერ უნდა შეეტყუოთ კოჭებში, რა ხვითო გამოდნებოდა მისგან?

ყოფილიყო თავისთვის, ენერა წყალწყალა ლექსები და რაც უნდოდა ის ეკეთებინა.

გგონიათ, დაუფასა ამაგი ან ერთს ან მეორეს?

ეს მისი თვისებაა და არც უნდა გაგვიკვირდეს!

არაფრიდან, მალე ისეთ სიმალეებს მიაღწია, ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამინა - ქალამნად.

მერე აირია დრო-ჟამი და...

აქ, ერთი რამ რომ არ ჩავუერთო, არ შემიძლია: სულ ახლახან, ვაჟა ოთარაშვილმა, „ობიექტივის“ სატელევიზიო არხით გამოსვლისას დაახლოებით ამგვარი რამ განაცხადა:

ქართველმა მკითხველმა ორი გმირი გააუკვდავა: დათა თუთაშხია და... ყვარყვარე თუთაბერი!

და იცით, რატომ ასხენა ყვარყვარე თუთაბერი?

იგი პიროვნულად და სულიერადაც მისთვის საყვარელი გმირია!

იგი თავადაა პატარა ყვარყვარე თუთაბერი!

როგორც იტყვიან: ღმერთმა წამოაცდევინა სიმართლე!

და ყვარყვარეობდა კიდევაც, ოღონდ შემცირებული მასშტაბით!



კომუნისტებმა და კომკავშირმა მოგჭამა ჭირი და რა უნდა ექნა?

ჯერ ეროვნულ მოძრაობაში სცადა დამკვიდრება, მაგრამ ფეხი ვერ მოიკიდა და უმალვე აუღო ალღო!

გადაბარგებას რა უნდოდა, იქვე არ იყენენ პუტჩისტები?

იმათაც კაი მონატრებულივით ჩაიხუტეს!

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ, ამაგიც დაუფასეს და შევარდნაძისეულ პირველ პარლამენტში დეპუტატის მანდატით „დასაჩუქრეს“!

მისი ბიოგრაფიიდან კიდევ ერთი დეტალი გვინდა მოვავიწყოთ პატარა ყვარყვარეს:

საქართველოში, როდესაც უსაშინლესი და უსაზიზღრესი ძმათამკვლელი ომი მიმდინარეობდა, მისსავე რაიონის სოფელ ალაიანთან, როცა ულამაზესი და მამულისათვის გულანთებული რჩეული ვაჟკაცები მუხანათურად ჩახოცეს, სად ბრძანდებოდა მაშინ?

იქნებ, იქვე, სადმე ჩირგვებში იჯდა და გულმგობდად უცქერდა ყოველივე ამას? არ გეტყვინა მათი სიკვდილი?

არ დაგენვა სული და გული, ერთხელაც რომ არ ამოგიღია ხმა ამდენი ხნის განმავლობაში?

ჯერ ხომ ადამიანი უნდა იყო და მერე პოლიტიკოსი!

ვინ იცის, როგორ უყვარდათ მათ საქართველო და, შესაძლოა, შენზე ათასგზის მეტად!

რა აზრი აქვს შენთვის ამის შეგონებას - ყვარყვარეებს (გინდ დიდს, გინდ პატარას) სამშობლო არ გააჩნიათ!

ჰოდა, კაენის სისხლისმიერო ძმაო - გადაუტყატდი კიდევაც!

შენი საპარლამენტო მოღვაწეობიდან ერთ ეპიზოდს შეგახსენებ კიდევ:

სწორედ იმ დღეებში, კასპში, განათლების განყოფილების გამგის - ზაურ მხიარულაშვილის კაბინეტში, ჩატარდა კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების დამფუძნებელი კრება და უმალვე, სასწრაფო და გადაუდებელი ზომების მიხედვით ადგილზე მივლინებულ იქნა ვაჟა ოთარაშვილი, თუმცა... უმჯობესია, მწერალ ვაჟა ხორნაულს მოვუსმინოთ, რომელიც ამ ამბის თვითმხილველი გახლდათ:

„ყველას აინტერესებდა, თუ რა პოზიციას დაიკავებდა ვაჟა ოთარაშვილი. ამ ინტერესს ის ფაქტიც ამძაფრებდა, რომ იგი კასპის რაიონიდანაა. მის გამოსვლას მეც ინტერესით ველოდი, თუნდაც იმიტომ, რომ ვაჟა ოთარაშვილი ლექსებს წერს, რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორია...“

ვაჟა ოთარაშვილის გამოსვლა იყო თანაგრძობასა და სიტბოს მოკლებული. მისი ყოველი სიტყვა გვაგრძობინებდა, რომ იგი თბილისიდან წინასწარ შემუშავებული იდეით გახლდათ ჩამოსული... მისი აზრით, ზაურ მხიარულაშვილის კაბინეტში კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების დამფუძნებელი კრების ჩატარება,

ეს არის ანტიპოლიტიკა (აქაც და ქვემოთაც ხაზგასმა ჩვენია, - ა. ჩ.), თურმე ასეთი ბუდეები ლუპავენ საქართველოს! ეს არის ოპოზიციური მოძრაობა კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების ნიღბით! თურმე დიდი მწერლის საზოგადოების დაარსება კასპში ისეთი ფაქტია, რომელიც სახელმწიფოებრივ ინტერესებს ეწინააღმდეგება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს დივერსიული აქტები...“

მოკლედ, კავშირი გაბმულია, დანაშაული მხილებულია, პატრონები კმაყოფილნი და... მიზანიც - მიღწეული.

მორიგი ქულა ჩაგენერა აქტივში და, ალბათ, შენს ბედნიერებას საზღვარი აღარ ჰქონდა.

რა ჰქვია ასეთი საქციელის ჩამდენს, იცი? - ჩამშვები, მაგრამ ასეთი თვისება საცეცხეობით გაქვს მოდებული სულში და, ეტყობა, ამაყობ კიდევ!

კვლავ შევეცადოთ, დავინახოთ ვაჟა ოთარაშვილის პორტრეტის სხვა ჩრდილებიც ანუ გავაგრძელოთ:

წამოენია საქართველოს ავადსახსენებელი, ე.წ. ვარდების რევოლუცია და კვლავაც შეეცადა პატარა ყვარყვარე, შეეცვალა პატრონი!

წყულ ნაციონალებთანაც სცადა კოჭის გაგორება, თუ როგორ გამოუვიდა ეს, თავად განსაჯოს, მაგრამ ვ. ოთარაშვილმა თავისი მიღწევებით ნაღდად დაამტკიცა, რომ ყველა ხვერულს მოერგება!

მაგრამ დრონი მეფობენო და... უხსენებელი სააკაშვილიც ჩაბარდა წარსულს (თფუი, ეშმაკს)!

ქართულ ოცნებასაც მოუსინჯა კბილი, მაგრამ, ეტყობა, ტყემალი ეშმაკა და შედგა ყალყზე:

როგორ მოხდა, რომ მე - სიგუა-კიტოვან-იოსელიანისაგან ხელდასხმულმა, დაფასებულმა და ყოფილმა დეპუტატმა, იმდენი არ დავიმსახურე, რომ კულტურის სამინისტრომ ჩემი, საკმაოდ მდარე გემოვნების ლიტერატურული ჟურნალი არ დამიფინანსაო და... აუშუა აფრები.

შე მართლა დაუხანგვლო!

რამდენ ხანს გაფინანსებდა ედუარდ შევარდნაძის უახლოესი ნათესავი, თუ ამ უკანასკნელთანაც სასტიკად ჩაიჭერი?

ეს ხომ შენი თვისებაა!

თუ გგონიათ, ისტორიული მნიშვნელობის: „ცისკარი“, „მნათობი“, „დილა“ ან თუნდაც „ლიტერატურული საქართველო“ გახსენებია?

მარტო ჩემი და ჩემიო!.. ასეთია ეს კაცი და რა ვქნათ, გინდ ანფასით ატრიალე, გინდ - პროფილით!

რამდენი ჭუჭყიანი გუნდა ესროლა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს, მწერალ გურამ ოდიშარიას, რომლის შენევისა და ძალისხმევით ათეული წლების განმავლობაში ნაქცეული ქართული მწერლობა ფეხზე დგება და ძალას იკრებს, იმედი ეძლევა და თვალეში იხედება.

და ეს ყველაფერი, სწორედაც, გურამ ოდიშარიას დამსახურებაა.

მაგრამ ავსა კაცსა ავი სიტყვა-ო, რომ იტყვიან, ალბათ, ასეა!

იქნებ დაგავინყდა პატარა ყვარყვარე, როგორი სიყვარულით სავსე ლექსი (ხარისხზე ვერაფერს მოგახსენებთ!) მიუძღვენი გურამ ოდიშარიას, ან იქნებ ისიც დაგავინყდა, გაზეთ „ახალ თაობაში“ რომ წერდი: კულტურის სამინისტროს ჩემი მეგობარი ჩაუდგა სათავეში და ანი ჩემს ბედს ძალი არ დაჰყევსო?!

ეჰ, შენისთანა „მეგობარს“ რა ვუთხარი! ახლა ვნახოთ, მართლაც, სად მარხია ძაღლის თავი და რა პრეტენზიებს უყენებს კულტურის სამინისტროს პოეტი ვაჟა ოთარაშვილი?

„მე გახლავართ კულტურის სახელმწიფო კონცეფციის ავტორი, პირადად მივართვი(!) კიდევ - დანყებული შევარდნაძის ეპოქის მინისტრებიდან, დამთავრებული გურამ ოდიშარიათი, მაგრამ კვლავ არავითარი რეაგირება!.. მაინტერესებს, ევროკავშირში რომ მოვანერეთ ხელი(!) ასოცირების(!) ხელშეკრულებას (!) - მინისტრს ან მის მოადგილეებს წაკითხული აქვთ ევროკავშირის პროგრამები(!) კულტურაში?“!

მოდით და ამ აზღაუბდიდან გაიგე რამე, მაგრამ რალაცას მაინც შევეცდებით:

კულტურის სახელმწიფო კონცეფციის ავტორი!

თუკი პირადად „მითრავი“ შევარდნაძის მინისტრებს, მერე სააკაშვილის ეპოქის მზეთუნახავი მინისტრებიც შედ მიაყოლე, თუკი ამ ორი ეპოქის მინისტრებმა ეგ შენი კულტურის „სახელმწიფო კონცეფცია“ დაინუნეს და უარყვეს, გურამ ოდიშარია გეგონა სულელი!

ისე, სიტყვას მოყვა და არა ევროკავშირში, არამედ ვილიუსში(!) შედგა ევროკავშირთან ასოცირების პარაფირება და არა ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა!

ამის შემდეგ რალა გიკვირს, თუ ბატონ მინისტრს და მის მოადგილეებს არა აქვთ წაკითხული ევროკავშირის პროგრამები... კულტურაში!

და რაკი შენ ასე განათლებული ხარ და გადაგიბუღებულე ვეროკავშირის პროგრამები კულტურაში, წარმოდგენილი გვაქვს, რა დონის იქნებოდა შენი კონცეფცია!

ასეთი სულელური ხუმრობა გამახსენდა: „ჩოხატაურამდე უფრო შორსაა თუ... ხაჭაპური უფრო გიყვარს“-ო!

ეტყობა, ამდაგვარი ბრძნულ-ბრძნული შეგონებებით იყო სავსე შენი კონცეფცია და ამიტომ დაგინუნეს... სამართლიანად!

ამიტომაცაა, რომ გურამ ოდიშარიას, ანდა მანანა ბერიკაშვილს არ „ევასები“ (შენივე სიტყვებია იგივე სტატიიდან)!

ალბათ, ამის გამოა, რომ ინყველები და იფურთხები კიდევ:

„კულტურის სამინისტროს არანაირი ქართული იდეოლოგიით შეჯერებული პროექტები არა აქვსო!“ - ბრძანებს ოთარაშვილი.

აბა, ერთი შენი ჟურნალი და „კონცეფცია“ დაეფინანსებინა და მერე ვნახავდი, როგორ აჟღერებულდებოდი.

და იქვე: „საკაშვილის ხელისუფლება იყო სადისტი, დღევანდელი კი - იმპოტენტი“! აფერუმ, შენ!!

პითხვაჰი უკომენტაროდ, რომელიც პატარა ყვარყვარეს მწერალთა კავშირში მოღვაწეობას შეეხება

1. ბრალდებაში გონივრულად ეჭვმიტანილი, მოქ. ვ. ოთარაშვილი!

სად და რანაირად შეჭამე 1400 000 (მილიონ ოთხასი ათასი) დოლარი, რაც მწერალთა კავშირის საკუთრებაში არსებული გამომცემლობა მერანის კუთვნილი ფართის გაყიდვით მიიღე და ჰალალად შეირგე?

დასასრული 20-6 გვ.

►► 30-5 გვერდიდან

2. მოქ. ვ. ოთარაშვილი!
რა ამისთანა, საქართველოსთვის ძვირადღირებულ ლექსებს წერდი, რომ ადრეული ჰონორარით საკუთარი ბიუჯეტი ასე შეივსე; უძრავ ქონებას აღარ იკითხავთ? (ბინები, ავარაკები და ა.შ.) და მოძრავი (ავტომობილები)!..

3. მოქალაქე და ბრალდებულნი გონივრულად ეჭვმიტანილო ვ. ოთარაშვილი!
რატომ გაუყიდე ქართველ მწერლებს მინის ნაკვეთი აჭარაში და მაინც დამაინც... სომხებს გადაუფორმე?

4. ბრალდებულნი გონივრულად ეჭვმიტანილო (და ჩვენი ხელიდან უკვე სასჯელგამოტანილო)!
მოქ. ვაჟა!
სად წაიღე ის თანხები, რომელსაც ქ. თბილისის მერია - ქაჯარავას და სამადაშვილის ფონდიდან დახმარების სახით უყოფდა ქართველ მწერლებს?

5. რას ერჩოდი ახალგაზრდა მწერლებს, იგივე თბილისის მერიიდან მათთვის გადმოცემული საპრემიო ანაზღაურება რომ გაუფლანგ-გამოუფლანგე?

6. რას ნიშნავდა გარდაცვლილი მწერლებისთვის სახელობითი პრემიების მინიჭება და გარდაცვლილთა ოჯახებისთვის ერთი ლარის არმიცემაც კი?

7. მოქ. ვაჟა!
როგორ ავხსნათ, თქვენდამი დაქვემდებარებულ და ხელახლა აღორძინებულ გამომცემლობა „მერანში“ ხელფასის სახით საკუთარი თავისთვის 1500 ლარის დანიშნვა (პლუს ათასი ლარი-პრემიალური) ყოველთვიურად და იმ კოლეგა-მწერლებისთვის, რომელთაც არანაკლები ჯაფა ადგათ... 120 ლარისა?

8. რანაირად მოხდა, რომ შენ, მწერალთა კავშირის კუთვნილი შენობა ქ. თბილისში ნუცუბიძის ქუჩაზე, ორჯერ გაატარე საჯარო რეესტრში - დაბალი და მაღალი ფასით!
ფიქრობ, რომ, ალბათ, იმ იმედით, ოდესმე გაყიდდი და ჩვეული მაკარანცხობით, ეს შენობაც საკუთრებაში შეგერჩებოდა!
მაღლი უფალს, რომ აღარ დაგცალდა!..

9. იქნება ახლა მაინც გავიძინე, ის მოძველებული პოლიგრაფიული დანადგარები რა ფასად შეიძინე და არსებობს თუ არა ყიდვა-გაყიდვის რაიმე სახის ხელშეკრულება? კი?
და ა.შ. და ა.შ...
კითხვები, მართლაც მრავალია, ჩემო ვაჟიკო და, ადრე თუ გვიან, მაინც მოგიწევს პასუხის გაცემა.
ხოლო იქამდე:
იარე!
იარე!..
იარე!
ამინ!

ოლონდ ისე იარე, შენგან ავად დაგდებულ ქვას არ წაანყდე სადმე და კისერი არ მოიტეხო!

დასკვნა, რომელიც მითად... მტკივნეულია

ბევრჯერ გვითქვამს და ახლაც ვიმეორებთ, რომ საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის თვითმიზანი არაა ვისიმე განქიქება ან გასამართლება, ცვდილობთ ხმამაღლა გამოვხატოთ სატკივარი - ავს ავი ვუნოდოთ და კეთილს - კეთილი! ფიქრობთ, გავერკვეთ, რა დაგვემართა და რატომ? ზოგჯერ მკაცრად, მაგრამ გვნამს, რომ სამართლიანად ვუთითებთ კოლეგებს იმ შეცდომებზე, რაც ჩაიდინეს და ამით, მომავალ შემოქმედებით თაობას ვაჩვენებთ, როგორ არ უნდა მოქცეს!
მტკივნეული პროცესია, მაგრამ აუცილებელი.
თუ არ განვინმინდებთ იმისგან, რაც უკანასკნელი წლების მანძილზე ქართულ სულსა და გონებას ამღვრევდა, თუ წამალს ვერ მოუშებნით ჩვენში ჩაბუდებულ ავსენს, მაშინ ყოველგვარი გარჯა-მკურნალობანი ცუდად აქიმობას დაემსგავსება!..
რაც შეეხება ვაჟა ოთარაშვილის ფენომენს, მართლაც რომ უნიკალურია!
იგი სივრცის და დროის მიხედვით მუდმივად იცვლის ფერს!
თუკი ხანდახან ყვარყვარესავით მართლაც მოუნევს გამოქვაბულში შეძრომა, იცის, რომ იქიდან აუცილებლად გამოვა და კვლავ წამოაჯდება ქვეყანას თავზე.
ამიტომაც, შეძლებისდაგვარად, შევეცადეთ შეგვექმნა მისი რეალური პორტრეტი.
თუ რამდენად გამოგვივიდა, ეს მკითხველმა განსაჯოს, მაგრამ ერთი რამ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ: ასეთი მრავალსახოვანი იანუსები დღესაც მრავლადაა საქართველოში!
ასეთ მრავალსახოვან იანუსებს უფლება არ უნდა მიეცეთ, ქართველ ხალხს ზნეობაზე, მორალსა და სინდის-ნამუსზე ელაპარაკონ!
გულწრფელად გვინდა ვურჩიოთ მედიაკავშირ „ობიექტივს“, გაზეთებს: „ახალ თაობას“, „ქრონიკას“ და ყველა საინფორმაციო უწყების ხელმძღვანელს: ნუ ჩაიძვრენთ გველს უბეში ისე, რომ მერე მისი ნაკბენისგან ვეღარ განიკურნოთ!
არადა, რა მწარე და შხამიანი კბენა იცის, ეს ჩვენს თავზეც გამოგვიცდია!..
სანამ ახლოს გაიკარებდეთ, კარგად დააკვირდით და დაიხსომეთ:
ფრთხილად, თქვენს წინაშე... ვაჟა ოთარაშვილია!

ავთო ჩხაიძე
პოეტი, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის წევრი

„საერთო გაზაფხულის“ რედაქციისგან:

ავთო ჩხაიძის აქ გამოქვეყნებულ წერილს ერთი სერიოზული ხარვეზი აქვს: მასში საქმე ისეა წარმოჩენილი, თითქოს კულტურის სამინისტროს და კულტურის მინისტრს მხოლოდ ერთი ვაჟა ოთარაშვილი ებრძოდეს.
არადა, სინამდვილე ცოტა სხვაგვარი და სხვანაირია.
ვინც ქართულ პრესას სისტემატურად ადევნებს თვალს, დაგვერწმუნება, რომ ბოლო სამი-ოთხი თვეა, კულტურის სამინისტროს და კულტურის მინისტრის წინააღმდეგ მიზანმიმართული, კარგად ორგანიზებული კამპანია მიმდინარეობს, რომლის მიზანი, როგორც ჩანს, კულტურის სამინისტროს ამჟამინდელი ხელმძღვანელობის სრული დისკრედიტაციაა.
ძნელი სათქმელია, რა ძალები დგანან ამ აგრესიული, ხაზგასმულად მტრული პიარკამპანიის უკან, თუმცა ერთი რამ ცხადია: ვიღაც-ვიღაცებს, ეტყობა, ძველი, „ტკბილი“ და „კეთილი“ დროის უკან დაბრუნება სურთ, როცა ათი ათასებს და ასი ათასებს ისე იჯობავდნენ, მომკითხავი და ხმის გამცემი არავინ იყო.
კულტურის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელების „დანაშაული“, ალბათ, ის არის, რომ მათ აღკვეთეს სამინისტროში ადრე არსებული განუკითხაობა და კულტურის სფეროში მოპარპაშე მაფიას კარები მიუხურეს.
აი, ამას ვერ პატიობენ მავანნი და მავანნი გურამ ოდიშარისა, მანანა ბერიკაშვილს, მარინა მიზანდარს, ალექო მარგიშვილს, თორემ კულტურის ბედი და საერთოდ, ქვეყნის ბედი მათ ფეხებზე ჰკიდიათ.
კულტურის სამინისტროს ისე, როგორც სხვა სახელმწიფო სტრუქტურებს, ძალიან მძიმე მემკვიდრეობა ერგოთ, რომლის გასწორებას და გაჯანსაღებას დრო სჭირდება.
ამასთან ერთად, ალბათ, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენს საზოგადოებას უჭირს დაამსხვრიოს ის მენტალური ხასიათის სტერეოტიპები, თუ როგორი უნდა იყოს ხელისუფლების წარმომადგენელი.
წლების განმავლობაში ჩვენ შევეჩვიეთ დიდკაცურად გაფუყული, ამპარტავნულად მომზირალი ჩინოვნიკების ცქერას და წესიერი, თავმდაბალი ადამიანების გამოჩენას სახელისუფლებო ორბიტაზე თითქოსდა ვერ ვეგუებით.
იქნებ, ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ზოგიერთს გურამ ოდიშარია სწორედ თავისი წესიერების და ინტელიგენტურობის გამო არ მოსწონს და მისგან რეპრესიული ზომების გატარებას მოითხოვს.
რეპრესიებით ქვეყანა არასდროს აშენებულა და არც ახლა აშენდება, თუმცა კულტურის სამინისტროს ზოგიერთ საკითხში მეტი პრინციპულობა რომ მართებს, ესეც ცხადია.

„საერთო გაზაფხულის“, №34, 22 იანვარი, 2014 წ.

გონიერი საქართველო საქართველოსთვის!

ვაჟა კალანდია

„... დღეს რაც არ გვაკლია საქართველოში, პირდაპირ ვიტყვი, დამანგრეველად ბევრია - ეს არის ქვეყნის გარე ძალთა მსახური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკოსები, საინფორმაციო საშუალებები...“

რაც არნახულად გვაკლია - ეს არის ქართული განწყობის, სახელმწიფოებრივი აზროვნების საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები, საინფორმაციო საშუალებები. პირველთა არნახულად აფინანსებენ გარედან, მეორენი კი, რომელნიც სასიცოცხლო არიან საქართველოსთვის, სულს ლაფავენ.

დამაფიქრებელია...“ -
წუხს ბატონი რეზო ჩხეიძე.

ბატონი რეზო ფრთხილობს, მისი ინტელექტი, საკუთარი ქვეყნის სიყვარული, ერთგულება არ აძლევს იმის უფლებას, რაც გვჭირს, პირდაპირ გვითხრას, თუმცა, რაც თქვა, „დამაფიქრებელი“ კი არა, უკვე დამლუპველია! საკუთარი ქვეყნის შეგნებულ ლალატია ეს და მეტი არაფერი! ამ ლალატში ყველა, დიდიან-პატარაიანად ჩართულნი ვართ ჩვენი გაუბედაობისა თუ დუმილისა გამო. ყველა ვხედავთ, მოღალატურ საქციელსა და უზნეობას მეტი დამცველი ჰყავს, სხვადასხვა კანონითა თუ ქართული გამყარებული. ამას, გვინდა თუ არ გვინდა, ყოველ ნაბიჯზე ვაწყდებით. სამწუხარო ის არის, რომ არამარტო ერის წარსულისადმი, მისი კულტურისა თუ ინტელექტისადმი ტოტალური ზიზღია განფენილი და ამის გამავრცელებლად პრესა, ტელევიზია და არასამთავრობო ინსტიტუტები გვევლინებიან. იქამდე მივედით, სრულიად საქართველოს პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე საქირქილოდ გაიხადეს ე. წ. თავისუფალმა ტელეარხებმა. კი, მართლმადიდებლები ვართ, პირველის წერა გვიყვარს, ჯვრის ტარებაც, როგორც ლამაზი აქესსუარის, ვლოცულობთ კიდევ, ალბათ, მაგრამ რისთვის, როცა არც ღმერთი გვნამს, არც სამშობლო და არც ოჯახი... ელგეპედეთა განწყენებას ლამის ერის სირცხვილად გვითვლიან... მართლმადიდებელიც არიან - ისინიც ხომ ქართულ ოჯახებში გაიზარდნენ...“

ბატონი რეზო მიმართვა საზოგადოებისადმი საკმაოდ ვრცელია, ის დინჯად, ჩვეული სიბრძნით გვიხსნის, რამდენად საჭიროა მშობლიური ენის, მამულის, ადათ-წესის თუ კულტურის მოვლა და პატრონობა...“

მ თებერვალს დავით აღმაშენებლის დაბადების დღეა!

ქართული უნივერსიტეტის დაბადების დღეა!..

სწორედ ამ დღეს იხსნება ერთი, თავისი დანიშნულებით საინტერესო ტელეარხი - ტელეარხი „ქართული“.

ეს დიდი დღეა!

ისიც შთამბეჭდავია, რომ ახალმა ტელევიზიამ მათუყვებლობა სვეტიცხოვლიდან დაიწყო და ახლა თბილისში, საკუთარ ჭერქვეშ დამკვიდრდა.

...
ახლა ერთი ამბავი ატყდება არასამთავრობოებში - ვინ დგას ამ ტელეარხის უკანო?

დამშვიდდით, ბატონებო!
ერთი დანამდვილებით ვიცი და სიამაყით ვიტყვი: ამ სატელევიზიო არხის უკან დგას მისი უდიდებულესობა - გონიერი საქართველო!



მარადისობის ბინადარი

ორმოცი წრე გააკეთა დედამიწამ მზის გარშემო მას შემდეგ, რაც შეწყდა ჭაბუა ამირეჯიბის მიწიერი მავისცემა, დადუმდა სიბრძნისმეტყველი ენა ქართული სიტყვის დიდი ხუროთმოძღვრის, ქართული პროზის არსაკიდის - დიდი ჭაბუა ამირეჯიბისა; ვრცელ, სულიერ კოსმიურ სივრცეში გადაინაცვლა კიდევ ერთმა ქართულმა მანათობელმა ეტლმა...“

განუზომელია მისი ღვანლი: ქართული მწერლობის, ქართული სულიერების წინაშე და არამარტო ქართული - მან კიდევ უფრო გაამდიდრა მსოფლიო კლასიკა; ხელიხელსაგომანებლად დარჩება მისი შედეგები და უკვდავი ქმნილებები - სახეოდ პოპულარული „დათა თუთაშხია“ თუ „გორა მბორგალი“.

იგავმიუნვდომელი იყო მისი ჯვარცმული ცხოვრება და ამირანის ბედი, მაგრამ... ხელთ, ტირტეოსისვით, გრძნეული ჩანგი ეყურა. ამიტომ იყო, რომ სიცოცხლეშივე მიატოვა მიწიერი ყოფა და ვრცელი, ზოგადსაკაცობრიო კაბადონის კუთვნილება გახდა.
ამიერიდან მისი სახელი მიჯნადაუ-

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის კახეთის რეგიონული ორგანიზაციის სახელით: ვარნაოზ რაინაული
აკაკი დაუშვილი



კობა იაკობ აბა არაბული

ფსოვის საკრალურ დროთა მისტიკა

იერემიას, ესაიას, ბარუქის, აბდიას, მალაქიას, ზაქარიას და სხვათა) გამოცხადება რასისტის „უფამო ჟამზე“, ბედისწერულ დროში, რომელიც არაერთხელ „ჩამოუდგა“ ამ ხალხს!

ადამიანთა მასისთვის, ეტყობა, მიწიერი სამყარო ერთგვარი „უდაბნო“ იყო, სადაც გზის გაგნება უჭირდა ისევე, როგორც ფარას, რომელსაც ერკემალი არ ჰყავს. ანდა ჰყავს ისეთი, რომელიც პირდაპირ „საფლავთა მინაზე“ შეუძღვება!

ჭეშმარიტ ნათელმხილველს (ქადაგს) შეუძლია, ერი, რასა (თემი, საყმო) ააცილოს „სიკვდილის უდაბნოში“ შესვლას!

თავისი არსებობის ბედისწერული „უდაბნო“ ყველა ტომს და ხალხს აქვს გასაველი, ამდენად, ზოგი ადრე იმარხება იქ და ზოგი გვიან! ებრაელთა რასა, გარკვეულნილად, „მკვდარი ტბებიდან“ ნათელმხილველთა და მისტიკურ ბელადთა სიბრძნემ და თავგანწირვამ გაიყვანა...

მაგრამ არაერთი გენიალური რასა დაიმარხა „უფამო ჟამის უდაბნოში“, მათ შორის, პირველი ცივილიზაციების შემქმნელი (მინაზე) – შუმერები და ხეთები... (ხათები)

კოლხურ-იბერიული რასა გადარჩა, როგორც ლოგოსურ ცივილიზაციათა გენეტიკური მემკვიდრე. მან გააღწია „სიკვდილის უდაბნოდან“ და ამ რასის გარკვეული ნაწილი „დალაგდა“ კავკასიის „სოლარული“ მწვერვალების წრეზე, როგორც „ფუტკრის სკები“ და იქ უამრავი ეზოთერული ცოდნის (და ენერჯის) მეოხებით მოიპოვა დედამინაზე დარჩენის და სიცოცხლის კოდი...

ჩვენ ჯერ კარგად არ ვიცით, როგორ შეძლო ჩვენმა რასამ გადარჩენა, როგორ მოახერხა მან ეს (!?), მაგრამ ვიცით ერთი რამ (რის დასაბუთებასაც მე ვცდილობ): მან შეინახა კოდირებული ცოდნა ერის (ეთნოსის, თემის) მისიის გადარჩენის და მისი არსებობის შენარჩუნების შესახებ. „ანდრეჟული მეხსიერების“ (უნიკალურ ცოდნათა „პალიმფსესტების“) სახით, რომელიც არ იშლება და არ ქრება და რჩება ცარიელ სივრცეშიც კი „მოძრავი, მირაჟული“ „ჰოლოგრამების“ სახით. მაშინაც კი, როდესაც „თემი გადის“ (ან გაჰყავს) ამ სივრცეიდან!

ჩვენ ვიცით, რომ ქართული მოდგმა (მისი ჯიმი) განუწყვეტლად გაჰყავდათ (და გაჰყავთ) საკუთარი, საკრალური „სადღოთი სახლიდან“ – ყრიან, დევნიან, მარხავენ... მაგრამ მაინც ვიღაც და რაღაც რჩება!

რჩება „ანდრეჟული“ ცოდნა და გენეტიკური კავშირი... და უწყვეტი რიტუალი ნინაპრებთან ურთიერთობის, მათთან კავშირისთვის, ვინც იყვნენ, თითქოს ნავიდნენ და მაინც არსად არ წასულან!

რჩება უწყვეტი კავშირი მომავალ თაობებთან, რომელნიც ჯერ არ შემოსულან წუთისოფლის სახლში, მაგრამ აქ მათ ნინაპრების (პაპების, ბაბუების, უცნობ მეომართა სულების) სახელები ელოდებათ!

მათ დაბადებამდე დარქმეული აქვთ გარდასულთა სახელები!

ეს „სახელდებულები“ სულები, გარდასულთა და მომსვლელთა, ანუ ჯერარმოსულთა, მოძრაობენ ამ სივრცეში და ქმნიან „მთლიანობის აურას“, რაც რასის არსებობისთვის უმთავრესი პირობაა...

ხევსურეთში, ფსოვის უძველეს საყმოში, ნათელმხილველთა და ქადაგთა უფლისგან „ხელდასმული“ კასტა არსებობდა: „ქადაგობს გაიდაური, ბრძანებს გუდანის ჯვარიო“! – გვეუბნება ანდრეჟული ლექსი – გაიდაური გუდანის ჯვრის ნებას აცხადებს! ამავე ქადაგმა ხევსურთა ლაშქარს კრწანისზე მარცხი მიანიშნა და ომში შესვლა არ ურჩია, მაგრამ „მეომართა კასტამ“ არ „დაიშალა“ და,

რაც მოხდა, ვიცით! თუმცა მათ თავიანთი მისია მაინც აღასრულეს, მეფე გამოიყვანეს სიკვდილის ველიდან...

ფსოველი ქადაგი ყოველ წელნადს (ან გიორგობის სამეურნეო წლის ჩამოდგომისას) ჯდებოდა გუდანის, ხახმატის, ბაცალიგუს ან ზეისტეროს ჯვრის „კვირეში“ და აცხადებდა ერთიანი საყმოს ბედისწერას... უცხადებდა მლოცველს, რა ელოდებოდა და როგორ უნდა მოქცეულიყო იგი!

თემის ცხოვრება ქადაგთა და ხევისბერთა ამ „საკრალური“ ცოდნის და ხილვების გზაზე გადიოდა!

ქადაგი (და ხევისბერიც) საყმოს ანდრეჟთა არსს აცნობდა და ხსნიდა! როგორც ერთხელ უკვე ვთქვით: ანდრეჟი იგივე მითია, ოღონდ ხევსურთა ანდრეჟული ინფორმაცია უფრო მისტიკური და გაცხადებადი! იგი მეორდება დროში და საყმოს ცხოვრებაში.

„ანდრეჟი, მართალია, ამბავა – ტყუილი“, – გვეუბნება ხევისბერი – კითხული კაცი. „ამბავაში“ იგი მოგონილ (შეთხზულ) ზღაპარს გულისხმობს, რომელიც შეიძლება შეიცავდეს რაღაც მორალს, მაგრამ არა აქვს „გაცხადების“ უნარი!..

ფსოვში ყოველი მოვლენა ანდრეჟს ექვემდებარება (ანუ ნინაპართა დროში შენახულ მყარ ცოდნას): „უანდრეჟო მოვლენანი“ თითქმის არ არსებობს, თუმცა ასეთი რამ შეიძლება მოხდეს: ეს უკვე ალბათობაა!

ხევსურთა ანდრეჟით, უანდრეჟოთა ის, რაც ადამიანთა გონების უგნურებით იქმნება და თავისთავად არასოდეს მომხდარა ბუნებაში, ანდა საყმოს ცხოვრებაში. არც ნარღვნა, არც მინისძვრა, არც „ცაზე ნითელი მზის“ და „ორი მზის“ დგომა, – უანდრეჟო მოვლენა არ არის! თვით „ჟინვალის წყალსაცავსაც“ კი წინ უძღვის კოპალასა და „კართანელი დევების“ ანდრეჟი (მითი): რომელიც უხსოვარი დროიდან მიგვანიშნებს იმ მოვლენაზე, რაც ფსოვის კართან გაცხადდა ჩვენ დროს, სწორედ იქ და იმგვარად, როგორც მითი გვაუწყებს!..

მითივე აცხადებს ამ წყალსაცავის („სიძურის“) გაუქმების გარდუვალობას.

ქადაგთა (ხევისბერთა, კითხულ კაცთა) ინსტიტუტი და ანდრეჟული ცოდნა ქაჯავეთში ნაქსოვი უჩინარი ჯაჭვის რგოლებით ერთმანეთის ნაწილია. მითი ცოცხალ საყმოსთან მთლიანობაში ცოცხლობს, თუკი კვდება და მიდის ქადაგთა და მითის ამხსნელთა (შემცნობთა) კასტა – კვდება მითიც, იგი რჩება ქადაგდებზე, და ხელოვნებაში, ვთქვათ, როგორც „ბერძნული“ „გაკომიქსებული“ მითები და კარგავს სიცხადის, ანუ „გამეორებადობის“ უნარს!

მითს თუ შემცნობი არ ეყოლება, იგი კარგავს ცოცხალ ფუნქციას, როგორც ერის არსებობის და „მოძრაობის“ ფორმულა და იქცევა ზღაპრად...

ხევსურთა მითი (ანდრეჟი) იყო ცხადი „ფორმულა“ საყმოს დაცვის, რადგანაც მას შემცნობი „მედიუმთა კასტა“ ჰყავდა ქადაგთა და ხუცესთა სახით!.. ახლა ანდრეჟული ცოდნა და ფსოვის საყმოს არსებობა რეალური კვდომის ზღვარზე დადგა, ვინაიდან ქადაგთა და ხევისბერთა ისტორიული კასტა მთლიანად წარსულში, ანუ „უფამო ჟამში“ რჩება (სამწუხაროდ!).

ფსოველი ქადაგი ბრძანებდა, რომ ყველა ხილული, ცოცხალ არსებას თავისი დრო აქვს და ეს დრო ყველა მათგანისთვის ცალ-ცალკე გადის – რამდენი ადამიანიც იბადება, იმდენი დროა! ზოგისთვის გრძელია, ზოგისთვის – მოკლე, ზოგისთვის – „მწარე“, ზოგისთვის – ტკბილი! („გეთ ხარ წუთისოფელი – ბაღში რომ ჩავა ხილიო, ზოგთა საქმელად მწარე ხარ, ზოგთად – ძალიან ტკბილიო“. ხომ არის გენიალური?!).

არის შეკუმშული დრო, როდესაც ერთი წელიწადი ათასს მოიცავს!

ქრისტეს თითქოს 33 წელიწადი მიეცა, მაგრამ უსასრულო დრო და სივრცე მოიცვა!

შეიძლება პასკალისთვის და ბარათ-აშვილისთვის ნაბოძები დრო გაცილებით „ბევრი“ იყოს, ვიდრე ჩვენ გვგონია!

„დრო ყველასთვის ცალ-ცალკე გადის. ზოგისთვის გრძელია, ზოგისთვის – მცირე, ზოგჯერ მცირე დიდად წარმოგვიდგება და დიდი – მცირედ, როგორც სიზმარშია“ – გვიცხადებს ანდრეჟის მთხრობელი მედიუმი...

ქადაგი საკუთარ ბედისწერასაც ხედავს და სხვისასაც. თარხანთა გაგამ ბრძანა:

– მართლაც, ბატონიშვილის მდევარმა რუსის ჯარმა ცეცხლში დაწვა ეს ქადაგი! – ფუნჩიას ჯიმი გადაშენდებინაო! – ბრძანა კომხელმა ქადაგმა! განრისხებული ფუნჩია აბჯარასხმული წარემართა ამ „წყეული“ ქადაგის მოსაკვდინებლად: ფუნჩიას გზაში ხიდი ჩაუტყდა და აღიძებულმა წყალმა შთანთქა! ასე ასრულდა ქადაგის წინასწარმეტყველება (სიტყვა) და ფუნჩიას ჯიმი!..

იგივე ქადაგი ბრძანებდა: დრო შემოკლდებო... და ეს მართლაც ასეა.

ქადაგთა და მედიუმთა კასტა ამხნევებდა თემს (საყმოს) და მოვლენათა წინასწარ შეცნობის კარს უხსნიდა!

აღლიამ – ხევსურთა ქარიზმულმა ბოლო ქადაგმა – ბრძანა მინა იძვრის, ყველანი გარეთ გამოვითო! მართლაც იძრა მინა და ხალხი გადარჩა...

კიდევ ერთხელ იქადაგა აღლიამ: მინა ისევ იძვრისო! ხალხი გარეთ გამოვიდა, მაგრამ მინა აღარ იძრა! რა მოხდაო, – ჰკითხეს ქადაგს, – ნუთუ შეცდიო?..

– არაო, – მიუგო ქადაგმა. – ჩემი ნათქვამი „იქ იმათ“ გაიგეს და მინისძვრა გადაიღო, სხვაგან, სხვა დროს მოხდებო!...

ვინ „იქ და იმათ“ გაიგეს?.. ეს ურთულესი, ქადაგის მიერ „გამჟღავნებული მოვლენა“, რომელშიც არის დიდი მისტიკური საიდუმლო! იგივე ხდება შემერებში, როცა წინასწარმეტყველს არა აქვს განრისხებული ენლილის სასჯელის გაცხადების ნება...

როცა ხევსურეთის ბოლო ქადაგი – აღლიაც წავიდა (ამ ქოთხედი საუკუნის წინ): ამით დასრულდა ქადაგთა მისტიკუ-



დასასრული მე-8 გვ.

►► 30-7 გვერდიდან

რი კასტა ხევისურეთში. თითქოს ცასთან კავშირი განწყდა! და თემმა დაიწყო გასვლა ერთი ჟამიდან მეორეში – ურნმუნობის და უიმედობის სივრცეში, როცა ხმა არც ციდან მოდის და არც მიწიდან...

VII

ეთნოლოგ მ. კობახიძის აზრით, ფხოველთა სამაგანძურო ტომი ისე განიჭრევა სხვა ქართველ ტომთაგან საიდუმლო ცოდნით, როგორც ლევიტელი ისრაელიტელთაგან. მათნი ადათ-წესნი და რიტუალნი, განსაკუთრებით ყრმათა მიბარება ჯვართა მფარველობაში და ხარის სისხლით მათი განათვლა, ძალიან ჰგავს ატლანტთა ხევისბერების (ქურუმების) რიტუალებს... (ყურნალი „მითი და ტრადიცია“).

ვერ იტყვი, რომ ეს აზრი მოკლებულია ჭეშმარიტებას ან ემოციას, რომელიც მითიდან შემოსულ ინფორმაციას მოაქვს ანდა მოაქვს რიტუალებს და ქვებს, რომლებიც ფხოვის თემის ყოველი სალოცავის ბჭესთან არის ჩადგმული და ვერ კიდევ არ გასულა ჩვენი მესხიერებიდან!

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა „მითში მდგარი მითი“ – ერთი, მეორე, მესამე საიდუმლო ინფორმაცია, რომელიც იმიჯნება ათასწლეულთა შრეებით და წინას მომდევნო ფარავს: – მათი შეცნობა და გამოფრვა შეუძლებელია რომელიმე „ინფრანთელი“ სხივებით, მის გვერდზე, ახლოს ვერ დგება „ტექნო-გენური“ ენერგია, როგორც ეშმაკი ვერ დგება სინათლის სხივთან... მას მხოლოდ ღვთიური ინტელექტი და ინტუიტიური ჭკვიერება აცხადებს!?

იბერთა უძველეს რასას იმ დროს არ დაუნერია „ბიბლია“, მაგრამ მან „ანდრეზთა“ სახით შექმნა სხვა უცნობი „ბიბლია“, რომელიც ფხოველთა თემის („საყმოს“) მესხიერებაში დღემდე ინახება, როგორც სინათლის სხივი კოსმოსში, რომელსაც მილიონი წლის მერე შეუძლია მოვიდეს ჩვენამდე და დაგვანახოს „მზე“, ამ სინათლეს რომ ასხივებდა! ჩვენი „ანდრეზი“ ასეთი დაუნერელი მატერიცია ფხოვის ცნობიერებაში დამარხული.

ბიბლიის მკვლევართა ერთი ნაწილი გამოთქვამს მოსაზრებას მოსეს რჯულის კანონთა და ხევისურული ადათ-წესების მსგავსების (თითქმის იგივეობის შესახებ) და ეს მართლაც ასეა!

– ხევისურულ, ანუ ფხოველ ადათ-წესთა, რჯულის კანონთა, ზნეობრივ კოდექსთა ბუნება და „ბიბლიური“ – ანალოგიური!

ასევე ანალოგიურია ხევისურთა ანდრეზული ცოდნა და სამეურნეო კალენდარი, მედიცინა, მკურნალთა და ქადაგთა ინსტიტუტი, სამოსელი შუმერულ-ქალდეურ-ხათურ, კრეტა-მიკენურ ცივილიზაციებთან.

„პელორის“ სახელით იხსენებს არაგვის ხეობას სტრაბონი – რა საიდუმლო ჩამოაქვს ამ მდინარეს ქრისტემდელი და ქრისტესმემდგომი, წარღვნამდელი და „ბიბლიამდელი“ საუკუნეებიდან, რა ცოდნა და საკრალური (ენერგეტიკული) ინფორმაციებია აქ, ამ ხეობის წილში დამარხული მოსემდელი თუ მოსეს შემდგომი სამყაროდან? – ეს მეტად მნიშვნელოვანი და არსებითი თემაა საკუთარი თავის, ანუ ერის მისიის შესაცნობად და დასმული კითხვაც პასუხს მოითხოვს!

ეს შეკითხვა და საკითხის ამგვარად დასმა არ უნდა „აშფოთებდეს“ „ბიბლიას“ და „ბიბლიელებს“, ჩვენ საკუთარ ანდრეზთა ვერსიებშიცნობად არ უნდა ვიქცეთ ვინმეს „ხათრით“, ვინაიდან ვერს, რომელსაც „ფხოვის ხეობაში“ დაფარული აქვს გახუას მითი, უდგას „დედამინის შუა სამანი“ (ხადუს სალოცავი ცროლ-ზე) და მდინარეებს ჩამოაქვს თორღვა ძაგანის „ჩაშლილი ჯაჭვის თვალი“ და აბუდელაურის ტბიდან – შედეგებული დევის სისხლი... ვერს, რომელსაც დღემდე



შემორჩა „ოთხრქა – ოთხყურა“ მითოლოგიური ცხვრები – „სიმურდანი“ იახსარის ამომყვანი – სხვა ნება უნდა ჰქონდეს!

ძველ დროში ფხოველმა მეომრებმა გზა მოუჭრეს ჩრდილოეთის „შავი ხვრელიდან“ გამოსულ ურდოებს – სკვითებს თუ ხაზარებს... პლუტარქეს სიტყვით კი, მათ მცხეთასთან ხიდი ჩაუტყებეს პომპეუსის ლაშქარს!!!

ფხოველმა მემეტე მეომარმა „ნისლის კოტორი“ იფარა და „ყორნის გრილოებზე“ გადაიარა! მინდათ „ქაჯების ხელით“ „ნაღმა-უკულმა“ ნაქსოვი სამოსელი ეცვა, რომელიც „საფარველს სდებდა“ მას!..

არავინ იცის, ფხოვიდან საომარი ხელოვნების რა ცოდნა ჩამოიტანა ფარნავაზმა, მაგრამ ჩემთვის ერთი რამ ცხადია: იქიდან ჩამოსულმა ფარნავაზმა „მზის ცვარი მოხოცა“ მინაზე ჩამოსულ მზეს(!) და ჰპოვა „განძი“, რამაც შეაძლებინა პირველი გაერთიანებული (ქუჯი-ფარნავაზის) სახელმწიფოს შექმნა! ეს „იგავმიუნდელი“ მოვლენა იმ დროისთვის, რომელიც ჩვენ კარგად არ გვაქვს გაცნობიერებული...

ხევისურთათვის „ზისცვარი“ – „მზის ცვარი“, იგივე რქეა! რქე – მზის ნანველი; მზე დედაა ჩვენი და ხშირად მინაზე ჩვენს სახლებში „შინ შემოდის“!

ფარნავაზს „ფხოვის ხეობიდან“ ჩამოაქვს „მზის ცვარი“ შედეგებული დვრიტა და რომელიც საიდუმლო გაახსენებინა! (მათ შორის ენის და ან-ბანის!), რომელმაც მთლიანად შეცვალა ქართველი ერის ბედი! მან (ფარნავაზმა) მოუყვანა ძურძუკი ქალი და მისმა ძემ საქართველოს რომელიც მონაკვეთზე „ვიდრე სვანეთამდე“ დასხნა ძურძუკნი! ფარნავაზის ეს გზაც „ფხოვის კარზე“ გადის! ფხოვი „გულის ძარღვით“ მიბმულია იბერიის უძველეს დედა-ქალაქ მცხეთას! – ხოლო ლიქოკის, ხადუს, ხახმატის, ანატორის, მუცოს მთებზე ახლაც ეტყობა ძველი საქარავნე გზები!...

ფხოვიდან „მდინარეებს“ ჩამოაქვს არაერთი, დროში და დროის მიღმა მდგარი მოვლენის ინფორმაცია („ჯაჭვის თვალი“) – მითში მდგარი მეორე მითის მირაჟი, რომელიც ქრება და ჩნდება, გვეცხადება და გვეკარგება, ვითარცა მთვარის მანგი – სადაც ყამარი და თხების მწყემსი-მეჯოგე გვიხის!!!

ვინ არის მითის მთხრობელი და ამხსნელი „მედიუმი“, იყო თუ არა ვინმე ასეთი ან ვინ დარჩა ამ ქვეყანაზე – ჩვენი სატანური დროის „სიმურში“?! (ქადაგის სიტყვით – წარღვნა).

როგორც ვთქვით, დასრულდა ხევისბერთა (კითხულ-კაცთა) კასტა ფხოვის საყმომი. ბოლო ქადაგმაც შეწყვიტა თავისი რიტუალური მისტერია, „მინის ცამდე გაბმულ ხილვათა ქსელი“ განყდა, „რა მექნას“ ციხის კიდევ ერთი კარი დაიკეტა! და კაცთა ისტორია თუ ცხოვრება საკრალური დროის გარეთ დარჩა?! მაშ, ვინ არის მითის (ანდრეზის) მთხრობელი და ამხსნელი, ვინ დარჩა აქ?!

– აქ დავრჩით ჩვენ, ჩვენი ხატის „კვრივებიდან“ გამოდევნილი (თუ გამოპარული) რომელიცაა „უიღბლო“ თაობა,

რამდენადმე გაოგნებული და ღირსება-დაკარგული!.. მაგრამ მაინც მითი ჩვენ უნდა ავხსნათ და გავაცხადოთ!!! ეს უნდა იყოს ჩვენი „უჟამო ჟამის“ ბედისწერული მისია და ნილხვედრილობა! ახლა უნდა ჩადგეს „დიდი-მცირე და მცირე-დიდი, გაცხადდეს ნაცნობში უცნობი!“

VIII

ჩვენ რამდენადმე მივუახლოვდით „პარასკევაკარგულთა დროს“ და „გაბურთა ეშმაკის“ გამოცხადების მითს, თუმცა კიდევ ვიტყვი, რომ ორივე „ანდრეზს“ უკან უდგას თავისი მეორე „მე“ და ერთიც და მეორეც გვიცხადებს რამდენიმე საიდუმლოს! ანუ „დროში სხვა დრო“ შემოდის: გვეცხადება მოვლენა, რომელიც ოდესღაც იყო – ეს არის მითის სიცხადე...

მაგრამ ჩვენ ვერ არაფერი გვითქვამს „ქაჯებთან ომის მითზე“, მითის შუაგულში მდგარ გახუას ფენომენზე – მისი „გვამიდან გასვლის“ ურთულეს არსზე! ამ მითში მდგარი რამდენიმე მირაჟული სურათის არსებობაზე!

ანდრეზული ცოდნის (მითის) სიცხადე, გამეორებადობა და ანწყომი „ჩამოდგომა“ ერთია, მაგრამ მითში რამდენიმე მითოსური პლასტის არსებობა – მეორე, რასაც გამოფრვა-გარჩევა სჭირდება! გახუას („ქაჯებთან ომის“) ანდრეზში, სულ მცირე, მითის ხუთი შრე ირეკლება, ანუ ხუთი სხვადასხვა დროისა და ეპოქის დანაღეჭი მოჩანს (ე.ი. გახუას მითი მრავალფენოვანი ანდრეზია):

– დრო „ჩაბალ-ხეთს“ ჩასვლის, ანუ იბერიულ-კავკასიური ხალხის ომი ხეთების წინააღმდეგ...

– ტროას ომის დრო: ილიონში ცხენის გვამით შესვლა, „აქილევსის“ „ფხოვერი დოლი“ პატრონულს ცხედარზე!

– შუმერთა ეპოქის ანათალი (XIX ს.დ.): სუ-ქალას, სე-ქალას, აშე-ქალას, სეთი-ქალას, სამიფარაყელილიანის – ქაჯავეთელი „ტყვე ქალების“ მიყვანა ხახმატის ჯვრის საყმომი, – ქალის უცნობი კულტის: „სწორფრობის“ მისტერიის დამკვიდრება.

– „ცალა რქა“ ხარის („სულეთს ხარი ხნავს ცალა რქა“) და ქურთემულის გამოჩენა ხახმატის ჯვარის საყმომი.

– „საფარველდადებული“ განძის გაცხადება – გახსნა და მოტანა...

– გახუას გვამიდან გასვლის და კვლავ უკან დაბრუნების პროცესი – რეინკარნაციის უცნობი დრო და მოვლენა!

რა არის „ქაჯებთან ომის“ მითი, გახუას ფენომენი ზოგადად და კონკრეტულად? ვინ არიან ქაჯები (?). რა მტერია ეს ფატალური და დაუძლეველი ძალა, რომელსაც ჩვენი ქვეყანა (ქართველი ხალხი) ვერ იშორებს შორეული, პრეისტორიული დროიდან დღემდე?! როდის შეიძლება ყოფილიყო ქაჯებთან ომი?

ამ კითხვაზე ასეთი პასუხი შეიძლება გავცეთ: ქაჯები ყოველთვის იყვნენ და არიან, მათთან ომი შესაძლებელია მომავალშიც და „ჩვენ დროშიც“! (ისევე, როგორც წარსულში).

თვით „ქაჯების“ – ქაჯური მტრის ბუნება (ფენომენი) ამოსაცნობია: იგი მა-



რადიული მტერია ჩვენი ერისთვის, რომელიც იყო, არის და იქნება!

„ქაჯებთან“, მათ სატანურ ენერგეასთან ბრძოლა მეტად სახიფათოა და თითქოს შეუძლებელიც: ისინი აღჭურვილი არიან ყოველი ტიპის იარაღით: მათ შორის ფსიქოტრონიული, მომწამლავი, მაზომბირებელი საშუალებებით...

მონინაალმდეგეს ახვევენ ნისლში, უშვებენ ბოლს...

აყრიან „ობს“ – (?!)

ასხამენ „კატის სისხლს“ და თავზე აყრიან ქვეწარმავლებს!.. მათი ქცევა ჯადოქრულია! მათ შეუძლიათ „საფარველის დადება“ და „უჩინარ ქნა“ და ასე ათასნაირი ვნების მოტანა ადამიანთათვის...

მათი „ციხე-სიმაგრე“ (ციხე-ქალაქი) შეუვალია, ძლიერად დაცული, რომელიც მოიცავს და ატარებს „ხთონურ“ ქცევათა და რიტუალთა სატანურ ელემენტებს. მათ შეუძლია, დაგანახონ შავი თეთრად, თეთრი – შავად, დიდი – მცირედ და მცირე – დიდად!

ამავე დროს მათ აქვთ მოცემული დროისთვის ახალი ტექნიკა, იარაღი, მეურნეობა, მჭედლობა, კულტურა...

აქვთ ურიცხვი განძი, თვალ-მარგალიტი, რომელსაც „საფარველს სდებენ“ – აძლევენ „გველ-ბაყაის“ სახეს და ამ ხერხით იცავენ მას!..

ასეთი ტიპის მოდგმა, რეალური და აბსტრაქტული ერთდროულად, მუდმივ ხიფათს უქმნის ღვთიური ნიშნით აღბეჭდილ კაცთა მოდგმას. იგი არის სატანურად ჭკვიანი, პრაგმატული და დაუნდობელი!!!

ასეთი მტერი საქართველოსთვის „ჩამომდგარი იყო“ სხვადასხვა პრეისტორიულ დროში: ქრისტემდელ და ქრისტესმემდგომ ეპოქებში... კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“ დროში, აქ სამი საკრალური (შეფიცული) მეომარი სამასი მხედრით ქაჯეთის ციხე უტევს, რომ გველის ტყვეობიდან „მთვარე“ გამოიხსნას...

უფრო ადრე – ფარნავაზის დროს, „ქაჯთა ქალაქად“ წოდებულ „არტანუჯს“ ტყენ, რომელსაც უძველეს დროში „ური“ (!!) ერქვა! (იხ. ლ. მროველი).

კოპალა-იახსარი დევ-კერპებს უტევენ – რომელიც უცნობ დროში და, თუ რომელი დროა ეს, მეტად საგულისხმოა ერის ეთნოგენეზისის განსაზღვრისთვის.

ამირანი და ძმანი მისნი ფხიტიდან (საჩალის მთიდან) „ჩაბალხეთს“ ჩადიან საომრად!.. „ჩაბალ-ხეთებთან“ ომი ხშირად ფიგურირებს ფხოველთა (ხევისურთა) ანდრეზულ მესხიერებაში, მათ ფოლკლორში და ჯაჭვიც ჩაბალხეთიდან მოაქვს, რომელიც ქაჯების ნაქსოვია („ჯაჭვმა თქვა ჩაბალ-ხეთურმა, ქაჯებმ ამასხეს თითითა...“).

ხოლო, რომელიც პრეისტორიულ დროში (ფხოველთა ანდრეზული ინფორმაცია) „ქაჯავეთზე“ საომრად მიდიან ხორციელი გახუა და გიორგი ნაღვარმშენიერი, ანუ ხვთიშვილთა და ხორციელთა გაერთიანებული ლაშქარი ხახმატის ჯვრის დროში...

გახუა „გვამიდან გასული“ წარემართება ქაჯებთან საომრად, ვინაიდან მხოლოდ „ხორციელი ძალი“ არ კმა არს ქაჯური ძალის დასაძლევად! გახუას „გაუცხოებაში“, ანუ გვამიდან გასვლაში „ხვთის შვილი“ მონანილეობენ და შემდეგ უკან, გვამში დაბრუნებასაც მათი მეოხებით ახერხებს (ბიბლიაშიც დასტურდება ამ ტიპის გმირთა არსებობა).

ფხოვის საყმოს ლაშქარი მაინც ახერხებს ამ ფატალური მტრის დაძლევას!

მითი, ანუ ანდრეზული ცოდნა ამ ნაწილში გვეუბნება (და გვასწავლის!!!) რომ შეიძლება ასეთი ქაჯურ-სატანური ძალით აღჭურვილი მტრის დამარცხებაც: უფალთან კავშირით, რწმენით და საყმოს მთლიანობით და სულეირი ენერგიებით, რომელიც სხეულის გარეთ მოიაზრება! – ეს სამი სინერგის მთლიანობაა!

პოეზია პოეზია პოეზია

მცირეოღენი თოვლიან დილაზე

მთელი დღე ფიქრობდა თორმეტი დეკემბერი, რა ეჩუქებინა ცამეტისათვის დაბადების დღეზე. მოიფიქრა... მერე მთელი საღამო იყინებოდა. ბოლოს თვალთ დაუბნელდა, მაგრამ მაინც დაუტოვა თოვლიანი დილა...

მე კიდევ სითბოსა და უდარდებლობაშიც ვერ მოვიფიქრე, როგორ მომელოცა შენთვის...

თეთრი ქუდები დაიფარეს ამ დილით ლამპიონებმა – ცამ დაასაჩუქრა ამდენი ხნის განმავლობაში ქედმოდრეკილად ჩვენი ნათებისათვის. იცის ცამ, არასოდეს ასწევინ ეს ლამპიონები თავებს, არასოდეს გაბედავენ დედოფალთან – მზესთან გაკეკლუცებას...

და ყოველთვის ასე ასაჩუქრებს მეფე მის ერთგულ ქვეშევრდომებს.

თოვს. ცა მონყალედ საკენკს გვიყრის ჩვენი სულების დასაპურებლად... მე კი მას, როგორც სადედოფლო, თუმცა მონამლულ საუზმეს, შორიდან, ფანჯრიდან ვუყურებ.

მეშინია, რომ გამაცივებს...

გავიღვიძეთ და მანქანები დაგვემალნენ... არ სურთ, მონანილეობა მიიღონ მშვენიერების გადათელვაში. ჩვენ კი მათ, როგორც მშობლები შვილებს, რომლებსაც მათ თვალნი და კლული წინილას ჭამა არ უნდათ და ლოგინებში ზენრების ქვეშ ამობურცულები იმალებიან, ისე ვაცლით თოვლის საფარს...

ყოველთვის მინდოდა, ღვთის ნაფეხურები მეხილა თოვლზე. მხოლოდ ახლა მივხვდი: დილით რომ თოვლი მთელ ქალაქში ერთ



ანი ხარაიშვილი

სიმაღლეზე დგას, და არასდროს არავის გვფარავს – აი, ეს არის ღვთის ნაფეხური.

თუმცა, ამაზე არაფერს ამბობს, რათა ჩვენც მივილოთ სიამოვნება პირველი ნაფეხურების დატოვებისა...

მატრიალე!

მატრიალე, დედამინავ, თუ სუყველა ტრიალებს! მე ხომ შენი ნაბოლარა, ნებიერა შვილი ვარ?! კალთაში რომ აღარ მერგო წილი მემილიარდეს, ახლა ზურგზე შემომხტარი აჩი-კუდას ვყვირივარ! გამაქცუნე, ჩქარა, სანამ ლამემ პირი დაალო, თორემ უკვე ცამ ღრუბლები სარეცხივით გაფინა... თითქოს ზედა მეზობელმა დამაფერთხა საღამო-შეცვბუნდი და მოვიყუდე წვენით სავსე გრაფინი... მატრიალე ციბრუტივით, არსად არ შემაჩერო, მინდა, უხმოდ მიგრძნოს ყველამ მუნჯი კინოს ფირივით, მინდა, ჩემს ჩრდილს შევეკედლო, არ დამჭირდეს სხვა ჩერო, ამისრულე, დედამინავ, ეს გულწრფელი სურვილი! მატრიალე, სანამ გაცვდა ეს ფურცლების მარაო! სიოს – არა! ვინიავებ მსუყე ფიქრის ნამქერებს! არითმია შენგან მომდგამს გენით, ჰოდა, ამაოდ ნუ დაარღვევ ამ პირობას, ნურსად ნუ შემაჩერებ!

ჩემი სულის კაპიტანი სანამ ღუზას დაუშვებს, სანამ ევა შემახსენებს, საიდან მაქვს ფესვები, ნუ შეაბამ ჩემს ოცნებებს ვებერთელა მარნუხებს, რომ თამამად ვიბზრიალო ამ მდულარე ლექსებით!

მე, შენ, ოცნება და ნოემბერი

როდესაც ნოემბრის 20-იან რიცხვებში შენ ზამთარს იგრძნობ და ცივ ღუმელს გახედავ – იგრძენი ეგ სითბო, რომელიც გეძახის, და ნახავ, რომ ამოსუნთქვამდე დაგცხება! თუ კი თავს ნაქცულ პაიკებს ადარებ, ფარდა გადასწიე, შეხედე, რა ხდება! შემოუხვევია ნაძვს მწვანე კაშნე და... ატამი? ატამი, საცაა, გახმება სიცივით... რას იზამ, ასეა სამყარო... მაგრამ შენ რა იცი, რა ტანჯავს ნაძვის ხეს,

რომელიც კაშნეს და სიმწვანეს არ ხარობს, რომელსაც ოცნების უფლება არ მისცეს! ზაფხულს მომლოდინე არ ხმება ალუჩა, ატამიც ყვავილებს სატრფოსთვის ინახავს... ყველა ხეს ცხრა თვეში შვილები გაუჩნდა. ის სათამაშოებს იშვილებს იანვარს... შენ განვლილ ნოემბერს ინუნებ მართლა და ჩივი, რომ ასეთი მკვდარი ვერ იცანი... მე კი მოთმინების ფიალა (მათლაფაც) იმდენად ამევსო, რომ გამომიცივალეს... ადრე მეც ველოდი ნოემბერს... დღეს ვამბობ, რომ მასში ფერადი მხოლოდ ფოთლებია... შენთან ოცნებების არის მყვირალობა, მე კი პეპლის ბადით დავსდევ მათ წლებია...

ჰო, დავსდევ კისკისით ზემოთ და ქვემოთ და, დაე, დაილოცოს უფლის განაჩენი! გაბმული ოცნება ან რა იქნებოდა... მე რა მექნებოდა ან აქ დასარჩენი...

პატარა ძამიკოს

ჩემიდან შენამდე სულ შვიდი ნოტია, შვიდი პანანინა კლავიში... „დო“ მე ვერ ავიღე, „სის“ შენ ეპოტინე, კვლავ ცდილობ და შენსას არ იშლი... სულ დიდს რომ გეძახით (სხვას ვეღარც გიბედავთ), ნამინამს, მამ, რაღა გატირებს?! ყოველდღე გაყენებთ მონიშნულ კედელთან – ვზეიმობთ შენს ყოველ სანტიმეტრს! შენს გულს – თოვლის გუნდას ჩვენს სულში აგორებ, ისიც სიყვარულით იკვრება! გამოჩნდი თუ არა ეს სიტყვა – „ამორე“ შუბლზე მიგვაკარი სტიკერად... იმდენხანს გელოდეთ – დრო გადაიქანცა, და მზეს გადაეწვა სხივები... შენთვის შემონახულ პანია პერანგებს ნერვებად დააწყდა ღილები... ახლა ჩემთან ხარ და მე აღარ მცალია, რა ვქნა, თამაშითაც ვიღლები... ვიცი, რომ დიდი ვარ და ჩემი ბრალია ცამეტი წლით რომ ვერ ვიხრები!..

სკამამხედრებულმა ტოლობა მახარა

შენმა ხელისგულმა კოპნიამ! მე მაინც დიდი ვარ, შენ მაინც პატარა, ჩვენ შორის სულ შვიდი ნოტია! :)

... და მაინც!

ხრინ-ფხრინ – იხევიან კალენდრის ფურცლებად გზად შემოხვედრილი დღეები ნაოჭდებიან და ფერმკრთალდებიან, როგორც გუმინდელი პალიტრა... რა ქნან, თუ გავცვივით, ასე უმადურად შევახმე ფერები და დღეს დღიურში ვწერ, რომ ის ცხრა საათი სიფხიზლედ არც ღირდა...

ღამით დაცვენილმა ფოთლებმა ჩასთვლიმეს იმ ნავის ნიჩბებზე, გუშინ რომ ვიყიდე და მყისვე შევმართე მიზნისკენ საცურად... დღეს სულ სხვა ორთქლმავალს და სულ სხვა მემისრის განზრახვას მივინდებ, რადგან მზე მოსჩანდა იქ, უღელტეხილში, მთებს შორის მაცდურად...

განა მე არ ვიცი, რომ რელსს ვერ ასცდება ეს მატარებელი?! მზე-ჭარხალბოლოკა სხივებს ჩამომიყრის თმებივით, ვიცი მე! ვიცი! განვიმდებ და არც მზე იქნება პასუხისმგებელი, რომ წვიმის ნორჩ წვეთებს ასე შეეწირა უმწეო სიზიფე!

..... და მაინც მივყვები რაშისფერ ორთქლმავალს ფერმიხდილ კვამლის რგოლებად... კალენდრის ფურცლებს ვთხოვ, რომ მეტმა ხვალემ მეტი გუშინ ვერ გაინაპიროს! და თუ დავინახავ ჩემს დღიურებს, თავზე დაფარებულს ქოლგებად, იმედმოტეხილი მოხუცივით ცაში გავაბოლებ პაპიროსს!

პოეზია პოეზია პოეზია

„მყუდრო ბინა ბრწყინავდა, როგორც აკადემია!..“

ყველა სხელი, სდაც ხვენი ვარა, არის აცადემია.
ყველა აცადემია, სდაც ხვენი არ ვარა, არის სხელი!



გელა ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა, იტალიურ ენოში. ის და მისი ოჯახი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდნენ, ბოლოს კი მთელს სამეზობლოში და უბანში გაითქვეს სახელი თავიანთი, რბილად რომ ვთქვათ, არაორდინარულობით. არაერთხელ ჩავფიქრებულვარ იმაზე თუ როგორ მივიდა ეს ერთი შეხედვით ჩვეულებრივი თბილისური ოჯახი თავის ამჟამინდელ, საკმაოდ საინტერესო მდგომარეობამდე. თუმცა, მოდით, ნუ გავუხსნებთ მოვლენებს და ყველაფერს თავიდან მოგიყვებით.

მე რომ პატარა ვიყავი, გელა მაშინ ახალგაზრდა ბიჭი იყო, ახალდაქორწინებული. საშუალო სიმაღლის იყო, სუსტი. აი, ისეთი, რომ შეხედვით და არ გაგიკვირდებოდათ, რომ ცოლი მონატაცები ჰყავდა. უბანში იცოდნენ თქმა, აბა, მაგას თავისი ნებით ვინ გამოყვებოდაო. არა, მახინჯვი კი არ იყო, უბრალოდ, რაღაცნაირად ძალიან ჩვეულებრივი გარეგნობა ჰქონდა, არაფრით გამორჩეული. თუმცა არც მისი ცოლი იყო მზეთუნახავი, და მასზეც ხშირად გაიკონტაქტა, მაგრამ სამეზობლოში მე ერთი ადამიანიც არ მინახავს, ეთერისთვის ლამაზი თუ არა, მომხიბლველი მაინც ეწოდებინოს. არც გელაზე უთქვამს ვინმეს, სიმპათიური იყო. მოკლედ, შეეფერებოდნენ ერთმანეთს გელა და ეთერი, გარეგნობით და ხასიათითაც. თუმცა, ამ შესაფერისობის მიუხედავად, იდილიისგან ეს ოჯახი საკმაოდ შორს იყო. მათი სახლიდან ხშირად გამოდიოდა ჩხუბის ხმა: გელა და მისი ცოლი ჯერ ხმადაბლა დაიწყებდნენ საუბარს ჩვეულებრივ, ყოფით საკითხზე, თანდათან კი საუბარი ჯერ ხმადაბლად კამათით ხშირად თვალსა და მკლავზე. ამ ჩალურჯებების ოფიციალურ მიზეზად ხან დაცემა, ხან კი სხვა შემთხვევითობა სახელდებოდა, მაგალითად, „თფუშს ვიღებდი კარადიდან და თავში (ხელზე, მკლავზე, ლოყაზე და ა.შ.) დამეცა.“ ცოდვა გამხელილი ჯროს და, არც ცოლი ჩამორჩებოდა ქმარს სხეულზე დაზიანებების მიყენებაში თუ არა, ლანძღვაში მაინც – გვარიანი კაპასი იყო.

– რატომ არ დაიქცა ის დღე, შენ რომ მე მომიტაცე! – მათი სახლიდან ხშირად ისმოდა ეთერის მკვიანა ხმით ნათქვამი ეს წინადადება წყვილის მორიგი ჩხუბის დროს. შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, ხაზი არ გაეცხა იმ ფაქტისთვის, რომ მონატაცები იყო.

გელაც ცოლს არ უდებდა ცოლს: – მართლაც და რატომ არ დაიქცა ის დღე, მე რომ შენ გაგიცანი, შენი მოტაცება რომ გადაწყვიტე, მერე ეს გადანყვებტილდა სისრულეში რომ მოვიყვანე და შენ რომ დარჩი. ნეტა, შენს მშობლებს უკან ნაყვანე, რატომ დაგტოვეს, ნეტავ, რატომ დაიღეს ჩემი ცოდვა?! ათი წლით უფროსი იყო გელა ეთერზე. როცა დაქორწინდნენ, გელას მშობლები საკმაოდ შეძლებულად ყოფილან – მგონი, მამამისი რომელიღაც ქარხნის დირექტორი იყო და – „მაყუთსაც გვარიანად ტეხავდაო“, – ამბობდნენ. ეთერი კი საკმაოდ ხელმოკლე ოჯახიდან ყოფილა. სულ აყვადრიდა გელა ცოლს ღარიბ ოჯახში გაჩენას.

– ქობიდან გამოგიყვანე, ცხოვრება გაჩვენე და ვერ შეირგე, შენ რა ქალი ხარ, სულ არ უნდა შემომეყვანა შენისთანა ქალი სახლში. – ღრიალებდა მორიგი ოჯახური კონფლიქტის დროს. მთელი სამეზობლო მიჩვეული ვიყავით გელას და მისი ცოლის ჩხუბს, რომელსაც დროის მსვლელობასთან ერთად მათი

ორი გოგონას ტირილის ხმაც დაერთო. საბჭოთა კავშირის დაშლასა და იმ ავბედითი 90-იანების დადგომასთან ერთად გელას ოჯახიც, ისევე როგორც საქართველოს ოჯახების უმრავლესობა, ჯერ გაღარიბდა, მერე გაღატაკდა – სავსე ოჯახი თვალსა და ხელს შუა დაცარიელდა. გელას ოჯახიდან გასაყიდად გავიდა ჭურჭელი, სამკაულები, ნიგნები. სიმართლე რომ ვთქვათ, მათი დიდი ბიბლიოთეკიდან ნიგნების კითხვით ოჯახის არც ერთი წევრი არ იკლავდა თავს და თავის მოსაწონებლად უფრო ჰქონდათ ეს ბიბლიოთეკა. მასხოვს, მათგან ნიგნების თხოვებას სასწაულის წყალობით ვახერხებდი მხოლოდ მას შემდეგ, რაც დავარწმუნებდი ნიგნების მფლობელებს, რომ არ შეეჭამდი, არ დავენჯავდი და არც ნაფელეთებად ვაქცევდი მათ ინტელექტუალურ ავლა-დიდებას, და მერე ვპოულობდი ამ ნიგნებში გაუჭრელ, ერთმანეთზე გადაბმულ ფურცლებს. მოკლედ, ვიღა დაეძებდა თავის მოწონებას, როცა კუჭი მიმშლილი უხმებოდათ და გაყიდეს თითქმის ყველა ნიგნი. მეზობლებში ხმა დაირხა, საქორწინო ბეჭდებიც კი დაკარგეს გელამ და ეთერმა, ლომბარდში

ღჯახი და მამა

ჩააბარეს და მერე ვედარ გამოიტანესო. ცოლ-ქმრის ჩხუბების რაოდენობამაც იმატა. მათი პატარა გოგონები გაიზარდნენ და მათი ტირილიც გადაიზარდა კვილსა და ყვირილში, რაც უმეტესად მშობლებისკენ იყო მიმართული – დიდებს ხომ უფრო მეტი სჭირდებოდათ. აფხაზეთის ომშიც კი წავიდა გელა, რამეს ვიშოვიო. ბევრი ვერაფერი იშოვა, მაგრამ ცოცხალი და უვნებელი მაინც დაბრუნდა და ოჯახი გაახარა. დღითიდღე უარესდებოდა მათი ეკონომიკური მდგომარეობა. ამ დროს გელას რომ ვხედავდი, მეცოდებოდა – გამხდარი, დაბერებული და მოტეხილი მეჩვენებოდა. ერთხელ, მეზობლების მორიგი შეკრების და გლობალური (ანუ სამეზობლო) თემების განხილვისას, დედაჩემმა გაბედა და გამოთქვა თავისი აზრი გელაზე: წავიდეს სოფელში, იმერეთში იმხელა ნაკვეთი რომ აქეთ მიტოვებული, იქ მინა დაამუშავოს და ამით ცოტათი მაინც დაეხმაროს ოჯახსო. მანამდე ამაზე არ დავფიქრებულვარ და, ეს რომ დედამ თქვა, გამიიკვირდა, ნეტა, მართლა რატომ არ მიიღის-მეტი გელა სოფელში. მის მიმართ სიბრალულიც, ცოტა არ იყოს, შემინელდა. მართალია, რამდენიმე მეზობელი გელას ამართლებდა და ამბობდა, ყველას ხომ არ შეუძლია მინაზე მუშაობაო, მაგრამ მე მას მერე გელას მიმართ ძველებური სიბრალული აღარ მიგრძნია. ხომ იცით ბავშვის ამბავი, დედა ყოველთვის მართალი რომ ჰგონია. სწორედ იმ დროს, როგორც გელას ოჯახის, ისე მთელი საქართველოსთვის უკიდურესი გაჭირვების ჟამს, გელას ცოლმა გადაწყვიტა საბერძნეთში წასულიყო საშუალოდ. როგორც ვიცე, ეს გელას ინიციატივა უფრო იყო, ვიდრე მისი ცოლის, რომელსაც შვილების დატოვება არ უნდოდა. ასე იყო თუ ისე, წავიდა ეთერი საბერძნეთში, დაიწყო დიდი წვალეებით და ოფლით ნაშრომი ფულის გამოგზავნა და ოჯახმაც ამოისუნთქა. გელას მატერიალური წინსვლა და კეთილდღეობა არა მარტო ფიზიკურად დაეცყო, არამედ ქცევებზეც. გასუქდა, კარგი მანქანა იყიდა, კარგად იცავდა და სახლიც გაარემონტა. ერთ-ერთი ყველაზე შესამჩნევი ტრანსფორმაცია, რაც გელამ განიცადა, გამოიხატებოდა იმაში, რომ მან ეთერის მიმართ დამოკიდებულების შეიცვალა. თუ ადრე ცოლი იყო ეთერი, ახლა მეუღლე გახდა და სუფრებზე სულ უფრო ხშირად და მოწინებით სვამდა „ძვირფასი მეუღლის“ სადღეგრძელოს. ეთერი საქართველოში რომ ჩამოდიოდა, სულ ერთად დადიოდნენ, აღარც ჩხუბობდნენ და მათი შემხედვარე იფიქრებდით, ამათზე უფრო

მოსიყვარულე და „გემრიელი“ წყვილი ქვეყანაზე მეორე არ დადისო. გელა ისევე არ მუშაობდა და დროს ძირითადად ქეიფში ატარებდა. სოფელში კი დადიოდა ხოლმე, ცოტა სოფლის მისახედადაც მოვიცალე ამ ბოლოსო, ამბობდა, თითქოს მანამდე ერთი წუთი არ ჰქონოდა თავისუფალი. გელა სოფლის მეზობლებს უხდიდა ფულს, რომ მიეხედათ სახლისა და მამულისთვის, დაეთესათ, დაეხნათ და სუფთა ჰაერზე „დასასვენებლად“ (ასე ამბობდა თვითონ, თორემ რა ღლიდა) ჩასული გელასთვის მოსავალი დაეხვედრებინათ. სოფლიდან თბილისში რომ დაბრუნდებოდა, თავისი ძვირფასი მანქანიდან ძალიან მრავალსმეტყველი, ჩინოვნიკის „VIP“ სახით გადმოვიდოდა და ამაყად გადმოალაგებდა სოფლიდან ჩამოტანილ ხილს, ფქვილს, ქათამს, გოჭს, ღვინოს. ისე ომბახინად გადასცახებდა მეზობლის კაცებს სოფლიდან მოსავალი ჩამოვიტანე და გეპატივებითო, თითქოს სულ თავისი ოფლით ჰქონოდა ის მოსავალი მოყვანილი. მერე კი ასევე ომბახინად ისმებოდა მის სუფრაზე ოჯახის თავის, მისი ძვირფასი მეუღლის, ოჯახის სინძინდის, სამეზობლოსა და უფლის სადღეგრძელოები.



თამარ ავაშუკელი

გაკეთება უნდოდა თურმე, – აბა, კაპიკი შემოსავალი არ გვაქვს და რა დროს ბავშვიო“, მაგრამ გელამ, რომელიც, როგორც გითხარით, განსაკუთრებით მორწმუნე იყო, ცოლს ბავშვის მოშორების უფლება არ მისცა. ეგ რომ გააკეთო, არ გაცოცხლებო, უთქვამს. იმ ხანებში ცოლის მიმართ განსაკუთრებულ სიმკაცრეს იჩენდა. ეთერი ქმრის გარეშე თუ იყო სტუმრად წასული, გელა დაახლოებით საღამოს 8 საათზე აუცილებლად დაურეკავდა, და ძალიან მკაცრი ტონით ეტყობოდა: „გეყოფა გულობა, ახლავე სახლში მოდი, თორემ ვერ გადამირჩებიო.“ ეთერიც უსიტყვოდ ემორჩილებოდა. გელას ასეთი საქციელის ახსნა არც ისე რთული იყო. რა ექნა, ოჯახს ვერ არჩენდა და რამენაირად ხომ უნდა დაემტკიცებინა, რომ „ნამდვილი კაცი და ოჯახის თავი“ იყო. თანდათან განახლდა გელას ოჯახში ჩხუბები და მეზობლებიც ისევე შეეწუხდით. ვნატობდით, ნეტა, ისევე წავიდოდეს სადმე ეთერი ან აქ იშოვნიდეს სამსახურსო. სხვა გზა აღარ დარჩა გელას, ამხელა ოჯახი როგორმე უნდა ერჩინა, და ტაქსაობა დაიწყო. ასე თუ ისე, ჰქონდა შემოსავალი თავიდან, მაგრამ მაინც არ ჰყოფნიდა დიდ ოჯახს. დილით ადრე არ გადიოდა საშუალოდ. კარგად გამოიძინებდა, სახლში რასაც იპოვიდა, იმით შეძლებისდაგვარად დანაყრდნობდა და მერე დაქოქვდა თავის უძვირფასეს, ნაფურცელ, თუმცა უკვე ცოტათი შელახულ მანქანას. ღამე მუშაობაც ეზარებოდა. მეზობლები ხუმრობდნენ, გელა გასართობად ტაქსაობს, მანქანით „კატაობა“ უყვარს და, იმდენს შოულობს, ბენზინის ფულად რომ ეყოსო. რა თქმა უნდა, ეს მთლად სიმართლე არ იყო, ჩვენ ხომ ვხედავდით მის შრომის-მოყვარეობას თუ არა, მის სასწრაფო-თილ სახეს მაინც, რომელზეც ეწერა, რომ მართლა მთელი გულით სურდა, ოჯახს დახმარებოდა. მაგრამ – ამაოდ...

ერთხელ გელას მანქანაში ვიღაც უცხოელი მგზავრს ფოტოაპარატი დარჩენია. მას გელას ნომერი სცოდნია და დაურეკავს, მაგრამ გელამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა თურმე, რა ფოტოაპარატი, არაფერიც არ დაგრჩენია ჩემს მანქანაშიო. ამას სუფრაზეც ხშირად ჰყვებოდა ხოლმე და მე მიკვირდა, რატომ. სწორედ ამ დროს, თითქოს ჩემს გაკვირვებას ამჩნევსო, ნახევრად ხუმრობით იტყუა იმას, რაც, ტრაბახი იყო თუ თავის მართლება, ვერ გაიგებდი: უცხოელი იყო, ქართველი ხომ არა, ერთი იმის დედაც! მაგას რამდენი ფოტოაპარატი ექნება, მე კი ერთიც არ მქონდა. ხომ იცით, ღმერთს ქართველები როგორ ვუყვარვართ და მამაპატივებსო.

გელას ტაქსაობამაც ვერ გამოიღო სასურველი შედეგი, ოჯახი ისევე უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობდა. მესამე შვილიც შეეძინათ, „ნანატრი ბიჭი“ და კიდევ უფრო ცხადი გახდა, რომ ახლა უკვე მრავალშვილიან ოჯახს რაღაც ზომები უნდა მიეღო თავის გადასარჩენად. სწორედ ამ დროს გელასთვის თურქეთში მცხოვრებ ნათესავს უთქვამს, ჩამოდი და მუშაობას დაგანყებინებო. ცოტა ხანი თავს იკავებდა თურმე გელა, იქ ფიზი- ▶▶

►► კური მუშაობა იქნება საჭირო და სად შემოიღოა მიძიმე ტვირთის თრევად. იმ დღეებში განსაკუთრებით ხშირად გვესმოდა გელას და ეთერის ჩხუბი:

– ქალო, გინდა ორი კაპიკის გულისთვის სუნინან თურქებს ვემსახურო?! მეტი საქმე არ მაქ! (ჰო, იმის თქმა დამავინწყდა, რომ გელას ოჯახისთვის ამ დიდი ძნელებედობის ჟამს ეთერის სტატუსმა მეუღლიდან „ცოლამდე“, ცოლიდან კი „ქალომდე“ ჩამოინაცვლა).

– მასე მუშაობს იქ ნახევარი საქართველო! აბა, ელოდე, როდის დაგინშნავენ ფირმის პრეზიდენტად! ხომ ხედავ, არაფერი გამოდის მაგ ტაქსაობით, ამხელა ოჯახს რჩენა ხომ უნდა! – პასუხობდა ეთერი.

ამ ჩხუბში გელას მშობლებიც რძლის მხარეს იკავებდნენ და ცდილობდნენ, შეილი თურქეთში წასვლაზე დაეყოლიებინათ. როგორც ჩანს, მშობლების შეგონებამ თავისი ქნა და აი, დადგა ის ბედნიერი დღეც, როდესაც გელა თურქეთში წავიდა.

გაცილების სუფრა გაუმართეს მეზობელ-ძმაცაცებმა და დიდის ამბით დაარიგეს, აბა, შენ იცი, არ შეგვარცხვინო, აჩვენე თურქებს, რას ნიშნავს ნამდვილი გურჯი.

რამდენიმე თვე არაფერი გავგიგია გელასი. მერე ეთერმა მეზობლებთან დაიწყო ლაპარაკი, კარგად მოეწყო ჩემი ქმარი და ფულსაც მშვენივრად აგზავნი-სო, მაგრამ სამეზობლოში რა დაიმალება და ჩვენც ვიგებდით სხვადასხვა წყაროებიდან, რომ გელას გამოგზავნილი ფული ისე ცოტა იყო, ოჯახს თავი გაჭირვებით გაჰქონდა. მერე თანდათან, გამოგზავნილმა თანხამაც იმატა და გასწორდა ოჯახი ნელში. გელას ცოლიც უფრო კმაყოფილი და ბედნიერი ჩანდა, მისი მშობლებიც და შვილებიც. ეთერი ახლა მეზობლებთანაც ნაკლებად კაპასი იყო და ქმართანაც. მართალია, ისეთი იდილია არ ჰქონდათ, როგორც ეთერის საბერძნეთში მუშაობის პერიოდში, რადგან თურქეთიდან რამდენიმე დღიანი შეგებულებით ჩამოსული გელას საუბარს ნამდვილი ოჯახის თავის და მამა-მარჩენალის შესაფერისმა თავდაჯერებულმა ტონმა კიდევ უფრო მეტი უხეშობა შესძინა, მაგრამ ეთერის კაპასი ხმა გაცილებით ნაკლებად ისმოდა, რაც მეზობლების დამძვირებულ ნერვებზეც აისახებოდა. ისევ „მეუღლეს“ ეძახდა გელა ეთერს და ეს სიტყვა იყო სწორედ მათ ოჯახში დავანებული მეტნაკლები სიმშვიდის მანიშნებელი.

სამწუხაროდ, ეს სიმშვიდეც მალე დაირღვა. თუმცა დარღვევაც აღარ ერქვა ამას, უფრო სწორად, გაქრა. გელა ერთი პერიოდი საერთოდ დაიკარგა, მერე კი ხმა ჩამოვიდა თურქეთიდან, რომ იქ ქართველი ქალი გაუცნია და საყვარლად გაუხდია. ეს რომ გაიგო, მამაჩემმა თქვა, გელას არ გაემტყუნება, ასეთი უფმური და „სწერვა“ ცოლის ხელში ამდენ ხანს როგორ გაძლო, ეგ მიკვირსო. ამაზე დედამ ჩემი გაუბრაზება, ღლატს როგორ ამართლებო. მოკლედ, ჩემს ოჯახშიც კი გამოიწვია სერიოზული კონფლიქტი გელამ, ანუ მისმა საქციელმა. მშობლების ჩხუბი ძალიან მიმღია ნერვებს და გუნებაში გელას ვლანძვავდი, რომ თავის ოჯახში გაღვივებული კონფლიქტი (უფრო სწორად, ომი) არ იკმარა და ჩემს ოჯახსაც გადმოსწვდა. უფრო გაკაპასდა ეთერი. ისე გაკაპასდა, რომ მეზობლების დიდი ნაწილი მოიმდურა. დღეს ერთ მეზობელს აუხირობოდა რაღაც სისულელეზე, მეორე დღეს მეორეს და ასე... თითქოს, ვინც გზად შეხვდება, ყველაზე მოლაღატე ქმრის ჯავრი უნდა იყაროსო. დრო კი გადიოდა. გელა აღარ ჩამოდიოდა. ფულს მაინც უგზავნიდა ოჯახს, მაგრამ კიდევ უფრო ნაკლებს. მათ შორის შუამავლის როლს ნათესავი ასრულებდა. ჯერ ეთერიმ შეუთვალა გელას, ეგ ბოზი მიატოვე და დროზე ოჯახს დაუბრუნდიო. ამაზე ქმარმა უპასუხა, რა ბოზი, შენ სიტყვებს დაუფიქრდი, მიყვარს და ბევრს ნუ ლაპარაკობ, შენი დედაცო. ამაზე სულ გაგიჟდა ცოლი – და მთელს ეზოში კიოდა გაცეცხლებული:

„მე ქალი არ ვიყო, შენ თუ გაგახარო!

წარმოგიდგენიათ, ვის შევნიერე მთელი ჩემი ახალგაზრდობა, მთელი ცხოვრება შევნიერე და ხედავ, იმ საქონელმა როგორ გადამიხადა? უმადური, დეგენერატი, ეგ ცხოველი!“ მართლა ძალიან მეცოდებოდა ამ დროს ეთერი. ისე იყო გაცეცხლებული, რომ უკვე არად დაგიდევდათ, თუნდაც მთელი მსოფლიოს სააშკარაოზე გამოეფინა ოჯახის ყველაზე პირადული ამბები. თითქოს მხოლოდ ქმარზე ჯავრის ამოყრა, შურისძიება წარმოადგენდა მისი ცხოვრების აზრს. „ქალი თუ გაბრაზდა, ქალმა თუ დამცირებულად იგრძნო თავი, მტრისას, ვერაფერს გადაურჩება!“ – ვფიქრობდი ამ დროს ეთერის შემხედვარე. გელა კი ისევ არ ჩანდა. ცხადი იყო, რომ მას, როგორც იტყვიან, სულ ცალ ფეხზე ეკიდა დამცირებულ ეთერში მომძლავრებული შურისძიების წყურვილი.

ხმები მოდიოდა თურქეთიდან, იმ ქალს ბიზნესი აქვსო, დიდი ხანია თურქეთშია და იქ კარგად აქვს საქმე ანყობილი, გელა კი მის ხარჯზე ცხოვრობსო. თურქეთში წასულმა რამდენიმე ქართველმა დაუდასტურა სამეზობლოს, რომ გელა თურქეთში, ფაქტობრივად, საყვარლის ხარჯზე ცხოვრობდა. ამბობდნენ, რომ „იმ ქალს“ (მთელი ეზო ასე ვეძახდით), მალაზიები ჰქონდა, გელა კი ვითომ ბიზნესში ეხმარება, მაგრამ სინამდვილეში არაფერს აკეთებს, ფეხი ფეხზე აქვს გადადებული და ცხოვრებით ტკებიაო. თვითონ გელა ყოველთვის მისას უსვამდა ხაზს, რომ მან და ნატამ (ასე ერქვა მის საყვარელს, თუმცა რალა საყვარელს, გელა უკვე ცოლად მოიხსენიებდა) ორივემ ააწყვეს ბიზნესი ერთ თურქ პარტნიორთან ერთად. კაცმა არ იცის, რომელი იყო სიმართლე, თუმცა, რა თქმა უნდა, მთელ სამეზობლოს სერიოზულად ეპარებოდა ეჭვი, რომ გელა ერთ ნელინადში უცხო ქვეყანაში მუშაობით მოახერხებდა, იმდენი ფული დაეგროვებინა, რომ მერე იქ საკუთარი ბიზნესი წამოეწყო. მოკლედ, იქამდე მივიდა საქმე, რომ გელამ ცოლს შემოუთვალა, უნდა გაგმორდე, ჩემი სახლიდან წაიღო, სხვა ბიზნესი გაიყიდიო. გაგიჟდა ეთერი, ისევე ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ცოცხალი თავით არ წავალ, „ტოლოკო ჩერეზ მოი ტრუპ“, მე ვარ და მუდამ ვიქნები გელას კანონიერი ცოლიო. ეთერთან რომ ვერაფერს გახდა, გელამ მშობლებს შემოუთვალა, ეგ ქალი გააგდეთ ჩემი სახლიდან. უარი უთხრეს მშობლებმა. თავისით არ მიდის და ჩვენ როგორ გავაგდოთ ჩვენს ხელში შვილივით გაზრდილი გოგო, ეგ აღარ გაიმეორეო.

ასე გრძელდებოდა კარგა ხანს. გელა თურქეთში ცხოვრობდა თავის ახალ მეუღლესთან ერთად, ხოლო მის თბილისურ ოჯახში ცხოვრობდნენ მისი მშობლები, „ძველი ცოლი“ და შვილები. გელა ისევ იმუქრებოდა: დროზე წავიდეს ეგ ქალი ჩემი სახლიდან, თორემ ჩემს საქციელზე პასუხს არ ვაგებ, ჩამოსვლას და მანდ ცხოვრებას ვაპირებთო. კი, აბა, იოცნებე, ვერ მოგართვით, უთვლიდა აქედან ეთერი, რომელიც თავის თავს ისევე „კანონიერ, ლეგიტიმურ, ნამდვილ“ ცოლს უწოდებდა და ეს ეპითეტები სამეზობლოს დიდი ნაწილის მიერაც ფართოდ იყო გამოყენებული ეთერის შესამკობად და მის საამებლად. ზემოთ ხსენებული სიტუაცია – გელას ერთი ცოლი გელას მშობლების სახლში ცხოვრობდა შვილებთან ერთად, ხოლო ქმარი თურქეთში სხვა ცოლთან ერთად იყო – საკმაოდ კურიოზულად და კომიკურად გვეჩვენებოდა და ნამდვილად აღარ გვეგონა, ამაზე მეტად თუ რამით გაგვაკვირვებდა ეს ოჯახი. მაგრამ თურმე ადამიანის ფანტაზიას საზღვარი მართლაც არ ჰქონია. და აი, ერთ დღესაც გელა და მისი მეორე ცოლი ჩამოვიდნენ. ჩვენ საყვარელ სამშობლოში გვიწავდა ცხოვრებაო, იქ ვერ გავძეულით და აქ უნდა გავაგრძელოთ ჩვენი ბიზნესიო, თან, რასაკვირველია, ცხოვრებას სწორედ იმ სახლში აპირებდნენ, სადაც ეთერი, მათი შვილები და გელას მშობლები ცხოვრობდნენ. უნდა გენახათ, რა ხდებოდა იმ დღეს ჩვენს ეზოში. გელას და ნატას დანახვაზე ეთერმა ისე შეჰკვივლა, გვეგონა, ვიღაც შეიცხადა. ეთერის შეცხადებაზე ზოგმა მეზობელმა (რომელთა შორის რატომღაც კაცები სჭარბობდნენ) იხუმრა, ეტყობა, ეთერს გელას ახალი ცოლი არ მოეწონა და იმიტომ შეიცხადა, რა გასაკვირია, რომ ქმრისთვის უფრო კარგი ემეტებოდაო... ოჰ, რა სასტიკია ეს ხალხი... თუმცა ხალხს რა გაემტყუნება, ადამიანის ნებისმიერ გაჭირვებაში შეუძლიათ იპოვონ საქლიკო და ეს სიტუაცია კი ნამდვილად კომიკური იყო, ყოველ შემთხვევაში იმათთვის, ვინც სვირს უყურებდა. ნატაზეც ვერ იტყოდით ლამაზს, თუმცა ეთერივით გამხდარი არ იყო და უფრო მომრგვალებული ფორმები ჰქონდა, რასაც ჩემი, თინეჯრობის ასაკიდან უკვე გამოსული, მაგრამ ინტრიგნობაშერჩენილი ახალგაზრდა გოგოს აზრით, გადამწყვეტი თუ არა, მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღოდა გელასგან ნატას მოწონების ფაქტში. მამაჩემმა ერთხელ თქვა, რა გინდა, ეთერი კი ჯობია ნატაო. ამაზე დედაჩემი ისევ გაბრაზდა, რა თქმა უნდა, ეთერის მხარეს იჭერდა. ჯერ ერთი, დიდი ხნის მეზობელი იყო, და გელას პირველი და კანონიერი ცოლი, ასე რომ, ქალური ან, ალბათ, უფრო „ცოლური“ სოლიდარობა თავისას შერებოდა. გურულმა ბეზიანჩემმა კი განაცხადა, არც ერთი ცოლი უქნია ღმერთს და არც მეორეო. მოკლედ, იმ დღეს და მომდევნო დღეებშიც იყო დიდი ჩხუბი, კვილი და განევ-გამონევა გელას ოჯახში. ეზოში ხმაური რომ ატყდებოდა, უკვე რეაქციაც აღარ გვექონდა. „გელას ცოლები ჩხუბობენ“, – ვიტყვოდი და გავაგრძელებდით ჩვენს საქმეს. იმ პერიოდში ჩვენს სამეზობლოში ნატასა და ეთერის შედარებითი დახასიათება, მათი დადებითი და უარყოფითი თვისებების ჩამოთვლა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური სალაპარაკო თემა გახდა. თანდათან აურზაურიც ჩანყნარდა გელას ოჯახში. ალბათ, დადგა ის კონკრეტული მომენტი, როდესაც აიღეს და გადანყვი-

ტეს, რომ ბოლო მოელოთ ჩხუბებისთვის, მაგრამ ჩვენ ეს მომენტი გამოგვეპარა. ერთ დღეს კი მოულოდნელად აღმოვაჩინეთ, რომ ეს დიდი ოჯახი ისე ცხოვრობდა, თითქოს სხვა ათასობით ქართული ოჯახისგან არაფრით განსხვავდებოდა. ისე მშვიდად დაიწყო ცხოვრება გელას ორმა ცოლმა ერთ ოჯახში, თითქოს ამაში განსაკუთრებული და საოცარი არაფერი ყოფილიყო. ოთახები გაყოფილი ჰქონდათ, ანუ ბინის ერთი ნახევარი ეთერის და ბავშვების ოთახებად ითვლებოდა, მეორე ნახევარი კი ნატასი იყო. თუმცა ეს დაყოფა უფრო ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რადგან, ფაქტობრივად, ერთი ოჯახივით ცხოვრობდნენ, ხოლო ამ ამბის მთავარი გმირი ბინის ორივე ნაწილში თანაბარი უფლებებით სარგებლობდა. ჯერ გაკვირვებით, შემდეგ ხალხით, ხშირად კი ირონიით ვადევნებდით თვალს თუ როგორ გადადიოდა გელა ბინის ერთი ნაწილიდან მეორეში – ხან შვილების მოსანახულებლად, ხან ერთი ცოლის მიერ მეორისთვის მოსაკითხად გაგზავნილი კერძის გასატანად ქვებით თუ ღრმა თევშით. იმასაც კი ამბობდნენ, გელა ორივე ცოლთან თანაბრად ასრულებს ქმრის მოვალეობასო. თუმცა, ხომ იცით, ენას ძვალი არა აქვს, ამიტომ ამ ამბავს ვერც დავადასტურებ და ვერც უარყოფ. გელას მშობლები, რომლებიც ამ დროს უკვე საკმაოდ მოხუცებულები იყვნენ, ხან ეთერთან იყვნენ, ხან – ნატასთან და რძლები რიგრიგობით უფლებდნენ. ნატამ თბილისში თურქული ტენსაცმლის მაღაზია გახსნა და პერიოდულად თურქეთში დადიოდა „ტავარის“ ჩამოსატანად. მართალია, დილით ადრე ამდგარ და საქმეზე წასულ გელას თითქმის ვერასდროს ნახავდით, მაგრამ, მისთვის რომ გეკითხათ, თვითონაც ფაქტობრივად უძღვებოდა ბიზნესს. ფაქტია, რომ დიდი ოჯახი ფინანსურად ნელში გაიმართა. სოფელშიც ისევ დაიწყო სიარული ოჯახის თავმა, ისევ უღლიდა „მამულეს“ იქაური მეზობლების ხელით და ისევ დატვირთული ჩამოდიოდა. ისევ გასუქდა და შეიძინა ნამდვილი ოჯახის ბურჯის, საქმიანი და მნიშვნელოვანი კაცის იერი. ეთერი ისევ დანყნარდა, დაივიწყა თავისი კაპასობა. აღარც ქმარს ეჩხუბებოდა, აღარც მეზობლებს და, თქვენ წარმოიდგინეთ, აღარც თავისი ქმრის ცოლს. თანდათან გელას ცოლებმაც იწყეს ერთმანეთში მიმოსვლა – დიდი ხნის ნათესავებივით. ბოლოს კი სრულად ჩვეულებრივად მოიხსენიებდნენ უბანში მათ, როგორც გელას ცოლებს. არ ვიცოდით, გელა ისევ ეთერზე იყო ოფიციალურად დაქორწინებული თუ მას გამორდა და ნატაზე დაქორწინდა. სამეზობლოში აღარ იყო ეს თემა აქტუალური. აბა, ასეთი წვრილმანი საკითხი რა მოსატანი იყო გელას სიამტკბილობით სავსე ოჯახთან. მახსოვს, ერთხელ თურქი ესტუმრათ – ნატას და გელას ბიზნესპარტნიორი აღმოჩნდა. გელას ოჯახში არსებული სიტუაცია რომ დაუნახავს, უკითხავს, კი მარა, რომ ამბობდით, საქართველოში მრავალცოლიანობა არ არის, აბა, ამას რა ჰქვიაო. დაუწყია გელას ასხნა, აჰმედ-ბეი, აქ ცოტა სხვანაირად არის საქმეო, ასეო, ისეო, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერ აუხსნა დამაჯერებლად, რადგან თურქი მაინც თავისას გაიძახოდა თურმე – „აღარც ჩვენთან არის ქალაქებში მრავალცოლიანობა, მაგრამ ზოგან, უფრო სოფლებში, ჩვენთანაც შეხვედებით ამ ოჯახის მსგავს სიტუაციასო. იმასაც ამბობდნენ, ეს თურქი გელას მეორე ცოლის (რიგით მეორე, თორემ რანგით აშკარად გათანაბრებულიყვნენ უკვე), ნატას საყვარელიაო. გელამ იცის ყველაფერი, მაგრამ სულ ცალ ფეხზე ჰკიდიაო. თან ისეთი სარწმუნო წყაროები ამბობდნენ, რომ... რა ვიცი, რაც არ ვიცი, არ ვიცი... რაც მთავარია, ბოროტი ხმები გელას დიდი ოჯახის მშვიდ და ბედნიერ ცხოვრებას ვერაფერს აკლებდა და ვერც ახლა აკლებს. იმ ეზოდან გადავედით, მაგრამ ხმები მოგვდის, რომ გელას უნიკალურ ოჯახში დღესაც არნახული იდილია და სიამტკბილობა სუფევს. ■





მარი მელიქიძე

ვოლფრამის მზე (ანუ რატომ ჯობს ადამიანების ჯიშობას, იყო ვეტიკალიზაცია)

„ისევ მემბობის სულისკვეთებით გამსჭვალულმა გადაწყვიტა, ვეტიკალიზაცია გამოსულიყო: ადამიანების განკურნება და კაცობრიობის გადარჩენა მისი ოჯახის დიდი სიამაყის საგანი იყო (მისი ბაბუა ცხომ ექიმი იყო) ამიტომ უნდოდა ხმამაღლა განეცხადებინა, რომ ადამიანებს ძროხებს ამჯობინებდა.“
მილან კუნდერა „შეუცნობელი“

ყოველთვის, როცა დედაჩემი ხორციანი სადილით მიმასპინძლებდა, მე მახსენდება უბატრონო, ქუჩის ძაღლები, მაგრამ არასდროს – ადამიანები.

როცა ღრუბლები ვერ დგანან საკუთარ სიმაღლეზე და ჩემი თვალებიდან წამოსული ნალექების შეფარდება ციდან წამოსულ ნალექებთან არანეისიერ წილადას ქმნის, მე ვდგავარ და ვფიქრობ, რომ ერთი ვოლფრამის მზე ჩემს სულშიც უნდა ეკიდოს. ვფიქრობ, მე რომ ხელეების გაშლა და მკერდის ამ ფიქრით ნინ წამოწევა შევძლო, ქარი სწორედ მაშინ შეწყვეტს ქროლას და ჩემი სახეც ველარასდროს გასწორდება. დარჩება მხოლოდ ტუჩები, რომლებიც მთელ სახეს გადაეფარნენ, ტუჩები, რომლებმაც

ყველაზე კარგად დაგიმასხვორეს. გადაეფარნენ თვალებს, რომლებიც ხედავდნენ, რომ კოცნისას შენი ცხვირი იყო საოცრად დიდი და რომ შენ იყავი ცხვირზე ამოსული შენ.

როდესაც ღრუბლები ვერ დგანან საკუთარ სიმაღლეზე და მზე თავზე მაბიჯებს, მე მახსენდება ათასობით ჭიანჭველა, რომლისთვისაც ფეხი უნებლიეთ დამიდგამს. მაშინვე ვტრიალდები გულაღმა, რომ ველარ შევძლო გზის გაგრძელება და ზურგზე შემოდებული საჭმლის ადამიანებისთვის მიტანა, რადგან ყოველთვის, როცა დედაჩემი ხორციანი სადილით მიმასპინძლებდა, მე მახსენდება უბატრონო, ქუჩის ძაღლები, მაგრამ არასდროს – ადამიანები.

აოკიბაჰარა...

მისმინე...
მე ხე ვარ.
მარტოსული, უსიერ ტყეში, ეული, რადგან სხვა ხეებით არასოდეს მიყვავილია და ერთადერთი ნაყოფი, რომელიც ტოტზე დამიმწიფდა, თოკზე გამობმული შენი სხეული იყო და ფესვებიც მხოლოდ იმისთვის მქონდა მიწაში მყარად, რომ არ დამელალატებინე...
ახლა ვდგავარ და ვფიქრობ: შენ მარყუჟის გაკეთება სახელდახელოდ ისწავლე, მე კი ვდგავარ და ვფიქრობ.
მე ხე ვარ...

მე მინდოდა, ტალახი მესროლა საკუთარი სულისთვის და მიწა შევჭამე.

მე არასდროს დავნერ იმაზე, რომ შენს თვალბში სახლი მაქვს ბევრყვავილებიანი ბალითა და სარწვევლასკამიანი ვერანდით. მე არასდროს დავნერ იმაზე, რომ ჩემი სამყარო ზუსტად იმხელაა, რამხელაც შენი ერთი ამოსუნთქვა. მე მიწა იცოდე, რას ვგრძნობ, როცა ფოთოლზე დაკიდული წვიმის წვეთით ვკივივარ შენს ფეხებზე...

ჩემი ოცნებები გრავიტაციით იღუპებიან...

*** (სიცივე არაფერია...)

სიცივე არაფერია, ძვლებში რომ გაგიჯდება და ჩაგათბობს...

.....
გინახავთ დახუჭული თვალები? არა სიამოვნებით, არა ძილით, არა შიშით... არამედ სიკვდილით.

.....
სიცივე არაფერია მაშინ, როცა, მერამდენედ, ფიქრით გეხები შუბლზე, ხელებზე... მაშინ, როდესაც ჩემი თავი მუხლებზე მეკერის...
.....
დარდი გიგრძნობია?

როცა ღამე დეკადენტი, სიზმრის მდევრისგან ვერგაქცევას ნიშნავს ფიქრები...

.....
ვიჯექი საკუთარ გულისცემაზე და საკუთარ სხეულს არდაბადებული შვილივით ვარწვედი.

.....
დღე იყო სავესე და დღე იყო წვნიანი, დღე იყო მნიფე და კოსმოსით დამსკდარი. გინახავთ კოსმოსი? როცა ყველაფერი თავის ადგილზეა, მე – შენს კუბოსთან, შენ – შენს კუბოში.

.....
მუცელში გიყრის ყველაფერი შურის სიბასრეს მაშინ, როდესაც ცხოვრებაა და უნდა იდგე.

.....
გინახავთ ღამე – დეკადენტი, სილას რომ მანწის და მეც ჩემს ნაქებ მოთმინებას მუხლებზე ვეკვრი.

.....
ვიჯექი საკუთარ გულისცემაზე და საკუთარ სხეულს არდაბადებული შვილივით ვარწვედი.

სათაური...

საკუთარ თავში ძაღლივით მოკუნტული ვგრძნობ, როგორ ორთქლდება კანიდან სული, დილის ცვარით ყველაფერზე რომ იყო აბრწყინებული. სივრცეში ჩამოდგა ნისლივით და ჰაერი შეჭამა...

მზეო, ახლა თვალებში გიყურებ და სიცივეს ვლექავ. ჩაიში დამბალ პურს რომ ლექავენ მოხუცები. მზეო, ახლა თვალებში გიყურებ და ვგრძნობ, მალე როგორ გადმომაფურთხებს საკუთარი თავი. შენ ერთადერთი ხარ, ვისაც შევლა შეუძლია, მაგრამ ამისთვის ჯერ უნდა დავბრმავდე. უმწეოდ ვაბრაზუნებ საკუთარ ნეკნებზე, გადაყვლეფილი მუშტებით.

გთხოვ, გამომიშვი, მარიამ!

წელსაც ვინანე, როგორც შარშან – გადამფრენ ფრინველებს უნდა გავყოლოდი...

უმიწოდ ლპობას ავიტანდი გვამად ქცეული, ოლონდ იმ ქარში კაბის ნაცვლად შენ შემომკვროდი...

უთავოდ არა, უსათაუროდ...

მნიფე ჭერმების გატოტილი სახიდან შუშის თვალივით მიყურებს პარკი.

მიყვარს გზა, სადაც ხშირად, ვწერ სიტყვებს და მერე მათ ლექსებად ვნათლავ. ახლაც ამ გზაზე მივდივარ ფეხით და ვეძებ სახეს – წერისთვის მცირე მიზეზიც მყოფის...

.....
გულაღმა ფეხებს ასავსავენს ჩემი ოცნება. მუხლუხოსავით მთელი ტანით გასწორდეს, ცდილობს...

მე თითქოს მზე მიდგას თვალებში ანდა ცის მზისფერი მდინარე. ვაგროვებ სიყვარულ დრაჰკანებს, ღიმილით ჩამოჭრილ დინარებს.

.....
ვსუნთქავ გრაფიკით, ძალიან ბევრი ნერვებია გადასახდელი. იმდენად ბევრი, რომ შვილისთვის იაფფასიანი ღიმილიც ვერ მიყიდა... სული მოითქვი, მარიამ, საზრუნავზე დალაქავებული უდარდელიობა დააფინე და ჩამოჯექი. ცოტა ხნით სული მოითქვი, მარიამ!

.....
ხანდახან იცის ხოლმე მზემ ღრუბლებიდან გამოხედვა. გაშმაგებული ვანყდები მაშინ ფანჯრებს და ვცდილობ, ჭურჭელი სხივებით ავავსო. ადამიანეთში ზამთარი ჩვეულებად გვექცა. გამუდმებით ვცივდები და ვაცემინებ – ორგანიზმი ფარისეველ ბაცილებს იშორებს. დაგროვილი სხივების თვალბში ამოსმა ვიცი, მერე ყველაფერი ნათელი ჩანს. ერთხელ ასე კინალამ დავბრმავდი, თვალზე ადამიანთა გულგრილობამ გამომაყარა...

.....
მინის მძევლები უიმედოდ ცდილობენ ფესვების აწყვეტას. ცოტა ხანი კიდევ იბრძობენ და შემდეგ ბედს შეგუებულნი განაგრძობენ რწევას ხეები... მე კი ტაქტებად ავაყოლებ ფოთლებს ფორიაქს და თმის ბოლოებს შემოვბამ ოცნებას მზეზე...

- რა არ მოუვა ზოგიერთს თავში! – რა უნდა პოეტს ხელმწიფის ნავში?!

- მინიდან მინამდე და ციდან ცამდე, გზაში დაკარგული შემკრთალი შევდექ – მზის სხივს შერჩენილი წვეთი პანანინა მილიმის – ჯერ კიდევ შორია მზემდე?

სამუშაო

- ძალიან ხომ არ გაგანაწყენებ, რომ შემოგკადრო – დედავ, ბატონო! რა ლამაზი ხარ, ჩემო სიცოცხლე, რა ლამაზი და – რა – უპატრონო!

- სადღაც, შორიდან მილიმის ფრაზა, სულ ახალივით რომ არომატობს, – ლექსები მე დავწერე და პატივი სხვას ერგო – ვერგილიუსმა და – აბა, მე რაღა უნდა დავამატო!

- იქ, წინამურთან, სადაც გუშინ მოჰკლეს ილია, დღეს სახინკლეა და ბრბო უამით კმაყოფილია!

- წუთისოფელი – ჟამგანათევი, კვლავ ძველებურად მიცრუებს იმედს და საქართველოს, უცხო მატერიკს, ეცოტავება სამყარო მცირე!

- რად უბრალოობ, სტუმარო, ძლივს გამჩნევთ ირგვლივ მყოფებში! – არ შეგანუხებთ, მე მხოლოდ გავლით ვარ წუთისოფელში!

სიცოცხლის ეპიტაფია

- გული რად მწყდება! – წესიერად არც კი მიცნობდა წუთისოფელი – ერთი წვეთი მარადისობა!

- ერთი სიტყვაა ბატონ-პატრონი? ბოდიში, მაგრამ – გაიყო ორად! კარგა ხანია, მოკვდა „პატრონი“ და ჟამს ბატონად დაუჯდა მონა.

- ბატის ფრთის წვერზე ანგელოზმა ჩრდილი აშალა, არც უფიქრია, უფიქრელთა განაწყენება, დუმილს ნიავის უნებური ჩურჩული ფარავს: ოქროს სიტყვები, ოქროს კალმით არ ინერება!

პარიერა

საოცარია სკამების ბედი.

- ორ ზღვას შუა, ორ წყალს შუა, ორად მდგარი საქართველო, ერთში თბილა, ერთში ცივა, ორივეში სხვა ქართველობს. ერთში მუდამ იცინიან, „ბედნიერი“ ცხოვრებს „ერი“, ერთში მუდამ ზამთარია, ტკივილის და ცრემლის რთველი. ორივეში, როგორც ძველად, საომარი რჩება ლელო, გადარჩება? რა იქნება! რა ერქმევა – საქართველო?

- სხვა ქვეყნის თოვლმა გადმოლახა სახელმწიფო საზღვარი! დღის ტემპერატურა აშკარად აინვეს, საპატიმროებში ადგილი არ არის და – რას იზამთ, მაინც დაიჭერთ?

- ისევ ამინვეს, მა, რას იზამს, ამაღამ, წნევა! – მე და ბელურა შევრჩით მარტო წვიმისფერ ქალაქს, – გადაფრენილა თბილ ქვეყნებში ფრინველი ყველა!

მიტოვებული სახლი

- ამოიბრინა ბალახმა კიბე და ფანჯარაში რომ შეიხედა, – გაქვავდა! – ისე იყურებოდა კედლიდან ჩუმი ლოდინით დედა...

- ტყეში, ასე მარტო რა გინდოდა გოგო, ამდენ შიშველ ხეთა შორის, ტყემალო, შე სულელო, ახლა კიდევ იტყვი, რატომ გაგივრცელეს ჭორი? ჩაილიმილებენ შენს გახსენებაზე – მსუბუქი ყოფაქცევის როა? ტყემალო, შე ფურფუტა, ამ შემოდგომის ბოლოს შენი ყვავილობის დროა?

- ჟამი ჩვენი დაემგვანა „კიკუს“ – „ფული, ბაბა, ბევრი ფული, ბაბა!“ – ხომ გინდა, რომ კმაყოფილი იყო, რაღას უცდი, „ჩაიხადე“ კაბა!

- ბორგავს სამყარო, ვერ მისული მწუხრის ლოცვამდი, ჟამი სუფევს და ბედისწერა კვლავ აღმაცერობს, ამ აბდაუბდას, რას ეყოფა ერთი მოცარტი, რომ ქაოსიდან ჰარმონია აღმოაცენოს!

- ჩემმა მეშურნენმა ისიც არ იციან, რომ მხოლოდ სამშობლო ჩემი ამბიცია.

გაზაფხული

- სასწრაფოდ უნდა გავიქცე კახეთში! – სადაცაა მერცხლები მოფრინდებიან და – დედაჩემი რომ აღარ დახვდებათ, რა უნდა ქნან!

- ისე ერთბაშად „გაიზარდა“ ჩემს ირგვლივ ყველა, რომ მომეჩვენა, მარტოდმარტო მე დავრჩი ბავშვი და – შემეშინდა!

- ლექსივით ვცხოვრობ – ჩუმად, ჩემთვის... განა ვბერდები! სულ ველოდები მკითხველს როდის გავახსენდები, რომ ამოვფრინდე უყოფნელის დარი ყოფნიდან და არ მახსოვდეს, წამი თუ ვარ წუთი სოფლისა!

- შენ ჰგავხარ ქარში მომწყვდეულ ფოთოლს, ხანდახან ფრენით უზომოდ დაღლილს, უშენსურვილოდ რომ გაფარფატებს თავის ნებაზე – მაშრიყს და მალრიბს. შენ ჰგავხარ ქარში დარჩენილ ფოთოლს, ხანდახან ფრენით უზომოდ დაღლილს და – ვაღებ სარკმლის შუქივით სარკმელს – შემოდი, შენთვის ვიქნები სახლი.

დემოკრატია

ნეტავ, ადამად ყოფნის სურვილი



ტირა უალაუვილი

ჰქონდა იმ თიხას, რომლითაც შექმნეს?

პირველი თოვლი

თოვს და ფიფქები ისე ცელქობენ, ჩვილი ფოფინიც ისე ტკბილია, მგონი, ეს თოვლი, ჩვენ რომ გვიყვარდა, მართლა იმ თოვლის შვილიშვილია.

- როცა თიხიდან გადმოვა კაცი და შუაცეცხლის ალს მიენდობა, მის სამასპინძლოდ და საფერებლად წუთისოფელი როგორ მეყოფა!.. როცა თიხიდან გადმოვა კაცი და თბილი კერის ალს მიენდობა!


გამჭოლი კითხვა

ალარაფერიც აღარ გიკვირს? სულ არაფერი? აღარც ღალატი, აღარც შური, არც უგულობა? და – სიზმარს მაინც არ გიბზარავს გამჭოლი ფიქრი – ღვთის ხატად შექმნილს რად ურჩევნის მაიმუნობა?

გლობალური დათბობა

ყინვამ დააზრო ლედვის ფოთლები – ჩამოყვითლდა და ჩამოიყარა, ჟამს ტიტველი აქვს სარცხვინებელი და ველარაფრით ველარ იფარავს.

- ხანდახან, შენში ბორგავს აზია. ბნელს ატორტმანებს უდაბნოეთი და სანუთროსაც სულ სხვა აზრი აქვს თავის ანით და თავის ჰოეთი... ისე გრიგალებს შენში აზია, ჟამანყვეტილობს უდაბნოეთი.



მურად ჭანტურიას

როცა საიდუმლოება მეტისმეტად დიდია, ადამიანს არ ძალუძს, არ დაემორჩილოს მას. ანტუან დე სენტ-ეკვიპერი, „პატარა უფლისწული“.

მე რომ სახლიდან გამოვედი, ბიძაჩემი აუზის კიდეზე იჯდა. გვარდიელის ხალე-ბიანი ყავისფერი პერანგი, თითქმის ყოველდღე რომ ეცვა ამ ბოლო დროს, მხრებზე მკლავებგაუყრელად ჰქონდა მოხურული. უცბად ვერც შევამჩნიე, ახლოს რომ მივედი, მაშინ ვნახე: მკერდი და მარჯვენა მკლავი გვარიანად ჰქონდა გაკანონული.

ანამ სველი თეთრი ტილო მოურბენინა და ბიძაჩემმა ნაკანრი ჯერ მკერდზე, მერე მკლავზე ფრთხილად მოინმინდა. რომ დავაკვირდი, ახლა უკვე ძლივს ემჩნეოდა. მე სულ ახლოს ვიდექი, თორემ შორიდან, შესაძლოა, საერთოდაც ვერც შევამჩნიო.

ვინმე ხომ არ დაგვესხა-მეთქი, შიშით გავიფიქრე. კი არ შემშინებია, გამიკვირდა: ორივენი, ბიძა და მამაჩემი, სახლში რომ იყვნენ ისე, ვის უნდა გაგებდა?! თუმცა, ტყუილად კი არ მოსთქვამდა ბეზი-ჩემი დილიდან საღამომდე, საჭირო იყო თუ არა: „ნახდა ქვეყანაში“! ახლა ომი არ იყო, „ბეტერებიც“ გავიდნენ სოფლიდან და კლუბში მცხოვრები ჯარისკაცებიც, მაგრამ ღამე ისე არ ჩაივლიდა, ვინმეს ავტომატების ბათქა-ბუთქი არ აეტეხა.

მომეჩვენა, რომ ეზოში მყოფნი უჩვეულოდ მშვიდად გამოიყურებოდნენ. თანაც კახას მამამ ისეთი რამ თქვა, არც ომთან და არც ბანდიტებთან არავითარი კავშირი რომ არ უნდა ჰქონოდა:

– რამდენი ხანია, მეტყველები მეხვენი-ბიან და არ ვადღეუ. ხვალ მე თვითონ გავაჩერებ მაგათ მანქანას და გავაყოლებ! კახას დედაც იდგა ეზოში, კახაც და მისი ძმა რამოც.

თუმცა ღამე იყო, დღე გეგონებოდა, ისე კარგად ჩანდა ყველაფერი. ვერ მივხვდი, მთვარე ანათებდა ასე კარგად, თუ ეზოში ჩამოკიდებული ნათურა. თუმცა, შეიძლება, ორივეს გამო იყო ასე.

კახას მამის ნათქვამზე ბაბუაჩემმა ჩაიცინა. ბაბუაჩემი ასეთნაირად ჩაიციინებს ხოლმე მამის, როცა ვინმესი არ სჯერა. მივხვდი, ამჯერადაც იფიქრა: „ამ კაცის ნათქვამი შეპასუხებად არ ღირსო“.

არც არაფერი უთქვამს. ეგ იყო, კეფა მოიფხანა და მოჭუტული თვალებით მიაჩერდა ბიძაჩემს. მომეჩვენა, ბიძაჩემს შეპასუხება უნდოდა, მაგრამ ამ დროს ანამ რაღაცა ჩუმად უთხრა დედას, დედამ მე შემომხედა და შეიცხადა:

– ეგ შიმველი რატომ დგას აქ?! რას გაიგებ ამ დიდების?! მაინც და მაინც მე მარტო რატომ ვიდექი შიმველი?! პერანგი არც კახას ეცვა, არც რამოს, არც გოს. თანაც ისე ცხელოდა, რომ მქონოდა ახლა, ორ ბოთლ ლიმონათს სულმო-უთქმელად დავლევია!

– არ მინდა, ცხელა! – ვთქვი მე. ვინ გაგიგონა! ანა უკვე მიდიოდა პერანგის მოსატანად. რანი არიან, მართლაც, ეს დიდები?! მე რომ მეთხოვა, მცივა და პერანგი მომიტანეთ-მეთქი, თავში

გვარიანად წამითაქუნებდნენ. ამათან რამე რომ გამოვიგვიდეს, ყველაფერი პირუკუ უნდა უთხრა!

– დარწმუნებული ხარ, არ უკბენია? – იკითხა ლუბა ბეზიამ და ბიძაჩემს მკლავზე დააკვირდა. ჩემი ბეზია, ლუბა, ბიძაჩემის დედაცაა.

– არა-მეთქი! – ბიძაჩემის ხმა მშვიდად ჟღერდა. ოლონდ ეგ იყო, სახე ჰქონდა რაცინაირად პირქუში და გაქვავებული.

აშკარა იყო, ჯეკაზე საუბრობდნენ, კახასა და რამოს ძალღზე.

მეც ძლივს არ მივხვდი? როგორც კი სახლიდან გამოვედი, რაღაც ნაცნობი სუნი ვიგრძენი, ეს სუნი ახლაც ცხვირში მილიტინებდა. ეს ჯეკას სუნი იყო. მაგრამ

ვლის მეორე დღეს სამგზავრო ჩანთიდან ამოიღო და დაუთოვების გარეშე ჩაიცვა. როგორც ბესო ბიძიამ თქვა, მას ამ სამარცხვინო ძმათამკვლელ (სწორედ ასე თქვა; „სამარცხვინო“ და „ძმათამკვლელ“) ომში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ ეს პერანგი რომელიღაც მეგობარ პოლკოვნიკს უჩუქნია. ე, მე რომ მკითხოს კაცმა, კაპიტანს რომ ერქვნა, უფრო გაასწორებდა, რა!..

ბუნებრივია, ამ პერანგსაც თავისებური სუნი ჰქონდა. სწორედ ასეთი სუნი ჰქონდათ კლუბში დაბინავებულ ჯარისკაცებსაც – იმათაც, ვინც პირველნი დაბანაკდნენ აქ, და იმათაც, შემდგომ რომ მოვიდნენ და ერთდღიანი სროლების

ბეს თავის ეზოდან, ჩვენი ეზოს ჭიშკრიდან ბესო ბიძიაც შემოვიდა. ვერც მე და ვერც რამომ განძრევა ვერ მოვასწარი, რომ ჭიშკრიდან ორიოდ მეტრზე ჯეკა და ბესო ბიძია ერთმანეთს შეეჩხენ. მე რომ შემეშინდა, აი, ის იყო შიში, თორემ აბა ბიძაჩემს როგორ არ შეეშინებოდა, მაგრამ აქ დაუჯერებელი რამ მოხდა: ყველაზე უფრო მაინც ჯეკას შეეშინდა. კიდევ კარგი, რამოც აქვე იჯდა, თორემ ხომ არაფრით არ დამიჯერებდა ამას და მერე მთლად გამომიჭედავდა ყურს ნიშნის მომგებიანი კითხვით: „ჯეკა უფრო მაგარია თუ შენი ბესო ბიძიაო?“.

ბესო ბიძია რომ დაინახა, ჯეკა მოწყვეტილ შედგა. შიშისაგან გამაჟრჟოლა,

მეზობლის ქაღალი ჯეკა

რატომ უნდა ყოფილიყო აქ ჯეკას სუნი, თუკი ჯეკა თავის ხუხულასთან იყო დაბმული და ეს ამ სიშორიდანაც კი კარგად ჩანდა?! რატომღაც მომეჩვენა, რომ ეს სუნი ბიძაჩემის ჭრილობებს უდიოდა და უფრო ახლოს მივედი. მთლად ხელის მიკარება ვერ გავგედე. ბიძაჩემის მომერიდა. ბაკუ ბიძია რომ ყოფილიყო, ხელს შევახებდი და ჭრილობებს დავცნოსავდი კი არა, თუ მომინდებოდა, სულაც კისერზე ცხენით მოვაჯდებოდი. ბესო ბიძია კი ქალაქში მუშაობდა და ჩვენთან ხანდახან ჩამოდიოდა. ახლაც სულ რამდენიმე დღის ჩამოსული იყო.

ბესო ბიძიას ჩამოსვლა ყველას უხაროდა ხოლმე, მაგრამ ყველაზე უფრო, ალბათ, მაინც – მე. ვარიანტი არ იყო, რამე საინტერესო სათამაშო არ ჩამოეტანა. აი ისეთი, კახა და რამო თვალებს რომ ფართოდ დააჭყეტდნენ. გოგაზე და იკაზე ხომ საერთოდ ნუ იტყვი! წინათ რომ ჩამოვიდა, ნამდვილი საფეხბურთო ბურთი მარჯუა. ცოტა მძიმე კი იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, ტელევიზორში ფეხბურთს რომ თამაშობენ, ზუსტად მაგადაგვარი! ისეთი ლამაზი იყო, დაგენანებოდა ფეხის დარტყმა. თავდაპირველად, რამდენჯერაც დავეცემოდა ქათმის სკინტლზე, იმდენჯერ სველი ტილოთი ვწმენდით.

ბესო ბიძია რომ ჩამოვიდოდა, საჩუქრებთან ერთად თან ქალაქურ სუნსაც ჩამოიტანდა. ეს სუნი რაღაცნაირად ნააგავდა ეზოში ღობის გასწვრივ ამოსული ყვავილების სუნს, მაგრამ, ამასთან, ძალზე განსხვავდებოდა მისგან. ეს ქალაქის სუნი იყო. ამ სუნს ქალაქის საპარაკმახერობებში აფრქვევენ ხოლმე იმათ, ვინც იქ პირს გაიპარსავს ან თმებს შეიჭრის. ერთხელ, დედაჩემთან ერთად ქალაქში რომ ჩავედი, ბიძაჩემი და მე ერთად წავედით საპარაკმახერობი. ბიძაჩემმა წვერიც გაიპარსა და თმებიც შეისწორა, მე თმები შემკრიჭეს. აუჰ, რა მომავრქეია პარაკმახერმა?! ლამის გავიწუნე! სოფელში რომ ჩამოვედი, ეს ჯორისკუდა ნატა, კახასა და რამოს და, პირდაპირ ავტობუსის გაჩერებასთან არ აგვეტუზა?! გამარჯობაც კი არ უთქვამს, პირდაპირ თმებზე მტაცა ხელი?! თან ჩაიციინა; „აი ქალაქელი ბიჭი! პირდაპირ არ აგვაქოთა ქალაქური სუნით!“ დედაჩემს ვეხმარებოდი და ხელში ცელოფნის პარკი მეჭირა, ამიტომ, სანამ განზე გახტებოდა, ვერ მოვასწარი ჯორის კუდისმაგვარ თმებზე ჩაფრენა, თორემ როგორ ჩაიციინებდა, ვნახავდი. მერე გადავიფიქრე: ალბათ შურს-მეთქი და შევეშვი. ისე კი, ქალაქიდან ჩამოსულებს ყველას ჰქონდა ასეთი სუნი, თუნდაც თმებიც არ შეეკრიჭათ იქ, თუნდაც საერთოდ არ გაეკლოთ საპარაკმახეროსთან ახლოსაც კი. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ იქ ჰაერიც კი ამ სუნით იყო გაჟღენთილი.

ისე, ჯორისკუდა, რომ ვთქვი, – ეს ბაკუ ბიძიამ შეარქვა ნატას თავისი მართლაც ჯორის კუდივით ჩამოკონიალებული თმის გამო. მართლაც, ზედგამოჭრილი იყო მისთვის ეს სახელი!

ბუნებრივია, ბესო ბიძიამ ამჯერადაც, რომ ჩამოვიდა, ქალაქური სუნიც თან ჩამოიტანა. თან ჩამოიტანა ის ყავისფერი, ხალეზიანი პერანგიც, რომელიც ჩამოს-

შემდეგ შევიდნენ შიგ. ახლაც, რამდენი ხანი გავიდა იმის შემდეგ და, მინებჩამსხვრეულ და ბათქაშჩამონგრეულ კლუბს რომ აუვლიდი გვერდს, იმ სუნს ჯერ კიდევ შეიგრძნობდი.

შეიძლება მარტო ქალაქური სუნის გამო კი არა, ამ სუნის გამოც ვერ შენეყვნენ ბესო ბიძია და მეზობლის ძალი ჯეკა ერთმანეთს. ჯეკას მინდვრის სუნი უყვარდა, ბალახებისა და ხეების ჩამოყრდით ფოთლების ნამდვილი სუნი უყვარდა. ოო, როგორ გავარდებოდა, როცა აუშვებდნენ?! ნეტარებით კოტრიალობდა, რა ბუქს ააყენებდა ხოლმე?! ჯეკასაც ამ ბალახებისა და ფოთლების სუნი უდიოდა.

როცა ბესო ბიძია ქალაქიდან ჩამოვიდა და თქვა: „ერთი მაგათთან გადავალ, გაუხარდებათო“, მეც თან ავეკიდე. ყველანი ეზოში იყვნენ იმ დროს: გურამი ბიძიაც და მანანა ბიცოლაც, კახაც და რამოც. ჯორისკუდაც იდგა ონკანთან ახლოს, ცოცხი დიდი ქალივით დაეჭირა ხელში და თავმომწონედ გვიყურებდა.

მეც ხომ გვერდით მივყვებოდი ბესო ბიძიას, არადა, როგორც კი ფეხი შევდგით იმათ ეზოში, გადაირია, მაგრამ რა გადაირია ჯეკა. სანამ თავის ხუხულაში ჯოხით არ შეაგდო და კარი არ მიუქცა ბიძია გურამმა, მანამ არ გაჩუმდა.

– ვაი და ვუი მაგას? რა ჭირი ეტაკა?! – მოუბოდიშა ბესო ბიძიას მანანა ბიცოლამ.

მართლაც, ესეთი რამ ჯეკას არავისთან ჩაუდენია. უცხოის როგორ არ უყეფდა, მაგრამ საკმარისი იყო, თითი დაგვექნია, გაჩუმდებოდა. საოცრად ჭკვიანი ძალი იყო ჯეკა. ახლა რა მოუვიდა, ვერ გავიგე. პილპილი ხომ არ აჭამა ნეტა ვინმემ? როცა ბეზია გაბრაზებდა და კაპასობს, „პილპილი ხომ არ გიჭამია, ქალოო?“ – ეუბნება ბაბუა. მერეც და მერეც, როცა ბიძაჩემს დაინახავდა, გააფთრებული ჯეკა კვლავ და კვლავ მთელი ძალით ცდილობდა იმ საკმაოდ მსხვილი ჯაჭვის განყვეტას, რომლითაც ის თავის ხუხულაზე იყო მიბმული. თითქოს მეზობელი კი არ შემოსულიყო ეზოში, არამედ – მოსისხლე და დაუძინებელი მტერი?! „ამდენი ხანი როგორ ვერ მიეჩვიო?!“ – ყველას უკვირდა. მგონი, მხოლოდ მე ვხვდებოდი, რაშიც იყო საქმე.

ჯეკას საღამო ჟამს აუშვებდნენ ხოლმე. როგორც კი აუშვებდნენ, უმალ გადაუფრენდა ხოლმე ჩვენს ღობეს, უკან მოუხედავად გადაჭრიდა ეზოს, მოპირდაპირე ღობესაც გადაეკლებოდა და სიბნელეში გაუჩინარდებოდა. სანამ მთელ სოფელს არ შემოიბრუნებდა, სანამ მთელი სოფლის ველ-მინდვრებს არ ააბუქებდა და კარგად არ მოიოხებდა გულს, უკან არ მობრუნდებოდა. მობრუნდებოდა და ველ-მინდვრებიდან იმ ნაცნობ სუნსაც მოიტანდა თან.

ასე იყო ყოველ საღამოს. ერთხელ ჯეკა რომ აუშვეს, მე და რამო ჩვენს ეზოში სახლის წინ კიბეზე ვიჯექით და ბესო ბიძიას მიერ წინა ჩამოსვლაზე ჩამოტანული ავტომატს ვარუდობდით. მთლად ნამდვილი ავტომატით იყო, რომ გამოსწვედი, გრუხუნებდა და სულ ცეცხლის ნაპერწკლებს ჰყრიდა ლულიდან. როგორც კი ჯეკა გადმოეგლო ღო-

რადგან ვიფიქრე: ახლა ერთს აიფოფრება, თვალებიდან და პირიდან ელვაცეცხლს გადმოჰყრის და ბიძაჩემს გაავებული ეკვეთება-მეთქი.

მაგრამ, ჰოი, საოცრება? პირიქით კი მოხდა. შემინებული ჯეკა ისეთნაირად მოიკუნტა, ლამის მინაში ჩაძვრა, მერე ისე, თითქოს თავში კეტი მოხვედროდეს, ერთი დანიკმუტუნა, შურდულიდან ნასროლ ქვასავით მოწყდა ადგილს და წკმუტუნ-წკმუტუნით თავი ისევ თავის ეზოში დურთა. არადა, ბესო ბიძია არც განძრეულა. ის კი არა, ჯიბიდანაც არ ამოულია ხელი.

ელდანაცემმა ბესო ბიძიამ – „თფუ, შენო!..“ – მინაზე დააფურთხა, მერე რაღაც უცნაურად გაიციინა: „აი, თურმე რაში ყოფილა შენი ძალა, ჯეკ!“ ისე სუნთქავდა, თითქოს სადაც იყო იქიდან აქამდე სირბილით მოსულიყო. სიცილ-სიცილით მოგვიახლოვდა, თავზე ხელი გადაგვისვა ორივეს და ასევე სიცილ-სიცილით შევიდა სახლში. თავზე ხელი რომ გადაამისვა, იმწუთშივე ვიგრძენი ის სასიამოვნო სუნი, ქალაქიდან რომ ჩამოჰყვდა. დედაჩემი ბოსტნის ღობეს გადმომდგარიყო და სანამ ბიძაჩემი სახლში შევიდოდა, „რა მოხდაო“, შეეკითხა. მან კიდევ ხელის აქნევით უპასუხა: „არაფერიო“.

მე კი რამოს ნიშნისმოგებით ვუთხარი: „როგორ ფიქრობ, ბესო ბიძია უფრო მაგარია, თუ შენი ჯეკა-მეთქი!“

მერე, როცა ამ ამბავზე ვფიქრობდი, რატომღაც ბიძაჩემის მაშინდელი ნათქვამი მახსენდებოდა ხოლმე სულ. ალბათ, იმიტომ, რომ ვერ დავიმახსოვრე, როგორ თქვა: „აი, თურმე რა ყოფილა შენი ძალა ჯეკ!“ თუ: „აი, თურმე რაში ყოფილა შენი ძალა, ჯეკ!“

საღამოს, როცა ბესო ბიძია ეზოში, მსხლის ძირას, ჩრდილში, საქანელა სკამზე იყო გადანოლილი და გაზეთს კითხულობდა, ვკითხე:

– ბესო ბიძია, შენ ჯეკასი ხომ არ გეშინია?

გაოცრებით შემომხედა. მერე წამოჯდა, გაზეთი მუხლებზე ჩაიდო და ჩემთვის მოულოდნელი რამ მოთხრა:

– რა თქმა უნდა, მეშინია.

მე დავიბენი. ჯერ ჩემთვის არავის არ უთქვამს ასეთი რამ. პირიქით, ყველანი მებრიქებთან ხოლმე.

ჩემი დაბნევა ბესო ბიძიამ შეამჩნია და გამიღმა:

– მხოლოდ სულელებს არ ეშინიათ არაფრის! – ბესო ბიძიას ლიმილსაც სასიამოვნო სუნი უდიოდა.

– ბესო ბიძია, ჯეკასაც ხომ ეშინია შენი?

– რა თქმა უნდა, ჯეკა ჭკვიანი ძალია და არ შეიძლება, არ ეშინოდეს ჩემი!

ჰმ, ცოტა უცნაურად კი ლაპარაკობენ უფროსები, მაგრამ, მე მგონი, მივხვდი, რასაც ბესო ბიძია მეუბნებოდა. არა მგონია, ამას რამო მიმხვდარიყო. რამო კი არა. შეიძლება კახაც ვერ მიმხვდარიყო უცბად. ანაზე ან ჯორისკუდაზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს! რა დიდი მიხვედრა უნდოდა იმა-საც, რომ ამ ღამითაც – როცა ბესო ბიძია



გიორგი თქვათი

საანსაღლო სადღებრქალო

ეს გაუმარჯოს ახალ წლის ღამეს, ფიფქთა ფანტელის თამაშს და ლხენას და მოელვარე ამ ნაძვის ხესთან პირველ ღიმილს და პირველ შეხვედრას. დე გაუმარჯოს ახალ ოცნებას, ახალ სიხარულს და დედის მკერდში აელვარებულ ჩვილის სიყვარულს. დე გაუმარჯოს მარგალიტებად დაფრქვეულ ცრემლებს და პირველ ღიმილს, აკვნიდან რომ შემოგანათებს. დე გაუმარჯოს იმ ტკივილიან ტკბილ პირველ წამებს,

მშობლიურ გრძნობას, დაბადებულს ახალ წლის ღამეს.

სადღებრქალო

ლაჟვარდოვან ცის კიდეზე ვნახე ბროლის თასი, ზედ ეხატა საქართველო, სადღეგრძელო მასვი.

მისი მრავალუამიერი ამიჩქეფდეს ძარღვში, ვაზის ცრემლმა მაჭარივით დამიაროს ტანში.

ამადულოს, ამამღეროს იადონის ხმაზე, დავითვრები? მომასვენე საქართველოს მკლავზე.

● გულზვიადები, ჩამომდგარან ჭალარა მთები, ქარის ზუზუნში ამაცები ჩუმად როკავენ, აუკეციათ ახალუხის თეთრი კალთები და მომღიმარნი ნართებივით ნაზ სიმღს ცეკვავენ.

რად მიგვატოვე?

მიხმობს ისევე სოფლის ზამთარი, ლადის წისკილი, დარდით დაცლილი, ჩამქრალი თონე... მივინწყებული კარების დირე მთლად გაცვეთილი.

ეს... მელოდება ჩაფიქრებული პაპისეული ჭერი, ბუხარი, სამფეხა სკამი ფეხმორყეული, და ყელგამშრალი კოკა მწუხარი.

მელოდებიან, მე კი ვერ მიველ, ოთახის კედლებს ღრღნის სიმარტოვე,

ღვინის ხელადა დაძმარებული ჩუმად ჩურჩულებს: რად მიგვატოვე?

● თინა აბაშიძეს ღამეა, ბობოქრობს ზღვა, ნაპირთან ქაფს იყრის, რად? შემცივნულ, აქოჩრილ გულ-მკერდზე ფიფქები ეალერსება მათ.

ზღვას სივრცე არარად მიაჩნის, ლელავს და... მოუხმობს ვის? ნაპირთან არავინ არ ხვდება... რჩება ღამეში ეულად ის...

იქნებ

გული ავამღერე, ჩანგის სიმებს ვწყვეტავ, სისხლი ძარღვებიდან უღვთოდ წვეთავს, წვეთავს, ვმღერი იმას, გახსოვს? თბილს და ალერსიანს, მძიმე განშორება თვალებს რად მიკვესავს? ჩანგის სიმებს ვმართავ, იქნებ ავაჟღერო, იქნებ გაბზარული გული ისევ გავამთელო, იქნებ ჩაგაფიქრო, იქნებ გაცოცნებო, იქნებ გაგიქარვო დარდი, მარგალიტო. იქნებ მართლა ვცდები შენში, ხელს რომ გიქნევ, იქნებ გულის ნაცვლად მკერდში ლოდი გიდევს. იქნებ ყოველივე ბედის ბრალი არის, მოხვალ? გელოდები არ თქვა: - გვიან არის.

წინაპრის სადიღებელი

ბაბუაჩემის ბაბუას ბაბუად ვინაც რგებია, სიმწარით ამონაფუარ ხვედრს ვინც არ შერიგებია. სულს მისას ჰქონდეს ცხოვნება, ბედს ვინაც აჯანყებია, ვინაც მგელივით ცხოვრებას დათვივით დაჯახებია. ვინც ხიფათს ღამეს უთევდა, მუდამ ფხიზლობდა მედგარი, სანუთროს ვინაც უტევდა ბრდღვინვით - ტორებზე შემდგარი. აბა, იმას რა მოლლიდა, ნაშობს მოუღლელ გულითა, თიბავდა, მკიდა, თოხნიდა, ვინაც საყურძნეს უვლიდა. ვინც მოძალებულ მგლის ხროვას უგერიებდა ნაშიერს, მგლის ხროვას - თვალბესისხლოვანს, უკეთურს და მონაშიებს. ცხოვრებამ ვისი სახლ-კარიც საომარ არედ აქცია, ვისაც ეკვეთა მრავალგზის, მაგრამ ვერ წამოაქცია. ასე გარჯით და წვალებით ვინაც გაზარდა „ბელები“, იმის სულს ვენაცვალეები! იმის სულს შემოვევლები! მის ხსოვნას და მის დიდებას არ წაეყრება ნაცარი, ჩემში არ დაიბინდება იმისი ნადიდკაცარი.

თიკა, წინკა, ნათო

ზღვაზე თიკას, წინკას, ნათოს მონატვრით პლიაჟი, მზემ რომ არ გამოანათოს, ნახეთ მათი გნისი...


- წვიმის პონტში აქ ვიჯდებით?! არ გვერჩია საირმე?.. - აუ, პროსტა, გავგიჟდები!.. - არარსებობს... ვაიმეეე!..

● მე ასე მოვიდარდებდი? განვიმორებდი სიტკბოს? შენ რომ არ გამოცვლილიყავ, ისევე ისეთი იყო, შამქორში რომ აგრძელებდი ბრძოლაგადავლილ დიდგორს. მე ასე მოვიდარდებდი? დარდს მოვუშვებდი ახლოს? ისევე ისეთი რომ იყო (არ გავდე დროის ამყოლს), მარტყოფში რომ აგრძელებდი ბრძოლაგადავლილ შამქორს. მე ასე მოვიდარდებდი?..

● აღარც იმედი, არც გასაქანი, არც მეომრული სულის ანთება... გორდას შეხლილი იატაგანი შორ ზმანებაში თულა გაკრთება. აღარც მომკელი, აღარც სამკალი, არც სამომავლო ზრუნვა კეთილი... თითქოს ერთგული ხარი დავკალი, გული ისე მაქვს ამოკვნეტილი.

ავროსამყარო

გომორით და სოდომით, კაიფით და ლოთობით, წუნწუხიან ბაზრობით, კაბის ტანზე გაძრობით, უბინობის დამცრობით დღემდე გზაგამოვლილი - ნებიერი, მოვლილი, როკავს



ზვიად მუსხერიკი

ევროსამყარო... დროა ქართველთ ვახარო: მთელი ჩვენი აზრებით, მთელი ჩვენი არსებით, ათას ხვეწნა-მტკიცებით, უკანალის მიცემით, კოჭლიანი გონებით, ოხვრით, გულშელონებით უკვე მას ვეკონებით, ველტვით და ვემონებით!.. გმირნო და გზანათელნო, რაღა გიჭირთ, ქართველნო!!!

● აფსუს, რა ფერი წამერთვა, ვამბობ სატირალ სიცილით, მსურდა ლექსებში ჩამერთო, ველარ ვახსენე სირცხვილით. თავი შეურცხვეთ ცისფერებს, მაგათ რა სცხიათ საჩვენო, კაცი ქალობას იჩემებს?! შენ დაგვიფარე, გამჩენო!

►► 80-14 გვერდიდან

გაკანონული მკერდითა და მკლავით აუზის კიდზე იჯდა, როცა ჯეკა მის ეზოში თავის ხუხულასთან იყო დაბმული და, რაღაც გასაოცრად, ამ აუზთან ჩემს მეტი ვერავინ მოინახა შიშველი – ბესო ბიძიასა და ჯეკას ამბავი გრძელდებოდა. ბუნებრივია, ბესო ბიძიას მკერდზე და მკლავზე არსებული განაკანონებებიც ამ ამბავთან იყო დაკავშირებული. უფრო მეტიც, ყველანი, ვინც ამ ეზოში ვიყავით, ამ ამბის შემადგენელი ნაწილები ვიყავით, ისე, როგორც მსახიობები მონაწილეობენ ფილმში. ამ მსახიობების გარეშე, ცხადია, ფილმიც არ იქნებოდა. მე ძალიან მინდოდა ყველაფერი დაწვრილებით გამეგო. კიდევ უნდა მეკითხა რამოსათვის, მაგრამ ამ დროს ბაბუაჩემმა საათს დახედა და გაიოცა: „ოთხის ნახევარი ყოფილა უკვეო?“ ყველანი დასაძინებლად წავიდით. ასე რომ, იმ ღამეს ვერაფერი გავიგე. მართალი ვთქვა, ბევრი ვერაფერი ვერც მეორე დღეს გავიგე და ვერც მესამეს... დანწირილებით ამ ამბავს ბიძია ბესო, მე მგონი, არავის უყვებოდა და მე როგორ მომიყვებოდა. არა, იმას კი არ ვამბობ, ჩემთან ლაპარაკს დაიზარებდა-მეთქი, მე სხვა რამე მაქვს მხედველობაში. დიდები ხომ თავისებურად უდგებიან და უყურებენ ყველაფერს. ჰოდა, ამდენად, ბიძაჩემს დიდი სურვილიც რომ ჰქონოდა, მაინც ვერ მომიყვებოდა იმას, რაც მე მინდოდა, თუ როგორც მე მინდოდა. ერთი სიტყვით, ნახატებიანი სათამაშო რომ არის, ნაწილ-ნაწილ რომ უნდა ააწყო რამე, სწორედ ამ ნახატებივით ავანყე მერე იმდამინდელი ამბავი. ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი საინტერესო არ არის: შუალაშისას ბიძაჩემს ძალის წკმუტუნის შემოესმა. „თითქოს ტიროდაო“, – თქვა ბესო ბიძიამ. რომ არ შეწყდა და არ შეწყდა წკმუტუნის, ბესო ბიძია ადგა, ეზოში გავიდა და ლობეზე ფეხით ჩამოკიდებული ჯეკა დაინახა. „რომ მივედი, უკვე ისე იყო მისაგებებული, წკმუტუნის კი არ შეძლო“, – ამბობდა ბესო ბიძია. – „ძლივს ჩამოვხსენიო. ისეთი მძიმე იყო, აუზამდე ძლივს მოვიყვანეო. აქ ცოტა ხანი შევისვენეო. ჯეკა მკლავებზე და მუხლებზე მენვინა, სიცოცხლისაგან და კიდევ რაღაც გაუცნობიერებელი გრძნობით თავზე ვეფერებოდიო. მერე ბესო ბიძიას გადაუწყვეტია, ნაყიყვიან ამ ძალს და თავის ხუხულასთან დავსვამო. ჰოდა, მაშინ, როცა ჩვენს ეზოსა და მაგათ ეზოს შორის ჩამოკიდებული კარი ფეხით შეალო და რამდენიმე ნახიჯი გადადგა, მომხდარა ის, რამაც ბიძაჩემს მოულოდნელობისაგან, „ნადი, შე უმადუროო“, რომ წამოაძახებინა. უცბად ჯეკას მკლავებიდან უსკუპია და ისეთი შემოულრენია, ბიძაჩემს იმ, ფეხით შეღებული, კარის ზურგსუკან მიკეტვა ძლივს მოუხსნია.

არ ვიცი, ჯეკა უფრო დიდხანს კოჭლობდა თუ ბესი ბიძიას ემჩნეოდა ჯეკას ბრწყინებით განაკანონი მკერდზე და მკლავებზე, მე უფრო სხვა რამე მაინტერესებდა: აი, ბესო ბიძიამ რომ თქვა ჯეკაზე: „თითქოს ტიროდაო“. კი ამბობდა ბესო ბიძია რაღაც უცნაურობებს დიდებებით, მაგრამ რაც უნდა ეთქვა, მაინც მტრები იყვნენ ისინი. ჰოდა, რახან მტრები იყვნენ, ნეტავი, რა უნდა ეფიქრა ბესო ბიძიას, როცა ლობეზე თავსევე ჩამოკიდებული ჯეკა დაინახა. მაგალითად, ბესო ბიძიამ თქვა, კიდევ ცოტა ხანი და დაიხრჩობოდაო. რამოს და კახას მამა არ დაეთანხმა: ძალს

ძალის გაძლება აქვს: ერთი კვირაც რომ ყოფილიყო თავდაღმა დაკიდებული, არაფერიც მოუვიდოდაო. ასეა თუ ისე, მაინც: მართლაც, თუ მტრები იყვნენ ისინი ერთმანეთისა, რატომ უნდა დახმარებოდა?! ამაზე რამომაც მხრები აიჩეჩა, ესე იგი – ვერაფერი გამიგიაო. კახამ, მოგვლია ერთიო და ზურგი შემაქცია. რამო მაინც გაჟჭედე: როგორი იქნება, ახლა მე შენ ავტომატი გაჩუქო, შენც ადგე და იმწუთშივე ეს ავტომატი თავში ჩამარტყა-მეთქი. ჰოდა, მეტი სიცხადისათვის და დამაჯერებლობისათვის. ავდექი და ეს ავტომატი მართლაც ვაჩუქე. რამოს ჯერ ეჭვი შეეპარა, მაგრამ დედა რომ დავიფიცე, თვალეები გაუბრწყინდა, ავტომატი ჩამომართვა, გადამეხვია და მაკოცა: „ძაღლებისა და ბიძიების დედაც ვატირე, ჩვენ ვიყოთ მავარი ძმაკაცებიო!“ ასე და მარტივად! უფროსები რომ იტყვიან, რამეს ბუნდოვნად – თანაც რომ მიხვდები და თანაც რომ ვერ მიხვდები – ისე კი არა, უბრალოდ: ასეო და მორჩა!

მე და რამომ კი გავარკვიეთ ერთმანეთში ყველაფერი, მაგრამ ჯეკას ამბავი მაინც არ მასვენებდა: თუ ბესო ბიძიას უნდოდა შერიგება, ჯეკას რატომ არ უნდა ნდომოდა?!

ერთხელ ბესო ბიძიამ, როდესაც მამაჩემს ელაპარაკებოდა, ჩაიციხა და ისე თქვა: „შევწუხდი, მაგრამ მაინც გულში ერთგვარი სიამოვნებით გავიფიქრე: ოჰ, ჩემო უნდო მეგობარო, ახლა კი, ალბათ, დადგა ჩვენი შერიგების დრო!“ ეს იმ მომენტზე თქვა, როცა ლობეზე ჩამოკიდებული ჯეკა დაინახა და მისი ჩამოსხნა გადაწყვიტა. „თავდაპირველად ისიც კი ვიფიქრე, გურამი ხომ არ გავადვიძო-მეთქი“, – ამას კახას, რამოს და იმ ჯორისკუდა ნატას მამაზე ამბობდა ბიძია ბესო. არა, ვერაფერი გამეგო, ჯეკას რატომ არ უნდა ნდომოდა შერიგება, მართლაც თუ ისეთი ჭკვიანი და კარგი ძალის იყო, როგორც ბესო ბიძია ამბობდა. თუმცა, ეს მან, სანამ ეს ამბავი მოხდებოდა, მანამდე თქვა, იქნებ ახლა, შესაძლოა, სულაც სხვანაირად ფიქრობდა?

ჰოდა, როცა მე და ბესო ბიძია მდინარეში საბანაოდ წავიდით და ცივი წყლისაგან აკანკალებულნი მზეს მივეფიცხეთ, მის მკერდსა და მკლავზე ჯერ კიდევ შემორჩენილ ნაკვალევს შევაველე თვალი, ვთქვი: – ხომ ცუდი, ძაღლია, ბესო ბიძია, ჯეკა?

– ჯეკა?! – ბესო ბიძია თითქოს უცბად ვერც მიხვდა, რას ვეკითხებოდი. მერე რაღაც უცნაურად დამაკვირდა, თავზე ხელი გადამისვა და სრულიად სერიოზულად მითხრა: – ცუდი ძაღლი კი არა, ძალზე ჭკვიანი და კარგი ძალის ყოფილა ჯეკა! იმაზე უფრო უკეთესი, ვიდრე მეგონა!

მისმა ნათქვამმა გამაოცა. – აბა, ის ამბავი, იმ ღამეს რომ მოხდა?! – ჩავეკითხე.

– სწორედ იმ ღამეს დაამტკიცა ჯეკამ, რომ მართლაც კარგი ძაღლი იყო!

კი ლაპარაკობენ ეს უფროსები გაუგებარ რაღაცებს, მაგრამ მაინც ეჭვი შემეპარა: წყაროსთან რომ გამოვიარეთ, ბუხუ ბიძიამ ორი ჭიქა ჩაიცებულნი ღვინო დააღვინა და, ხომ არ დათვრა-მეთქი. თუმცა ორი ჭიქა კი არა, გაღმელ ემზარკოს რომ ბაბუას ნაჩუქარი ჭურჭელი დააქვს საბანაოდ, იმ სიდიდის ორი ხელადაც რომდგე დაელია, ბესო ბიძიას არ შეეცყობოდა.

– შენ რომ ვინმეს კარგი საქმე გაუკეთო, იმან კი ეს ცუდად გადაგიხადოს, – როგორ შეიძლება ის კარგი იყოს?! მართლაც, ვერაფერი გავიგე!

ბიძაჩემმა კვლავ გაოცებით შემომხედა. წამოჯდა, პერანგი მხრებზე მკლავებზე გაუყრელად მოიხურა (ბესო ბიძიას ახლა ლურჯი პერანგი ეცვა ხოლმე, ჯარისკაცების ჩასაცმელი, რომელიც იმ ღამით ეცვა, მამაჩემს აჩუქა – ვენახის შენამეღისას გამოგადგებაო). ცოტა ხანი ისეთ-ნაირად მიყურებდა, თითქოს ჩემს ზურგს უკან კიდევ ვიღაც იდგა.

– აქ ცოტა სხვა ამბავია, ჩემო გიორგი! – სწორედ ასე თქვა: „ჩემო გიორგი“. „გიოო“ კი არა – „გიორგიო“. ასეთნაირად არავინ არ მომმართავდა. მე, მგონი, ბიძაჩემმაც პირველად მომმართა ასე. – აი, როგორ აგისხნა... – ბიძაჩემი ცოტა ხანს ფიქრობდა. ეტყობა, საჭირო სიტყვებს ვერ პოულობდა. ხანდახან მეც მჭირს ასე, ვიცი რაღაცა, ან რაღაცას ვხვდები, მაგრამ რომ ვთქვა, საჭირო სიტყვებს ვერ ვპოულობ.

– იცი, რა გიორგი! – თქვა ბოლოს ბესო ბიძიამ. – არის ისეთი რაღაცებიც, სხვისი ნათქვამითა და ახსნით რომ ვერ მიხვდები. ასეთ რაღაცებს კაცი თვითონ უნდა მიხვდეს თავისით... თავისით, თანდათანობით, როგორც გაიზრდება... ცოტა არ იყოს, გული დამწყდა: მე ახლავე, ამწუთსვე მინდოდა გამეგო.

– მაინც რამხელა უნდა გავიზარდო? ბესო ბიძიამ კისერი მოიფხანა. მერე მოტრიალდა და ხელი ოხაჩქუეს მთისკენ გაიშვირა:

– როცა აი, იმ მთაზე მარტო ასვლას შეძლებ და იქიდან გადმოიხედავ, მაშინ მიხვდები.

„აუჰ?!“ – ეგ გულში გავიოცე. სახეზე არ შემიმჩნევია და უფრო, შიში რომ არ შემტყობოდა, იმიტომ ვთქვი:

– მამა ამბობს, იქიდან ზღვაც მოჩანსო, მართალია?

– როგორ ფიქრობ, შეძლებ, მანდ ასვლას? – მკითხა ბესო ბიძიამ.

– როცა ცოტა კიდევ გავიზრდები... ალბათ...ალბათ – უნებურად წავბორძიკდი, რადგან ბესო ბიძიას ტყუილს ვერ ვეცყოდი.

ბესო ბიძიამ გაიცინა: – ახლა რა, შეგემინდებოდა?


– კი, მეშინია! – ვთქვი და შევხედე.

– არა უშავს, რახან მიხვდი, რომ გეშინია, ცოტა ხანში წამდვილად ახვალ! – თქვა და მხარზე ხელი ძმაცააცივით დამარტყა.

მართლაც უცნაურად ლაპარაკობენ, არა, ეს დიდები?! კი ხვდები, რაც გითხრეს, მაგრამ, ვინმე რომ შეგეკითხოს, შეიძლება ვერც აუხსნა.

მერე ბესო ბიძია ისევ ქალაქში დაბრუნდა.

საბანაოდ ახლა რამო და მე დავდევართ ერთად. ხანდახან ჯეკაც მიგვყავს თან. როგორ უხარია, წყალში რომ შევაგდებთ. გარეთ ძალზე თვინიერი ძაღლია. იქ, მდინარის პირას ბავშვებთანაც დიდი სიამოვნებით თამაშობს. მაგრამ მტრისას, მაშინ, თუ მის ეზოში ვინმე ცხვირის შეყოფას გაბედავს!... დილით, როცა ვდგები, ოხაჩქუეს მთას გავხედავ ხოლმე. რაც მართალია, მართალია, ძალზე შორი ჩანს. მაგრამ ერთხელაც, როცა გავხედე, ცოტა უფრო ახლოს მომჩვენებოდა... ერთ დილით ისიც კი ვიფიქრე, მოდი სულაც გავიპარე და ავალ-მეთქი, მაგრამ ყველაფერი რომ ავნონ-დავწონე, მაინც გადავიფიქრე. აი, რამოც რომ წამოსულიყო ჩემთან ერთად, ალბათ არ შემემინდებოდა, მაგრამ ბესო ბიძიამ თქვა, მარტო უნდა ახვიდეო... აი, ერთხელაც იქნება და, ამ შიშს დედას ვუტირებ!



ვაჟა პატაცია

ახალი წელი...

როდესაც მღერის ახალი წელი, – გვაქვს სურვილები: ახალიც, მწველიც...

უუნინარეს, – გვახსოვდეს ერთი – ვსუნთქავდეთ: „ჩვენ“-ით და... არა-„მე“-ით...

ვიცოდეთ ნათლად და არა ბუნდად, – სიტყვას და საქმეს სასწორი უნდა...

ბრძენს უთქვამს: თვითონ აგვივა მტვერი, – თუ გვებრძვის შიგნით-მოყვარე მტერი...

ვერ გავცემთ პასუხს: მოყვარეთ, მტერთა, თუ, არ ვართ – ყველა, ერთსულხორც, – ერთად...

რომ, – აღარ გვექონდეს: შუღლი და ომი, არ დავსვათ ხოჭო – ადგილზე ლომის ...

თუ, – არ ვარჩიეთ თეთრი და შავი, გაგვიტანს შავი-ზვავი და შვავი...

უბეში – აღარ ჩაგვესვას გველი, არ დაუყენოთ კრავს: მწყემსად – მგელი ...

ოქროა –



ადამ ბექაური




გ უ ლ ა ა ა ყ ა რ ი

ვინროა გუდამაყარი, ჭირს მოტარება თვალისი.
 თანჩიხი, მეტად წალიკი, პატრონი თავის ჭალისი.
 მკერდგადაღელი ქედებზე ლამით ზედ დგომა მთვარისი.
 მთვარით ფრიალოს ნათება, სხივის არეკვლა მკრთალისი.
 ბურუსის, ჭირხლისდამჭერის, შუბლჭიუხიან სალისი.
 ფხებით ფთილებად დამხვეის, ზედ ნახვევ ნისლთა კალთისი.
 მიდამოს ლელვა, ფეთება, ერთ დროს მშვიდის და წყნარისი.
 დაბურვა, ცისპირის რღვევა, ირგვლივ მოდებდა შარისი.
 ქედნისფრად ბაცი სილურჯე, მძლივს რჩევა მთის და ბარისი,
 ხან გეზად ლახვა ბილიკთა, მინდობად მოსართავისი.
 ხან ძუა-ფაფარაშლილით, უბელოდ სამართავისით.
 სილურჯის ლეგად მოქცევა, მოძალებულის ჯანლისი.
 ცის გარინდება, შეკრთომა, თითქოს ლოდინი წარღვნისი.
 მურღვი ცა, მომასწავები წვიმის და თქემის გაბმისი,
 სიპზე დასხლეტა კალმახის, მეხით ნათება ლამისი.
 ავდარში ჭეჭა, გრიალი, არვისთან ნდობა ზავისი.
 აბობოქრება, დგანდგარი, გრგვინვით განგრევა ზვავისი.
 პირთავეკვე დარდად წამლების შავის არაგვის წყალისი.
 ცხენ- მხედრის ჩქამის ჩახშობა, კვესება ნაჭედ ნალისი.
 დაისთან ერთად განირვა მენამულისფრის – ლალისი,
 ვარსკვლავთა კრთომა მთვარესთან, ისევ ლოდინი ხვალისი.
 დილის მზის სხივით კეკლუცი ცვრადმოკიდებულ ნამისი.
 ათასნაირი ციალით თვალის ჭრა ერთის წამისი.
 ხან კვალში დგომა უღლისა, ხან ქედის დაღლა ცალისი.
 უტყვის მეტყველი თვალეები – გიშრისფერის და მარლისი.
 უსიტყოდ გულისთქმის ცოდნა, გუთნისდედის და ხარისი.
 რქათეთრის სანთლით ნათება, არდაჭირვება სახრისი.
 სულ სარკესავით ლაპლაპი მთელს წელს ნანახის სახნისი.
 მინისპირ თავეკვე ბრუნებით ზოლად სიშავის ნახვისი.
 ფერდობზე თეთრად სიჭრელე მწყემსის გაფენილ ფარისი.
 თავში, ბოლოში გარჩევა ნაგაზისა და ვაცისი.
 ნათობ ნამხრევით ჩამოღლა, ცელსმოკიდებულ კაცისი.
 ნამხრევის გამოტანისას ცდა ცელის ფხის და მკლავისი.
 მიჯრით მიწყობა ნაფთევის, სურნელი გამომშრალისი.
 ღვარეულებით დაქარგვა მთებს შეფენილი მხარისი.
 ბულულის ასხმა მძივივით, ხანაც დაძირვა სარისი.
 რთვილობის შემდეგ ხშირად ცვლა ტყე-ველთა ფერთა გამისი.
 მწვანეს შერევა ცის ფონზე, მენამულის და ქარვისი.
 ნაყოფით წელში მორკალვა, შალშავისა და მძახვლისი.
 კლდის ძირში წყაროდ მოდენა ფშისა და ვეძის – მყავისი.
 სიცხეში ცივად შეთრთვილვა, კიდება ირგვლივ ცვარისი.
 ზამთარში თბილი, გამლღობი, ზედ შეყინული რკალისი.
 რიყემდე მიბმა სათავის, დნობით გატანა კვალისი,
 ზაფრანისფერად, რვალისფრად და ხანაც ფერად ჩალისი.
 მგლის ზავით, გაბმა ყმუილის, ზედ მიტანება ძალისი.
 არწივის მხრებით ცის კვალვა, არად ჩაგდება ქარისი.
 დაბლა მიყოლა ნაფენის, თავის ნაგრევის ჩქარისი.
 ცეცხლისყრა თვალეებიდანა, ნითლად შეღებვა ბრჭყალისი.
 ასრულებული სურვილი – თავის ნაჭერის ჭამისი.
 ირაოთ წასვლა ზეცისკე, ძალის დახარჯვა ჭარბისი.
 მაღლაცას, დაბლა ხმელეთზე რამის არ გამოპარვისი.
 თავის საუფლოს ხელმყოფთვის ნერგვა შიშის და კრძალვისი.
 ცის ტატნად თვალის კიდება ბევრისთვის შემომწყარალისი.
 კამარის შეკვრა, ხელება, წეროთ ცასგაკვრა ლამისი.
 საზღვრის მრღვეველთა საზღაო სძალით გაღება ლალისი.
 დაუთმობელი, ვერ მთმენი, გზის მშლელი გასავალისი.
 წინ-წინ წინმძღოლის მხრით კვეთა, განწირულ შესაბრაალისი.
 ერთ სხვაში რევა გუნდისა, არაფრად გდება ლალისი,
 დაბლა ყრა სათითაოდა, ფანტვა ბუმბულის ჟღალისი.
 თავგ ზააბნეულთ ტრიალი, უფრო კიდება ბრაზისი.
 არც კიჭირვება ნისკარტ-ბრჭყლის, დაუნდობელის ბასრისი.
 კლდის ქიმზე მოფხავებულის, უდივრად მოსახმარისი.
 ირგვლივ ყველაფრის აკლება, არეულთ გლოვის ზარისი.
 აქეთ და იქით გაფანტვა მწყობრად მავალის ჯარისი.
 ყაშყაშით ძებნა ერთურთის, გეზის, იმ არე-მარისი.
 ლემის და ნარჩენის ძებნა, ყორანისა და სვავისი.
 გაუთავებლად ყურება ზამთარ-ზაფხულის დავისი.
 ერთფეროვნების, ზენოლის ვერ შეგუება ნაძვისი.
 ყინვის დაუნდოდ ტევება, სულ მუდამ მტრობა მწვანისი.
 თანდათან თეთრად დაფერვა ციდან ნაფიფქის საბნისი.
 ყველაფრის ჩანთქმის სურვილი, ზედ თვალის დადგმა ხარბისი.
 ცრიატში დგომა გაცრეცილ შეჭირხლულ ხეთა ვარჯისი.
 დამჩნევა ნაქარალზედა, შეციებულის ხავისი.
 ხასიათის ცვლა ამინდის, ქარბუქისა და დარისი.
 ჩრდილის და პირმზითის ზღვარზე პირის გაღება ბზარისი.
 ზვავით ხევების ჩახერგვა, ვსება უძირო ხრამისი.
 მიდამოს გაერთფერება, დადგომა ზამთრის ჟამისი.
 ცის კიდედ ჩამოკიდება ამომავალის კვამლისი.
 მანიშნებელი სიცოცხლის – არგამოკეტილ სახლისი.
 კელაპტარივით ნათება ნალვერდლის ფერის სარკმლისი.
 დრო, დროულთ თხრობის მოსმენის, ძველ ნამბობთა სწავლისი.
 კერის პირს სითბო, ბუხარში არგანელება ნავლისი.

თითო-ოროლამ, აქა-იქ გაღებამ ზავშვის ჩქამისი,
 ანდა ბუხართან ლულუნი, გადარწეულის აკვნისი.
 ყოფნა მთელ სოფლის იმედად, გამძლედ ხანგრძლივის ზამთრისი.
 ბევრჯერ ჭიდილი სუსხთანა, თანაც გამოცდა ნაბდისი.
 მეტწილად მარტოს ჭიდილი, სანუხრისა და დარდისი.
 ხან ფიქრით ტეხვა ლამისა, გაუსაძლისის შავისი.
 ხელმარცხნივ თვალის დევნება, თმის ღერად ნართავ ძაფისი.
 ფარტენის ტარზე გაღვეის, ბანრის ჯარაზე ძახვისი.
 ცისარტყლისფერად ნაფერი შიბითგანყოფის, ქარგვისი.
 გამჭოლ მზერაში გულისთქმა – დუმილისა და ართქმისი.
 გამოხედვაში სიმკაცრე, ზიდვა მთის ტვირთის ვალისი,
 თავის თავთანაც უთქმელის გულჩათხრობილის ქალისი.
 ხშირად „არცრაიდ“ ჩაგდება ბევრჯელ ნანახის მწარისი.
 ალარაც კი გახსენება გადატანილის ჯაფისი.
 ბედენად არად ჩაგდება, გახუნებულის კაბისი.
 ხან აჟღერება ფანდურის, გახსნა გულის და წარბისი.
 ცერით მოზიდვა საქცევეზე, სამის გაბმულის ლარისი.
 მერე... თოვლისფერ ენძელის დრო თავის მდაბლად დაკვრისი.
 ლოდინის ვერაფრით მთმენის, გამრღვევი ცივის ფარისი.
 დრო და ნიშანი დათბობის, ულმობელ დროის გასვლისი.
 კუთვნილი სხივთა დაჭერის, მზის სითბოს გამოძალვისი.
 პირმზითი საჭრელებისა, გათრევა ზამთრის ყავისი.
 ლოლოდ ნაქცევის დნობისა, უამინდობის მარცხისი.
 შვილიშვილების დანატრით სიმძიმე გულის ფარისი.
 გზის ცქერა, მოწყლიანება, სისველე თვალის ლარისი.
 უნებოდ გადმოდინება ვერდატეული ნაღვლისი.
 დამალბობელი შეფარკულ, ჩიქილსშეფარულ ღანვისი.
 გამრჩევი ერთმანეთისგან, კეთილისა და ავისი.
 გულდინჯად განსჯა მუდამა მტყუანისა და მართლისი.
 ბუნებით წყნარი და მშვიდი, გულს არამყოლი ძალისი.
 ბევრჯელ ბევრ რამის არათქმა გულს ჩაგუბებულ ჯავრისი.
 დასაქადნებლად, გულს მდებად სიტყვის არაფრის მაქნისი.
 ხან დგომა გაუტეხელად, არ გაგონებად არვისი.
 გაფითრებული იერით ცდა ძვლად ნაქცევის ძარღვისი.
 თითქმის ველარც კი გარჩევა სიკვილ-სიცოცხლის ზღვარისი.
 მხრის მჭერი ერთურთისა და, სტუმრისთვის, როგორც თავისი.
 დღეობასა სვლა ბარიდან, შეგრძნება მთების ჰავისი.
 ხმა, აძრახება, ბუბუნის აამო კილო-კავისი.
 ხან ხინკლის ხვევა ბერდედის, ხან ხავინიან ქადისი.
 პოვნა ბევრ ბრძოლა ნანახის, ახლა რქადაძრულ ვადისი,
 ცალ პირად ნალეს ნალევის, შავის ნატეხის ხმალისი.
 ერთ დროში შეუქცეველის ზედ მინდობილის მაჯისი.
 ძმის, გულდაღარულ ორპირის, დაუნდობელის ხანჯლისი.
 დახედვა, თვალის მოვლება, სოფლის და ნასოფლარისი.
 შენების ძალის შეგრძნების, შრომის და ნაოფლარისი.
 არწივის ბუდედ მიბმულის, ნაფუძრის წინაპარისი.
 ზვავ სასხლეტს დაცილებულის, ადგილის ნასახლარისი.
 ყორედ ქცეული ნაშლების, სიპის და მუხის თავხისი.
 ანდედ მიგნებულ ბილიკის, გაუფლადქცეულ შამბისი.
 ნაბინავარზე მოდებულ ჭინჭრის, დიყის და ჯავისი.
 ხავსმოდებული ლოდების ჩამონაშალის ქავისი.
 ერთურთის ცნობის არმოშლა, დიდება სალოცავისი.
 ხატისკარს შეყრა ხეთისნებით, თავისი განაყარისი.
 მუხლისყრა ბერიკაცისა, მიდგომად ხატის კარისი.
 დაკოჟრებული ხელებით სანთლის ჩამოქნა სამისი.
 შეთქმულის აღსრულებისას ნამონეული სასმისი.
 მოსაგონები ნუხილით ღირსის, წასულის წასვლისის.
 მომგებებელის იმქვეყნად, დრო როცა მოვა დაღლისი.
 ჩვენს უნადინოდ, განგების ანგარიშის და დათვლისი.
 დაფასებული სიბერე, ღირსეულ შვილის გამზრდლისი.
 ლამის თევამი მოფენა სხივთა ციალის მრავლისი,
 ხატისკარს ჩამოღვენთილის, კელაპტრისა და სანთლისი.
 უფლის დიდება, მახვენრის გაფერმკრთალება სახისი.
 დალოცვა თავის ქვეყნისა, ოჯახისა და ხალხისი.
 ამბობენ, გულისნადილსა, როცა ეძლევათ ხალხისი.
 იმედის ქონა მუდამა, როგორც უებარ წამლისი.



პიაპიზოვის სიპართლე და ბრწყინვალება



თენგიზ სვანიძე

მწიგნობარი მელოდიაში

თენგიზ სვანიძის ლექსის გულის-ცემა და სალექსო რიტმი ისე ბუნებრივად ერწყმის ერთმანეთს, რომ მისი პოეზიის შეუქვეყნებელი მკითხველს, უფრო სწორად, პირველნამკითხველს, გაოცებით შეაჩერებს და დააფიქრებს: ჩანს, XXI საუკუნეს ტყუილად სწამებენ გლობალური სიცრუისა და უგულლობის მეფობას, თანაგრძობისა და თანაგანცდის გადაშენებას, თაღლითობისა და მუხთლობის ზეობას. პოეზიას, საზოგადოდ და საბუნებრივად, არც უფიქრია, თავისი მფარველობა მოეშორებინა ქვეყნიერებისთვის არც ახლა და არც დღევანდელზე უარეს, კრიზისულ პერიოდებში.

რა დიდი ტკივილი უნდა გამოველო პოეტის გულს, რომ ლექსში იმაზე დაეჩივლა, რაც, ერთი შეხედვით, ბანალური და ყველასთვის ცნობილია, მაგრამ ისეთი მონაცემადი პიროვნებისთვის, როგორც თენგიზ სვანიძის ლირიკული გმირია, ერთადერთი სანუხარი ნუგეშის ნაკლებობა ირგვლივ: „სიტყვა მომწყურდა გულზე მომწყურდა... სისულელეა მოიკლა თავი, უბედურება – დარჩე ცოცხალი“. ლექსს, რომელიც ამ სიტყვებით იწყება, „ცხოვრება“ ჰქვია. სარითმო სიტყვები: მომწყურდა – ცოცხალი ასონანსის ეგზოტიკითა და მინიშნებით, გაფიქრებინებს, რომ პოეტს ლექსის წერას, მართლაც, თავისი წყურვილი, გამორჩეული სიყვარულის გამჟღავნების აუცილებლობა აიძულებს, ცხოვრება კი „ცოცხალია“ მხოლოდ მაშინ, თუ იგი ამ ტკივილს არ გაურბის, არ ემალება, თავს არ იტყუებს.

ლექსის სათქმელისა და მისი გამოხატვის კანონზომიერების თავისებურებაზე დავიწყებ თენგიზ სვანიძის პოეზიის ეს მცირე განხილვა. ალიტერაციას, როგორც საყრდენს, ისე ენდობა პოეტი ლექსის კონსტრუქციის აგებისას. „წ“ ბგერის ალიტერირებით დაუნერია ლექსიც, რომელსაც „ალიტერაციები“ ჰქვია და რომელშიც ზემოხსენებული „გულზე მომწყურდა“ სიტყვის მონატრება ხშიანობს:

წყაროს წყალი მონანსკარებს,
წყურვილს დაურწყულებს
მწყურვალს.
წუთისოფლის წარმტაც ნამებს
წიფობისთვე ჩამონურავს.
წუთებს მწყაზარს მწუხრი
წამლის,
წარსულს აკენწლავენ წლები...
წიაქობენ წიფლიანში
წაბლისფერი წიწილები.

გალაკტიონისეული „ნამების წყნარი წარმავლობის“ გახსენების სიმშვიდესთან ერთად, ლექსის წამკითხველს უთუოდ მოეწონება პოეტის „სულიერი პეიზაჟის“ ცოცხალი, სხარტი რიტმი

და გულწრფელობა: ამ ორსტროფიანი ლექსის თითოეული კატრენის მეორე ტაქები: „წყურვილს დაურწყულებს მწყურვალს“ და: „წარსულს აკენწლავენ წლები“ – ის ბედნიერი მიგნებაა, მოულოდნელი, განუმეორებელი ნამების ერთად აკინძვის ხელოვნება, ლექსში დანყვილებულ სიტყვებს რომ შეუძლიათ, ისე, როგორც ბურთის წამიერი შეჩერების მრავალგზის გამეორებას ფეხის წვერზე. ალიტერირებული სამეულებისა და წყვილების გარდა, ეს პატარა ლექსი რიტმის თავისებური დენითაც გამოირჩევა: მაღალი შაირით (4-4) გამართულ, სხარტ, მხტუნავ ტაქებს ერთი გამორჩეული რიტმული სვლა: 2-4-2 („წარსულს აკენწლავენ წლები“, „წყურვილს დაურწყულებს მწყურვალს“) შეანელებს (გავიხსენოთ უცხო მოყმის მიერ ნაგვეში ხატაველი ძმების ნუხილი „ფეფხისტყაოსნიდან“: „მით ვართ ცრემლისაც დენით“). თენგიზ სვანიძის პოეზიაში „წ“ და „ც“ ბგერების მიმართ რომ საგანგებო სიყვარული და მონივნება სუფევს, როგორც „წყურვილისა“ და „ცხოვრების“ მიმართ, ეს სტრიქონებიც დაგვიმონებს:

დარდს ცივ ბეტონის
კედლებს მივაფშვნი
და გამოვდივარ
მზის შესახვედრად,
ვით ნაჭუჭიდან ოქროს წიწილა.
(„გადაუღებლად წვიმს“)

„ცივი ბეტონი“ – ნაჭუჭისა და ცხოვრების ჯავშნის მეტაფორა – ნამდვილად იმსხვერვა თენგიზ სვანიძის ლექსებში და „ოქროსფერი თუ ნაბლისფერი წიწილების“ გულუბრყვილო და მიამიტი სილბო ისადგურებს მკითხველის სულში.

თენგიზ სვანიძის სანდო და ერთგული ლექსები არასოდეს ატყუებს მკითხველს, რომელსაც არ ეეჭვება: პოეტი ნამდვილი დარდითა და ტკივილით არის გულადუღებული და არა წიგნებით ნასწავლი გრძობების სინათლით; ამიტომაც მინდა, ეს ძალიან კარგი ლექსი მთლიანად წავაკითხო პოეტისა და პოეზიის ჭეშმარიტ შემტკობსა და დამფასებელს:

ცოტა იფრინა,
არც – ცოტა,
ჩიტი დაეცა ჭალას,
მზე დაუღამდა საცოდავს, –
სიცოცხლე დასდეს ბრალად!
ცაში არწივი ყიოდა,
ხევში გარბოდა წყალი...
გოგონას გული სტკიოდა,
გზებზე მღეროდა ქარი.
სადარდებელი მაცალეთ,
ცაო, რა ფერებს მიქრობ...
ის კარგი გოგო სად არი, –
გულს მიყინული სითბო!

(„სადარდებელი მაცალეთ“)

„გულს მიყინული სითბო“ – ის გენიალური ოქსიმორონია, რომლის მსგავსს ბევრს ვერ იპოვით ჩვენი ერის უმდიდრეს პოეზიაში. ვერსიფიკაციული ოსტატობითაც გამორჩეულია ეს დარდინი ლექსი:

არათანაბარმარცვლიანი (ჰეტეროსილაბუსი) საზომით შესრულებული ტაქები (8:7) რეალურისა და ზღაპრულის საზღვარზე მყოფი ლირიკული გმირის გულისფეთქვას გამოხატავს; მიამიტი და გულუბრყვილი მეოცნებების ამარა დარჩენილა მთელი ქვეყნის სადარდელი, ჭკვიანები და ფხიანები კი კარგა ხანია საკუთარ მონახვეჭს დარაჯობენ, ამიტომაც არ შეიძლება,

დაუუკარგოთ მიამიტებს სიმართლე: მხოლოდ მათი სადარდელის წყალობით არის, ჯერ კიდევ რომ შერჩენია ყოველივეს ირგვლივ ფერადოვნება, თორემ ეგოიზმის ერთსახოვნებით „გასანყინარდებოდა სიცოცხლე“. შვიდმარცვლედის იშვიათი სახეობა 5/2 ლექსის წყვილი სტრიქონები რომ არის გამართული: „ჩიტი დაეცა ჭალას“; „სიცოცხლე დასდეს ბრალად“; „ხევში გარბოდა წყალი“... „გულს მიყინული სითბო“, ატენის სიონის კედელს წანერილი ლექსის „იხილეთ ესე ჟამის“ ხშიანობით გვიჩუყებს გულს და ჟამის მარადიული მდინარების შეჩერებულ წამებს შეგვატკობინებს, რადგან:

„ლექსის ფერადი ორნამენტები
არ ინერება დასამინებლად!“

„არავითარი შიში და ძრწოლა
სული – ლაჟვარდი ზეცის ფერია...“

იშვიათია სალექსო ტექნიკისა და სათქმელის ისე ოსტატურად გადაჯაჭვა, როგორც ეს თენგიზ სვანიძის ლექსში „სიტყვები“ ხდება. სწორედ „ფერადი ორნამენტებით“ არის დანული წყვილადი რითმით გამართული ლექსის სტრიქონები:

ზეცა – ცარცი.
არც თოვს, არც წვიმს.
ღამე – ყვავი.
გნატრობ ყვავილს.
ტროფობა – ცეცხლი,
მთვარე ვერცხლის.
მიწა – დედა
სიცოცხლეთა.
გული – ვარდი
უფლის კვართი.
ფიქრი – ფრთები
ლურჯი მთების.
სული – ბროლი –
ცაში მქროლი.
დილა – მტრედი,
რაა ბედი?!
გაიდარა, –
მზე შლის დალალს.
მუხლი ხარის.
რაც ვარ, ხარ – ის!

მე ასე მგონია, ეს ქებათა ქება: „სიტყვები“ საკუთარი ლექსისა და ავტოპორტრეტის გაერთიანების სურვილმა დაანერინა პოეტს, რომელიც უიშვიათესი ანტონიმებით ხედავს დღესა და ღამეს; თუმცა დღე ზეცაა: „ზეცა – ცარცი“, „ღამე – ყვავი“. მართლაც ხარის მუხლი სჭირდება დღევანდელ საქართველოში ლექსს, რათა საკუთარი სხეულის ნაწილები – სიტყვები გააბნოს ხალხში და ენა გადაარჩინოს; ყველა პოეტი ვერ იოცნებებს და არც იტყვის: მე რაც ვარ, ჩემი ლექსიც იგივეაო. საკუთარი სულის ანარეკლი ბევრ პოეტსაც აშინებს და ბევრ ადამიანსაც, ამიტომაც გაურბიან ისინი სიტყვებს – საკუთარსაც და სხვისგან მხილებად მოსულსაც. თენგიზ სვანიძეს კი არ ეშინია, საკუთარ ლექსს უთხრას: „რაც ვარ, ხარ – ის!“ ეს სიმართლეა და ეს მბრწყინავი ანარეკლი ნამდვილად პოეტის საკუთარი სულია.

თამარ ბარბაქაძე

►► მე-16 გვერდიდან

სიბრძნე...
და...არა –
ხუნნი ...
წესრიგი
ჩვენს თავს
მოვთხოვთ
უნინ...

სიმართლეს,
სინდისს,
სიკეთის კორდებს,
სუყველა-
უნინ,-
თავის თავს
სთხოვდეს...

ვცნოთ:
ჭირი – ჭირად...
და...
ომი – ომად...
სანამ –
სატანის მახეში
ძრომა?..

ქვეყანა-
კვლავაც,
იქცევა ალად,
სანამ,-
ცეცხლს
თივა-ჩალაში
ვმალავთ...

სიმშვიდეს ჰყავდეს
ერთგული მცველი,
სიავე-
სიბრძნის
მოვთხოვთ ცელით...

ვასრულოთ უფლის:
მცნება და
ნება,-
რომ... ავიცილოთ:
სნება და
ვენება...

რომ-
მივალწით:
სანატრელ
მიზანს,
ვუსმინოთ უნდა –
საერო
მისანს...

ვაქციოთ ფუტკრად:
კოლოც და
რწყილიც...
მზით-
სიყვარულის,
სხიოდეს
წყვილი...

სიმართლით,
რწმენით,
ერთობით,
გარჯით,
მოვდრიკოთ უნდა:
ემშაც და
ქაჯიც...



თეატრ შავლაძე


წინდანივე უნდა ითქვას: მიუხედავად წიგნის გამოცემის გაუბრალოებისა და, საერთოდ, აზროვნების გაუფასურებისა, თუ რაიმე არის სიზიფეს ლოდთან პირდაპირ კავშირში, პოეზია; უფრო მართლად, ნათლად – პოეტად აღიარება. ცნობილი „მრავალნი არიან ნოდებულ, მცირედნი რჩეულ“-ის მიხედვით, მრავალნი არიან ლექს-მწერნი, მცირედნი – პოეტნი! ერთ ასეთად (ჩემი აზრით!) აღსაქმელ წიგნზე და მის ავტორზე მინდა გაგიზიაროთ შთაბეჭდილება. მოგეხსენებათ, პოეზია არამარტო აზროვნების ფერწერა და (სიტყვიერ!) ბგერა-ფონემათა მუსიკალური ჰარმონიაა, ის, აგრეთვე, ლექსში წარმოდგენილი ნებისმიერი საგნის (საგნობრიობის!) ხატსახეობრივი შინაარსის განფენილობაა სივრცობრიობაში. რა თქმა უნდა, ყოველ (ახალ!) დროს, ახალ ეპოქას თავისი სათქმელი მოაქვს – ეყრდნობა ძველს და ქმნის სრულიად ახალს; ანდა, სრულად უარყოფს ძველს და იბრძვის, იღვწის სიახლის შემოტანა-დამკვიდრებისთვის. მაგრამ ის (მაინც!) ვერსად გაექცევა პოეზიის (დღემდე უტყუარ!) საზომს – სახის-მეტყველებას, ანუ აზრის, გრძნობა-ემოციის „საღმრთო საღმრთოდ გასაგონის“ (წარმოთქმა! წარმოსახვა! გამოხატვა!) ხელოვნებას. აი, ამ რუბიკონს ვინ როგორ გადალახავს, ეს არის არსებითი ნებისმიერი შემოქმედისთვის. ამ თვალთახედვით, პოეტი, მართალია, ლექსემურად ერთობ პროზაულ, მაგრამ პოეზიისთვის მეტად (სწორედაც – სწორ!) სახისმეტყველებრივ განაცხადს ვეთავაზობს: „ადამიანისთვის საჯაროდ თვალში ჩახედვა უკულტურობის მანიშნებელიაო, ვისთვის ეს უკულტურობა პოეზიაა, პოეზია კი ყველას საქმე არ არის, მამ, არც თვალში ჩახედვაა ყველას საქმე“ („ძილის ნინ“). ღირებული დაკვირვებაა, გასათვალისწინებელი ნებისმიერი ლექსმწერისთვის, რადგან პოეზია, ხელოვნობა არ გახლავთ, მხოლოდ რითმში ხელის ფათური (გნებაოდ, „დაოსტატება“) და მხატვრული სახეებით კეკლუცობა-მტკობარება. იგი, პირველ რიგში, როგორც ღვთაებრივი წინაპარი იტყოდა, „სიბრძნისაა ერთი დარგი“ და, რადგან სიბრძნის დარგი ყოფილა, სწორედ სიბრძნეს უნდა მივადგოთ პატივი, ანუ ღვთაებრივის გამოვლინების სინმინდესა და უზენაესობას. „პოეზია კი ყველას საქმე არ არის, მამ...“ სწორედ ამ თვალთახედვით და „საზომით“ უნდა წარმოვაჩინოთ ეს წიგნიც – პოეტური კრებული „თევზის სანოლი“, ავტორი გურამ ჯახუტაშვილი. მართალია, ზოგს შეეძება ვნებს, მაგრამ რატომღაც არ მგონია, რომ ამ პოეტმა ამის გამო „ქოში უკულმა ყაროს“. დიახ, იგი პოეტია და არა უბრალო(დ) ლექსმწერი. ეს კი, თავისთავად, უკვე დიდი პატივია პოეზიის – გოლგოთის გზაზე შემდგარი მოფიქრალისთვის – „პოეზია კი ყველას საქმე არ არის...“ და სწორედ ამ გზაზე შემდგარი ასეთ მრავლისმთქმელ ფრაზას ვეთავაზობს ავტორი: „...ფასს რაც შეეხება, წიგნი გაუფასურებულია და სულ უფრო კარგავს ზემოქმედების უნარს. ადამიანივით არის წიგნი და ისევე ადამიანს შეუძლია დღეს წიგნის გადარჩენა. საკუთარი თავის გადარჩენა ჰქვია ამას“. აქედანვე ცხადია თუ როგორ განუსაზღვრავს და რატომ დაუსაზღვრავს საკუთარი გზა-ბილიკი. როგორც ჩანს, მას სხვანაირად არც ძალუძს, რადგან, სადაც უნდა იყოს და მსახურებდეს, იგი, უპირველესად, მხოლოდ და მხოლოდ პოეზიის მსახურია! და ამგვარი რამ ამ შემთხვევაში პოეტის მიერ (მხოლოდ!) თავისუფალი ლექსის, ანუ, ე. წ. ვერლიბრის წყობა-განწყობით უნდა თქმულიყო, ვინაიდან ვერლიბრიც ხომ – რიტმულ მელოდიაზე

დამყარებული – რითმისგან თავისუფალი ლექსია. ამგვარი ფორმა-სახიობით გამოხატა სათქმელი (თეორიული!) ავტორმა. რაც შეეხება რითმს, როგორც ლექსემურ-ტროპულ თავსამკაულსა და სამშენისს, პოეტის ხელში იგი სადად – მშენიერი კრიალოსანივით გამოიყურება: „...ერთი ყველაზე უფრო რთული ნების თანახმად, როდესაც უცხო გატყობინებს შენს ამბებს, პრესა, იმავს ნიშნავს, ჩაგიყოლოს ზღვისკენ ტალახმა – მდინარის ნაცვლად, სასარგებლო გეგონოს კემსვა წყლის ან ჰაერის და, საქმეში ბოლომდე გართულს, აღარ გახსოვდეს, არ გინდოდეს გაგება, თუნდაც, რომ ასე კლავენ ცნობიერში ყველაფერს ქართულს, და შენის ხელით, შენი ქვეყნის დამარხ-

პოეზიით განსაცხებელი სტრიქონები

ვა უნდათ...“ („მოურჩენელი“). თავი რომ დავანებოთ ვერსიფიკაციურ სრულქმნილებას, აზრობრივად მწარედ გულსაკლავ, პოეზიით განხატებულ სტრიქონებს გვთავაზობს ავტორი, ცრუ და უნაყოფო პატრიოტიზმისგან სრულიად თავისუფალს: „...ჩვენ ვერაფერში დაგვარწმუნა, ვერ შეძლო ჩვენთვის, რომ ერთმანეთის ცივ კისერზე ყულფის მორგების ნაცვლად, უბრალოდ თავისუფლად გვეხილა ღმერთი და არ გაგვევსო ერთმანეთის ძვლებით – მორგები“ („მოურჩენელი“). კითხულობ ამ სტრიქონებს და მართლა გტკივა შენი სამშობლო, ფარისეველი თავან დაფლეთილ-დანაკუნებული და ვითომ-მწიგნობართაგან და ვაი-მამულიშვილთაგან მოტყუებულ-გაცუცურაკებული. მართლაც რომ წრფელია და მძიმე ამგვარი განცდის პოეტური გაელვარება. ამ ახალგაზრდა პოეტის „გული, ცნობა და გონება“ (რუსთაველი) მრავალ მამულიშვილურ სატიკივარს ეხება და გულწრფელად გვიმედება არამარტო კარგი ქართველის, კარგი პოეტის შემოსხივოსნება (განგებ!) აზროვნება-გაუფასურებულ საქართველოში. და, სხვათა შორის, ეს წიგნიც (მთლიანობაში!) იმის ნიმუშია, რომ აზროვნება სწორ და ნათელ აზროვნებას დაუბრუნდება, რადგან ყველაზე რთული სწორი აზროვნების სწავლაა. პოეზიაში „სწავლის ძირიც და კენწეროც“ ყველაზე ნათლად გამოიკვეთება (ხოლმე), ვინაიდან პოეზია, თავისთავად, მხატვრულ-სახისმეტყველებრივი აღქმაა სამყაროსი, მგრძნობელობითი-ემოციური განხატებულობა, რომელიც არა მარტო სამხურად, არამედ, პირველ ყოვლისა, სასმენად („სმენად მხეცნიც მოვიდიან“) განწყობს მკითხველს. ასე რომ, პოეზიის არსი, შინაარსობრივი და, ამდენადვე, ინტუიტიური. ლექსემური წყობა-აგებულების თვალსაზრისით აღსანიშნავია არაერთი ვერსიფიკაციური სიახლე, კერძოდ, წინარე სტროფის ბოლოკიდური და მომდევნო სტროფის პირველი სიტყვის შიდარიტმული რითმულობა, რომელიც ზემოთ მოხმობილ სტროფებშიც შეინიშნება. საერთოდ, ამ პოეტური კრებულისთვის დამახასიათებელია მეტყველების ბგერადობრივ-მუსიკალური რიტმულობა, განცდილისა და (წარმო)-თქმულის ჰარმონიული თანაზიარება და, როგორც აღვნიშნეთ, აზრის, გრძნობა-ემოციის სწორი სახისმეტყველებითი შესატყვისობა: „არ შეიძლება, რომ არ ატირდე, როცა ქუჩაში ტო-

ტებმოთოვლილ ჭადარს ტანიდან ასე მარტივად, ასე უბრალოდ სწყდება ფოთლი“ („ფოთლის კაცი“). არც ომონიმური პოეტურ-სიტყვიერი თამაშია მისთვის უცხო სულისმიერი ალუზიის წარმოსაჩენად: „უბრალოდ უფილტრო სიგარეტს ვუკიდებ და ყურმილს ვუკიდებ“ („ზარი“). ნებისმიერი პოეტური განზომილებითი თვალსაწიერიდან, ჩემი აზრით, უდავოდ თვალშისაცემი და მაღალი პოეზიის ნიმუშია ლექსი „სართული მეცხრე“: „შენ ამიტომაც დაგეშული დაეძებ უფალს, დაეძებ ყველგან, ხის თაროზე, წიგნის ტომებში, მტკრიან სკივრებში, ძველმანებში დაეძებ უფრო და კიბეებზე, საფეხურის გამოტოვებით, ჩარბიხარ თავქუდმოგლეჯილი, პროსპექტებს კვეთავ, ქვებით



ჩამსხვრეულ ვიტრინებში, ხმით და იერით, თავს თუ ხანდახან ემსგავსები, ყველაზე მკვეთრად – არარსებობით, აღარყოფნით, სიცარიელით“. ამ ფრაგმენტითაც, ვფიქრობ, ნათლად იკვეთება დამოკიდებულება, უფრო სწორად, მიმართება შიდა და გარესამყაროსეული ცნობიერებისადმი, ანუ, რას წარმოადგენს იგი სამყაროსთვის და, პირიქით – სამყარო მისთვის. ერთ უსათაურო ლექსში, ალექსანდრ ბლოკის (ეტყობა, სავსებით სამართლიანად არის მოხიბლული ამ დიდი პოეტით ავტორი!) განწყობილებითი მიზანსცენურობით („ღამე, ქუჩა, ფანარი, აფთიაქი“) ქართულ პოეტურ შესატყვისობრივ შესაძლებლობას აჭაშნიკებს და – სავსებით წარმატებულადაც: „კვილი, კვამლი, ხალხი, ვაგზალი, მატარებელი, ცრემლები, ჩანთა, ყველა რაღაცას სადღაც აგზავნის, შეილებათან, ცოლთან, დედებთან, ჯართან. ჩემი ვაგონი არსად არ მიდის, უბრალოდ, დგას და ეჩვევა ყინვებს, ერთ სტრიქონს მაინც გავაგზავნიდი, გადამკითხველი რომ მყავდეს ვინმე“ – საინტერესო ხატსახეობრივი მიგნება-დაკვირვებაა ჩვენს დღევანდელობაში პოეტური აზროვნებისა და, საერთოდ, პოეზიის დამცობა-დაცინების გამო. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ, უბრალოდ, მართლაც კარგი (!) ლექსია „უბრალოდ, ის, რაც ძალიან მიყვარს“. იგი, უნდათ თუ არ უნდათ, მომავალში აუცილებლად დაიმკვიდრებს თავის კუთვნილ ადგილს ეროვნული პოეტური სულიერების ანთოლოგიაში („ძალიან მიყვარს ქართული ფუნჯით შემოხაზული სიგრილე, სიო და ვხვდები, როგორ უხდება ლურჯი მტრედებით სავსე გუმბათი სიონს.“) ძალზე საინტერესოდ არის წარმოდგენილი „ცხოვრების ხის“ ფილოსოფია ლექსში „ქრონოლოგია“. სანიშნულად მცირედნი ფრაგმენტით შემოვიფარვლებით: „...ხანდახან, როცა გაიგონებს საკუთარ ტკაცანს ცეცხლში,

ფოთლებზე მორჩენილი წვიმით იტირებს და სანამ კიდურს ჩამოაჭრის უცნობი კაცი ან შემოდგომა მოედება ჰეპატივით, საკუთარ ხისფერ ოცნებაში გვიგროვებს სუნთქვას, თავადვე გვაძლევს ნაყოფსა და ტანის ნაწილებს, რომ ბოლოს ჩვენზე შემორტყმულმა, ცრემლებით გვთუთქოს, ვიდრე იმ უწყვეტ სამყაროში არ გაგვაცილებს“. აღსანიშნავია, აგრეთვე, სამტაეპიანი სტროფის ავტორისეული სახისმეტყველებითი ხედვის სივრცობრივობა: „ნახევრად მთვრალი ნახევარმთვარე გაშლილი მკლავით, დღეს როგორც კრავებს, ბუზის საკლავით დასდევს ვარსკვლავებს“. აქ, ამ შემთხვევაში, შესაძლოა კამათი თუ რამდენად ესთეტიკურია „ბუზის საკლავით“ ვარსკვლავთ-დევნა, მაგრამ, პოეზია ხომ წარმოდგენილი წარმოდგენის მცდელობა(ცა)ა, და მივუტევოთ ეს იოტი „გადაცდომა“ ავტორს. მით უმეტეს, თუ მისი სამყაროსეული აღქმა-ხედვის თვალსაწიერი, ე.წ. მოდელი, ღრმა ფიქრისა და განსჯის საშუალებას იძლევა. ეს კი უკვე წარმატებაა. ამ მხრივ, მართლაც საინტერესოა (პოეტურად!) განმარტებული(!) ნოეს კიდობნის შემდგომი დელი კაცობრიული ყოფიერება, ანუ ის გზა-სავალი, რომლითაც დღემდე მოვდივართ ჩვენ, ადამიანები. ანუ, ერთი ადამიანის გზა-სავალი, მთლიანად, კაცობრიობის გზასავალია, და, პირიქით! ეს განმეორება (განწყობა!) წრიულია, როგორც დედამიწა და, საერთოდ, სამყარო. სამყარო თავის-თავადი განწყობაა, განწყობილება, ფიქრობს ავტორი. ლექსი „უთქმელი სიტყვა“ პოეტიზირებული პარადიგმა – თითოეული სახლის კარზე მიღურსმული უფალი ჩვენი, იესოსი! და, საერთოდაც, მისი მხატვრული საზროვნებო სივრცე გასიმბოლოებული (ერთი მთლიანი!) პოეტური პარადიგმა – „დრო ჩემზე ადრე გარდაიცვალა და გადარჩენა მომისამძიმრა“ (უსათაურო). ამგვარი სახისმეტყველებრივი ახსნა თავად ადამიანში მცხოვრები მერე შინაარსობრივი ცნობიერებისა არაერთგზისაა მის ლექსემურ იგავ-მეტყველებაში, რაც, რა თქმა უნდა, პოეტური სიმალის შესამჩნევ ნიშანსევეტია. ის, შეიძლება ითქვას, ფიქრის პოეტია. ასე იოლად არ მისდევს (არ აპყვება!) გრძნობა-ემოციის მოჭარბება-მოძალებას, დაიცდის, დააცდის განცდას განცდილის „დაღვინებას“, დააოკებს პოეტურ ლავას, ერთგვარად შეაგრილებს და შემდგომ წერს ლექსს. არ ვიცი, რამდენად სადავო ან მისაღებია ამგვარი შედარება-შეფასება, მაგრამ ასეთია ჩემი (პირადი!) შთაბეჭდილება („კიბე მივადგი თაროს, დავეძებ გრანულს, ცრემლი არ შერჩა თვალებს არც ერთი გრამი, ნაუკითხავი დამრჩა რამდენი რამე, დაუხარჯავი დამრჩა რამდენი წამი... კიბე მივადგი მთვარეს, დავეძებ სახეს, სახეს, რომელსაც ახლაც ვერ ვარქმევ სახელს და ვუბრუნდები მიწას, ცის მერე ტივით, ცეცხლის ახლოს იწვის მზე-ტერენტივით“ („კიბე“). დაბოლოს, უნდა აღინიშნოს: ამ პოეტური კრებულის არაერთ ლექსზე შეიძლება სჯა-ბაასი, კამათი ვერსიფიკაციური თუ ტროპული აზროვნების (გა)თვალსაწიერებისთვის. მაგრამ, ახლა, ამჯერად (საგაზეთო წერილში!), ამისი არც დროა და არც საშუალება; ჩვენ, უბრალოდ, შთაბეჭდილების დონეზე (ზედაპირულად!) განვიხილავთ ახალგაზრდა პოეტის ნაღვანს, თუმცა ეს „ახალგაზრდა“ პოეტისთვის, რა თქმა უნდა, პირობითია. ამდენად, ქართულ პოეტურ სივრცეს შემოემატა პოეტი გურამ ჯახუტაშვილი. მივსალმობთ, ბატონებო! ■

ქართულ მიწას

ვერ შეგელევი
სიცოცხლესავით,
ვერ შეგელევი,
ქვეყანავ ჩემო,
ტანჯულო მიწავ.
როცა მოვკვდები,
ამ ქვეყანას
ალარ ვიქნები,
შენ მიპატრონებ,
შენ მიმიღებ,
შენად ვიქცევი,
შთამომავლობას
შენ გადასცემ,
რანიც ვიყავით;
შენს სიყვარულად,
სანთლად დავდნები,
ზედ დავაკვდები
შენს სიდიადეს.
მე ვინ ვარ? თიხა,
მოზელილი შენი
მიწისგან,
მგზავრი ვარ შენი
წუთისოფლის,
ლანდი ვარ ერთი,
უკვდავი არის
მარადისობა შენი
და შენი,
ღმერთო, დიადო,
მიცოცხლე დიდხანს
ქართული მიწა –
ქვეყანა ჩემი.

განთიადმა ქვეყანაში

ცისკრის ვარსკვლავი კიაფობს ცაზე,
ქვეყრას ლეგა გუმბათი ადგას,
ერთი ვარსკვლავი რას გაუძლებს
ღრუბელთა დასტას,
სხვები არ ჩანან –
განთიადმა უმაღვე შთანთქა.
ცისკრის ვარსკვლავო, მოციმციმევ,
თუმც განწირული,
შენც მიიმაღე, ვერ გაუძელ
მზის ბრწყინვალეობას –
გული არ დაგწყდეს,
ღვთისგან მოვლენილ სიცოცხლის წყაროს
ქვეყნად ვერავინ გაუშკლავდება.
ამ განთიადმა ქვეყანაში
ოდინდელი ფიქრი მომგვარა:
ამილახვართა საბატონოს
ეს სახელი ვინ შეუბედა?
მაგრამ არსებობს ძველთაძველი
ერთი ლეგენდა:
მეფე გიორგი, გამარჯვებული,
ბრუნდებოდა ბრძოლის ველიდან
და ამ ადგილას, მეფის ბრძანებით,
დაღლილმა ჯარმა კარავი დასცა
ლამის თენებად.
მეფე ბატონი შვილს ელოდა –
ტახტის მემკვიდრეს,
ღვთისა განგებით დაიბადა
მეფეთა მეფე – თამარ „მშვეება“.
პირდაპირ ეთქვა უძეობა,
ვერ შეჰკადრა „მახარობელმა“,
მსახურნი ჩუმად ჩურჩულდებნენ
„არა, მე ვერა...“

„მე ვერა, ვერა...“
ერთმა გაბედა და მოახსენა:
„დიდო მეფეო, ძე ვერა, ვერა!“
ასე დაერქვა ამ სოფელ ადგილს
თურმე „ძევერა“.

კიბეჯე ამოსულ ბალახს

(„ქართული ენციკლოპედიის“
რედაქციის შენობასთან)
ქვა როგორ გახეთქე, როგორ ამოხვედი,
ბალახო, სულ ერთო ციდავ,
ნამდვილად იცოდი, სად ამოდიოდი
და მადლი გეპკურა ციდან...
ფეხი აგარიდე – როგორ გაგთელავდი
სიცოცხლის პატარა ტრფიალს,
ცივ ქვაზე გამარჯვებულს,
მზის სხივით გალაღებულს,
სიცოცხლის ზეიმი რომ გქვია.

ბელურები

თქვენ რომ არ იყოთ,
ბელურებო, რა მეშველება,
ჩემს აივანზე შემოსხდებით,
მიყვებით ამბავს,
საკენკს დაგიყრით, თქვენც
უჩემოდ გაგიჭირდებათ,
ან ვინ მოგისმენთ,
ან ვინ დაგდებთ ამოდენ ამაგს.
როგორ მშურს თქვენი
მხოლოდ ფრთების,
მეც მინდა ფრენა
და ამ ფრენაში ხიფათსაც ვხედავ.
იქნებ გამიგოთ,
იქნებ მომხედოთ –
მეც მინდა შველა.

ნაადრევი ფიფქი

თოვლის ფიფქო, პატარავ და ცქრიალავ,
გულუბრყვილოვ,
უგზო-უკვლოდ ჩამოსული მიწაზე,
ვნახე, ქარმა როგორ გაკოტრიალა,
წამით მაინც დაგესვენა
ჩემი სარკმლის მიწაზე.
დაგინახე, მოფრება მომინდა,
არ მაცალა ზამთრის სიომ ცელქმა,
ცეკვა-ცეკვით მთები გადაგატარა
და ალერსში სული ამოგაცალა...
რატომ მოხველ ნაადრევად, პატარავ?

მთვარე

უტყვად დამყურებ თავზე მინიერს
და მონინებით ველოდები შენთან საუბარს;
იქნებ გამილო გულის კარი, გულჩათხრობილო,
იქნებ მომიყვებ, შენში გრძნობა როდესაც კვდება
(ეს, როგორც წესი, თვის ბოლოს ხდება)
და შემდეგ ისევ ახლებურად გამოანათებ
ახალი ძალით, ის ტრფობის ცეცხლი
ისევ გედება?
ვინ დაგიფიცო, რით დაგაჯერო,
რომ აქ, მიწაზე, ასე არ ხდება –
გრძნობა თუ ჩაქრა, ბოლომდე კვდება.

გულიკო ქენეაძე



მთვარე

ღამეა. დინჯად კიაფობ ცაზე,
ირგვლივ ვარსკვლავთა ჯარი გახვევია.
აივანზე ვზივარ, ვტკბები გუმბათით,
ჩვენს დედამიწას თავზე რომ ადგას.
აი, მიცურავ ვარსკვლავებში, ისინი
გეკეკლუცებინან. უეცრად ღრუბელმა დაგფარა
და ყველამ მოინყინა, თუმცა წუთიერად –
გამოანათე და ისევ გაბრწყინდნენ.
ხანდახან გემალევი კიდეც, ამბობენ, შენი
დანახვა ყოველთვის არ შეიძლება და ბევრს არც
უხდებაო. მაინც გიყურებ, ყოვლის მხილველს
ხომ არაფერი დაგემალება. დღემალი შენი ხმაც
მესმის; ხან გაღიმებულს, ხან მოქუფრულს
გხედავ, ციურთა შორის იქნებ ეს არის ტანჯვა-
სიამის ცვალებადობა –
ხან ციდან ქრები, დანახვაც კი არ გინდა ჩვენი,
ხან სიკეთით ხარ ავსებული და ჩვენი ტკბები...
ვინ მოგასვენა, ვინ დაგაყენა –
აღამიანმა იქაც დაგადაგა კვიმატი ფეხი...
საკითხავია იუცხოვე თუ
დიდი ხნის ნატვრა აგხდება?!

ეს მე მეკუთვნის

ამ ხოდაბუნებს,
ოქროსფერ ნამჯას,
ბახუსის ვენახს
და გლეხის გარჯას,
შენს იალაღებს
და შენს მთას და ბარს,
როცა ვუყურებ –
როცა ვფიქრობ,
ჩემი ხართ ყველა,
ეს მე მეკუთვნის,
მე მეკუთვნის,
ვით ქართველს ყველას.
დღეს შველას ითხოვს
ჩემი მიწა,
ჩემი მთა-ბარი,
დღეს შველას ითხოვს
ის იალაღიც,
ნავენახარიც,
და თუ ასეა, მომეციოთ ხელი,
ხელი მომეციოთ,
ჩვენ ერთად ყველამ
სამოთხის ბაღად
რომ ვაქციოთ
ქვეყანა ჩემი,
რომ მომავალმა
ყანნიტ შესვას
ხსენება ჩვენი.

მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთის გამოწერა უკვე შესაძლებელია.
ამისთვის საჭიროა დარეკოთ ან მიაკითხოთ
პრესის გავრცელების სააგენტოებს:
საქპრესა (გურამიშვილის გამზ. №64,
ტელ: 2 51 85 18), მაცნე (საირმის ქ.
კორპ. №4, ტელ: 2 14 74 22), პრესე-

ქსპრესი (ი. ჯავახიშვილის ქ. №86, ტელ:
2 96 23 11), ჯეომედია (გ. ჩუბინაშვილის
№50, ტელ: 2 95 51 70), პილონი (წერ-
ეთლის გამზ. №113, ტელ: 2 34 77 43),
პრესა 2012 (წერეთლის გამზ. №142,
ტელ: 2 34 09 35).

გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიში:
ქ. თბილისი სს „პროკრედიტბანკი“
კოდი: MIBGGE22
ანგ. № GE61PC0183600100029708

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აკადემიკოსი

ჯუშუბერ ლომინაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დაბეჭდილია შპს „ასავალ დასავალის სტამბაში“
მისამართი: თბილისი, აგლამის ქ. 39
ელ. ფოსტა: print@asavali.ge

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი
თამაზ ნივნივაძე

გაზეთი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით

თავისუფლების მოედანი №4
E-mail: litsaquartervelo@yahoo.com
ტელ.: 292 34 89

გამოდის პარასკეობით